ძველი ქართული ნაქარგობა

წერილობით წყაროებში, არქეოლოგიურ მასალებსა და ხელოვნების ძეგლებში

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

ძველი ქართული ნაქარგობა წერილობით წყაროებში, არქეოლოგიურ მასალებსა და ხელოვნების ძეგლებში

ქუთაისი 2017

ავტორები:
ომარ ლანჩავა
ელისო ჩუბინიძე
დავით სულაბერიძე
ნონა ქარციძე
ნინო სარავა
ანა დოღონაძე
მარგალიტა მსხილაძე
ირინა უგრეხელიძე

მონოგრაფიის პუბლიკაცია ხორციელდება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით

ISSN – 978 9941-455-38-4 39-1

ავტორთა კოლექტივის (ომარ ლანჩავა, ელისო ჩუბინიძე, დავით სულაბერიძე, ნონა ქარციძე, ნინო სარავა, ანა დოღონაძე, მარგალიტა მსხილაძე, ირინა უგრეხელიძე) მონოგრაფია – „ძველი ქართული ნაქარგობა წერილობით წყაროებში, არქეოლოგიურ მასალებსა და ხელოვნების ძეგლებში“ ქუთაისის ისტორიული მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ შესრულებული ქარგულობის მრავალმხრივი კვლევის შედეგების პირველი პუბლიკაციაა. წიგნში ვეცნობით ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონის საუკეთესო საეტაპო ძეგლებს, ქართული ნაქარგობის კვლევისადმი მიძღვნილი სპეციალურ ლიტერატურასა და წყაროებს და ნაქარგობასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან საკითხს; განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი ოქროქარგულობასთან დაკავშირებულ უძველეს ტერმინებს: ოქრონემსული, ოქროკემსული, ოქროთი ნაკემსი, ოქროთნაკერი, ოქროვანი.

წიგნის ავტორთა მიერ ჩვენს ქვეყანაში არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად სხვადასხვა დროს მოპოვებული უხვი მასალა (ნამზადი, სახელოსნო იარაღები თუ ოქრომკედის ფრაგმენტები) მართებულადაა მიჩნეული საფეიქრო საქმესა და ქარგვის ხელსაქმეში ჩვენი წინაპრების ოდითგანვე დახელოვნების დასტურად.

ნაშრომში ვრცლად არის წარმოდგენილი ადრეული პერიოდის ნაქარგობათა სახეების კვლევა ქვაზე კვეთილი რელიეფების, კედლის მხატვრობის, ფერწერული ხატების, ჭედ-ურობის, მინანქრისა და ხელნაწერებში ჩართული მინიატურების მიხედვით. აღნიშნულ ძეგლებში მოძიებული ნაქარგობის სახეების მიხედვით დამუშავებულია ორნამენტების გრაფიკული ესკიზები.

სხვადასხვა კუთხეში დადასტურებული ორნამენტების შესწავლის საფუძველზე ავტორები გვთავაზობენ დასკვნას ქვის რელიეფის, ფრესკის, მინანქრისა და ოქრომჭედლობის ხელოვნებაში ნაქარგობის აღმნიშვნელი სახეების დამთხვევის შესახებ, რომ „ქსოვილებზე დატანილი ნაქარგობათა ორნამენტული სახეები მიუხედავად გარკვეული ბიზანტიური ზეგავლენებისა თვითმყოფადობით გამოირჩევა, მათი უმრავლესობა რეალური ცხოვრებიდანაა აღებული“ ; რომ ხელოვნების ნიმუშებზე გადმოცემული ქსოვილის ორნამენტი ემთხვევა დღემდე შემორჩენილი ნაქარგი ნივთების ორნამენტს, რადგანაც იგი ქართველი ხალხის წარმოდგენაში მყარად გამჯდარი ელემენტია.

რამდენადაც ცნობილია, ადრეული პერიოდის ქართული ნაქარგობის ორნამენტების შესწავლის მიზნით ხელოვნების ძეგლების ამგვარი ფართო სპექტრის გაანალიზება ჯერ-ჯერობით არ ჩატარებულა და ეს ერთგვარად წინგადადგმული ნაბიჯი იქნება ძველი ქართული ნაქარგობის შესწავლის საქმეში.

წიგნი, რომელიც ნაქარგობათა ისტორიის მომავლისათვის ისტორიითა და მეცნიერებით გადაცემის წარმატებული მცდელობაა, თანაბრად საინტერესო იქნება, როგორც სპეციალისტებისთვის, ასევე ქართული ხელოვნებითა და საზოგადოდ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებული ნებისმიერი ადამიანისთვის.

დავით შავიანიძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ეთნოლოგი. აკადემიური დოქტორი.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო და ქუთაისის უნივერსიტეტების ასოცირებული
პროფესორი

შესავალი

ქარგვის ხელოვნება ხალხური გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი საინტერესო და უძველესი დარგთაგანია. ის ოდითგანვე ძალზე პოპულარული და ამავდროულად თავისი ხასიათით ძალზე დემოკრატიულია – ყველა ეპოქასა და ყველა ქვეყანაში სრულიად განსხვავებული ფენის წარმომადგენლები (როგორც მაღალი, ისე დაბალი) იყვნენ დაკავებული ამ საინტერესო და ლამაზი ხელსაქმით. ქარგავდნენ სამოსს, სხვადასხვა მოხმარების საყოფაცხოვრებო საგნებს, ღვთისმსახურებისათვის საჭირო ნივთებს, პანოებს, კედლის ხალიჩებს და სხვათა. ქარგავდნენ სხვადასხვა ორნამენტებს - ყვავილოვანს, ზოომორფულს, მითიურ სიუჟეტებს, ბიბლიურ სცენებს, წმინდანებს, ხატებს.

ჩვენს ქვეყანაში ის ქალის ხელსაქმეს წარმოადგენდა და ეს ხელსაქმე ოდითგანვე იყო ოსტატობისა და შემოქმედებითი უნარის წარმოჩენის, შთაგონებისა და საკუთარი ფანტაზიის რეალიზების შესაძლებლობა. ასწლეულების მანძილზე მქარგველი ოსტატები თაობიდან თაობას გადასცემდნენ თავიანთ ცოდნას. ყოველი ახალი თაობა საკუთარი გამოცდილებით, მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნებითა და ფანტაზიით ამდიდრებდა და ამრავალფეროვნებდა წინამორბედისაგან გადმოცემულ ტრადიციას, ხვეწდა თავისი შემოქმედების ნაყოფს. ამ თაობათა რუდუნების წყალობით ჩვენამდე მოვიდა არამარტო მხატვრული ხელსაქმისა და შემოქმედებითი მუშაობის ტრადიცია, არამედ ფასდაუდებელი, მაღალი მხატვრული ღირსებით შემკული და შესრულების უზადო ოსტატობით გამორჩეული ნიმუშები ნაქარგობისა. ისინი არა ხელოსნობის, არამედ ჭეშმარიტად ხელოვნების ნიმუშებია და ორგანულადაა შერწყმული ჩვენი ხალხის მატერიალურ კულტურასა და გამოყენებით ხელოვნებასთან. ამავდროულად, ხელოვნების ეს ნიმუშები წარსულის უტყვი მოწმეებია და ერთგვარი სარკეა, რომლის საშუალებით შესაძლებელია წარმოდგენილ იქნას ჩვენი ხალხის მხატვრული გემოვნება, ხასიათი, სულიერება, და მისი ესთეტიკური იდეალები.



თავი 1. ქართული ნაქარგობის კვლევისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა

ისტორიული და მეცნიერული თვალსაზრისით ქართული ნაქარგობა ჯერ კიდევ არა არის საფუძვლიანად შესწავლილი და მატერიალური კულტურის ისტორიკოსთა მხრიდან სიღრმისეულ კვლევას საჭიროებს. მხოლოდ რამდენიმე ათეული წელია, რაც ნაქარგობა სპეციალური შესწავლისა და მეცნიერული კვლევის ობიექტი გახდა და საკმაო რეალიზაცია ჰპოვა მკვლევართა ნაშრომებში. მიუხედავად ამისა, იმდენად ამოუწურავია მრავალფეროვნება ამ მხატვრული ხელსაქმისა, რომ დღესაც კი მასში მრავალი შეუსწავლელი საკითხია და გულმოდგინე კვლევასა და ანალიზს საჭიროებს.

ქართული ნაქარგობით დაინტერესება XIX საუკუნის ბოლოდან შეინიშნება. პირველი პუბლიკაცია, რომელიც საეკლესიო ნაქარგობას ეხება, არის ჟურნალ „ივერიაში“ გამოქვეყნებული ა. ხახანაშვილის სტატია ტაბოლსკში არსებული ქართული გარდამოხსნის შესახებ [1]. დღეისათვის ეს ნივთი, სამწუხაროდ, დაკარგულად ითვლება, ამიტომ სტატია მნიშვნელოვანია იმითაც, რომ მასში გამოქვეყნებულია ფოტო აღნიშნული გარდამოხსნისა.

ასევე მნიშვნელოვანია გ. ბოჭორიძის წვლილი ისტორიული ძეგლების და სიძველეთა აღწერის, მათ შორის ნაქარგობათა აღწერის საქმეში. მკვლევარს შესწავლილი და დახასიათებული აქვს იმერეთის და რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და მათ სიძველეებთან ერთად აღნუსხული აქვს უძველესი ნაქარგობები და ამოკითხული აქვს ნიმუშებზე არსებული წარწერები [2]. ნაშრომები ღირებულია, რადგან დღეისათვის ზოგიერთი ძეგლი მხოლოდ გ. ბოჭორიძის აღწერითაა ცნობილი სამეცნიერო წრეებისათვის.

ხელოვნების მუზეუმის არქივში ხელნაწერის სახით დაცული ირ. სონღულაშვილის შრომა, რომლის ერთი ნაწილი გამოქვეყნდა ამავე მუზეუმის ნარკვევების მე-5 ტომში, ეხება ნაქარგობის ტექნიკური ხერხებისა და ქართულ ნაქარგობაზე წარმოდგენილი სახეების ტერმინების კვლევასა და დაზუსტებას [3].

ირ. სონღულაშვილის მეორე წერილი ქართული ხელსაქმის შესანიშნავი ნიმუშის – შეიდიშის კოლექციას შეეხება. ავტორის მიერ განხილულია „ქალის პერანგის ტოლის“ ტერმინისა და თავად ამ სამოსის წარმოშობის ისტორია [4].

ბიჭვინთის საბუთებში დაცული საკათალიკოსო ტახტის საგანძურია აღწერილი ს. კაკაბაძის კვლევაში [5]. ავტორს მოყვანილი აქვს შეწირულ ნივთებზე გაკეთებული წარწერების ტექსტები. მასვე ეკუთვნის კ. ბერლადინის სტატიის რეცენზია, რომელშიც აღწერილი აქვს საეკლესიო ნაქარგობის ნიმუშები – გარდამოხსნები გელათის მონასტრიდან (1664 წ. დაცულია ზაგორსკში), წილკნის ეკლესიიდან (1686წ.), ცაიშის ეკლესიიდან (1653 წ. განადგურდა ხანძრის დროს) და მანუჩარ დადიანის გარდამოხსნა [6].

ივ. ჯავახიშვილს ნაშრომში „მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის – ქსოვა, ღებვა, ქარგვა“ [7] მოცემული აქვს მთხრობელთა მიერ გადმოცემული ქართულ ხალხურ ფეიქრობას, მღებრობასა და ქარგვასთან დაკავშირებული არაჩვეულებრივად საინტერესო მასალები, რომლებიც მეცნიერის ხელმძღვანელობით ექსპედიციის წევრებს შეუგროვებიათ ველზე მუშაობისას. ნაშრომს ქართული ქსოვილების ნაირსახეობის, ფერადოვნებისა და მხატვრული ღირსების სრული წარმოჩენისათვის თან ერთვის მდიდარი ილუსტრირებული მასალა მუზეუმის ფონდებიდან.

ძალზე საინტერესო ინფორმაციას შეიცავს 1929 წლის ხევსურეთის ეთნოგრაფიული ექსპედიციის დროს შეგროვილი მასალების მიხედვით დამუშავებული ვ. ბარდაველიძისა და გ. ჩიტაიას ნაშრომი, რომელშიც წარმოდგენილია ხევსურული ტალავარის ნაქარგობის ორნამენტი, მისი შესრულების ტექნიკა, ხელსაწყო იარაღები. ნაშრომს თან ახლავს ტაბულები – ორნამენტების ესკიზებით [8].

ლ. მელიქსეთ-ბეგის სტატია „მოსიარულე ენქერი“ აღწერითი ხასიათისაა [9].

მ. ტყეშელაშვილის სტატია - „ქართული მხატვრული ქარგულობა“ – ეხება აბრეშუმის ძაფით ქარგვის ტექნიკას, ნაქარგის ფერადოვნებას [10]. იგივე ავტორის მეორე წერილში – „მძივით ქარგულობა“ განხილულია ბისერით ქარგვის ტექნიკური ხერხები და ტრადიციები [11].

ი. უზნაძე [12] სტატიაში „ქართული ხელსაქმის დიდი ამაგდარი“ მიმოიხილავს ცნობილი მქარგველის, ხელოვნების მუზეუმის რესტავრატორის, ან. ჯანდიერის მოღვაწეობას.

ასევე მქარგველ ოსტატებსა და ქარგვის ტრადიციებზე მოგვითხრობს ლ. თევზაძე სტატიაში „ქართული ხელსაქმის ოსტატები“ [13].

ქ. ბერლინში აკაკი და თამარ პაპავების მიერ ე. თაყაიშვილის თხოვნით შეძენილი სიონის ტრაპეზის ფარდის (1773 წ.) შესახებ ინფორმაციაა მოცემული სტატიაში „ერთი ძველი ფარდის ამბავი“ [14].

მ. გაჩეჩილაძის წერილი [15] ერთ-ერთი პირველი ნაშრომია უცხოეთში დაცული ქართული ნაქარგობის ნიმუშის შესახებ.

ქართული მხატვრული ქარგულობის ნიმუშების შესწავლა უფრო ინტენსიურად მე-20 საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, როდესაც საქართველოს ხელოვნების მუზეუმის იმდროინდელი მესვეურნი აქვეყნებდნენ ინფორმაციულ წერილებს. მათ შორის აღსანიშნავია ქ. დავითაშვილის წერილი „ქართული ნაქარგობის უძველესი

ნიმუში“, სადაც საუბარია ავტორის მიერ რესტავრირებულ, უძველეს ნიმუშად მიჩნეულ სვანურ „ჩალათაზე“ [16].

ქ. დავითაშვილის სტატია „ქართული ნაქარგობის ძეგლები“ გვაცნობს ორ ქართულ გარდამოხსნას. იგი განმარტავს გარდამოხსნათა დოგმატურ-სიმბოლურ მნიშვნელობას და „ქრისტეს ტირილის“ კომპოზიციის იკონოგრაფიულ აგებულებას. ავტორი განიხილავს ორ ნაქარგობას, რომელთაგან უძველესია მეფე გიორგი VIII (1446-1466) დაკვეთით ნაქარგი გარდამოხსნა. აღნიშნული გარდამოხსნის რთულ კომპოზიციაში თანმიმდევრობით მოთხრობილია ქრისტეს ცხოვრების რამდენიმე ეპიზოდი. კომპოზიციის კუთხეები დათმობილი აქვს მახარებელთა სიმბოლურ გამოსახულებებს. მთელი ნაქარგობა ორნამენტულ ჩარჩოშია მოთავსებული. კომპოზიციის მარჯვენა ზედა ნაწილში იკითხება ასომთავრული საქტიტორო წარწერა. ეს გარდამოხსნა რესტავრირებულია ანასტასია დავითის ასულ ჯანდიერის მიერ. იგი ქართული ნაქარგობის განვითარების იმ საფეხურს ეკუთვნის, როდესაც მკაფიოდ ჩამოყალიბებული ბიზანტიური სქემა დარღვეულია კომპოზიციის უფრო თავისუფალი წყობით. ავტორი ასევე განიხილავს ბაგრატ III (1510-1565) იმერთა მეფის დაკვეთით ნაქარგ გარდამოხსნასაც. მასში ქრისტეს ტირილის კომპოზიციას ერთვის ანგელოზთა გამოსახულებები. კომპოზიციაში სიმბოლურ-დოგმატიკური წყობაა მოცემული. დრამატიზმი და საზეიმო იერი შეაქვს თავსა და ბოლოში ზოლებით გამოყოფილ მორიდებით მდგარ მტირალ ღვთისმშობელსა და იოანე მოციქულს. მუქი ყავისფერი ფონიდან მკვეთრად გამოიყოფა არდაგზე მწოლი მაცხოვრის ნათელი სხეული, რომლისკენაც მიმართულია გარდამოხსნის ყველა პერსონაჟი. ნაქარგობას გარს უვლის საქტიტორო, მხატრულად შესრულებული წარწერა . ყოველი ასო დეკორატიული მცენარისა და ფრინველის სტილიზაციას წარმოადგენს. სიტყვებს შორის თითო მოზრდილი ყვავილი და ფრინველია მოცემული. წარწერა შელამაზებულია ვერცხლისფერი ასოთა თხზვით, შეწიაღებით, რომელსაც შემოსდევს ლურჯ ფონზე შესრულებული მცენარეული ორნამენტი.

ავტორი ყურადღებას აქცევს გარდამოხსნათა შესრულების ტექნიკასა და გამოყენებულ მასალას: ვერცხლის თმას, ოქროცურვილ ვერცხლმკედს და ფერადი აბრეშუმის ძაფის მდიდარ და სასიამოვნო პალიტრას. ძლიერ დაზიანებული გარდამოხსნები 1947 წელს აღუდგენია ანასტასია ჯანდიერსა და ნინო სვანიძეს [17].

ნაქარგობისა და ქსოვილის მხატვრული დამუშავების შესახებ ინფორმაციას შეიცავს შ. მესხიას კვლევითი ხასიათის სტატია [18].

მახარაშვილის სტატია [19] ეხება საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდში დაცულ ერთ-ერთ ენქერს.

კ. ლანჩავას სტატიაში [20] აღწერილი აქვს თბილისის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაცული XVI საუკუნის 20-იანი წლების ქართული ნაქარგობის ერთ-ერთი უნიკალური ნიმუში – ომოფორი ცაიშის მონასტრიდან.

ე. მაჭავარიანი წერილში „მანანას ნახელავი“ [21] მოგვითხრობს მე-19 საუკუნის მქარგველის ვინმე მანანას შესახებ.

ვ. სახვაძის სტატიაში - „ოქრომკედით ნაქარგი“ ნამაგრი სითვით ქარგვის ტექნოლოგიასა და ტექნიკურ ხერხებზეა საუბარი [22].

ეროვნულ მუზეუმში დაცულ საერო ნაქარგობას ეხება ნ. გვათუას სტატია „ხევსურული ხელსაქმე", სადაც ავტორი ხევსურული ნაქარგობის ტრადიციებსა და ხერხებს განიხილავს [23].

ქ. დავითაშვილის ნაქარგობის ნიმუშების მცირე კატალოგი სულ 20 ექსპონატს მოიცავს ფერადი ილუსტრაციებითა და მოკლე სამეცნიერო ანოტაციით [24].

ა. ტუღუშის სტატია [25] ეხება ნაქარგობის ორ ნიმუშს (საბუხრებს) ზუგდიდის მუზეუმიდან, აღნიშნულ ექსპონატებს იგი მიიჩნევს ნაქარგობის უძველეს ნიმუშებად საქართველოში და ათარიღებს XIII ს-ის 60-იან წლებით. ავტორი თარიღის განსაზღვრისას ძირითადად ეყრდნობა წარწერას, სტილისტურ-იკონოგრაფიული ანალიზის გარეშე. ამავე საბუხარების სტილისტურ-იკონოგრაფიული ანალიზის, საქტიტორო წარწერის სრულყოფილი წაკითხვისა და იქ მოხსენიებული ისტორიული პირის იდენტიფიკაციის შემდეგ მკვლევარი ი. მელიქიშვილი ძეგლს XVII საუკუნით ათარიღებს [26].

ვ. ბერიძის ნაშრომი [27] წარმოადგენს პირველი სამეცნერო ხასიათის კვლევას, რომელიც ეძღვნება მონუმენტური მხატვრული ქარგულობის ნიმუშებს. მასში განხილულია 20-ზე მეტი გარდამოხსნა (XV-XIX საუკუნეები). მკვლევარი ძეგლებს ათარიღებს სტილისტურ-იკონოგრაფიული ანალიზის საფუძველზე. ამოკითხული აქვს ყველა წარწერა და იდენტიფიცირებულია წარწერებში მოხსენიებული ისტორიული პირები. ავტორი არ ეხება ნაქარგობის ტექნიკას.

მახარაშვილის ბროშურაში [28] განხილულია ქართული ნაქარგობის ერთ-ერთი უნიკალური ძეგლი – უბისის გარდამოხსნა.

მკვლევარი დ. ლომიძე განიხილავს ბუნაკის მუზეუმში დაცულ ნაქარგობის ორ ნიმუშს, დაფარნასა და სამღვდლო სამოსს – ფილონს, რომელთა შესახებ მასალა მიუწოდებია ცნობილ ქართველოლოგ ჯობაძეს [29].

ინტენსიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ამ სფეროში დაიწყო მას შემდეგ, რაც საქართველოს ხელოვნების მუზეუმის საგანძურის განყოფილებას დამოუკიდებელ ორგანიზმად გამოეყო ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდი. მკვლევარ ი. მელიქიშვილის სტატიაში [30] გადმოცემულია, რომ სტილისტურ-იკონოგრაფიული და ტექნიკური ანალიზის საფუძველზე ხელოვნების მუზეუმის მეცნიერ-მუშაკთა მიერ დადგენილ იქნა კაცხის ნაქარგობის უძველესი ნიმუშის შექმნის თარიღი – XII-XIII საუკუნეთა მიჯნა.

ნ. ნადარაიას სტატია [31] გვაცნობს საერო ნაქარგობიდან ერთ-ერთ სრულყოფილად შესწავლილ ჩახსაკრავების მდიდარ კოლექციას.

ი. მელიქიშვილის სტატიაში [32] განხილულია დავით-გარეჯის სამონასტრო ქარგვის ცენტრში შექმნილი 1710 წლით დათარიღებული საბუხართა წყვილი.

ი. მელიქიშვილის სტატია [33] ეხება მონუმენტური ქარგულობის ერთ-ერთ ნიმუშს – გარდამოხსნას რუსეთიდან, რომელიც ვ. ბერიძის ნაშრომში გარდამოხსნების შესახებ არ არის შეტანილი. ქართული ნაქარგობის ტექნიკური, სტილისტური და იკონოგრაფიული თავისებურებების შესწავლით დადგენილია სახელოსნო, სადაც ის მოიქარგა (სტროგანოვების სახელოსნო) და ასევე, ქტიტორები — ბატონიშვილი ერეკლე I (1688-1703 წწ. 1703-1709 წწ.) და დედოფალი ელენე (თეიმურაზ I-ის რძა-

ლი), რომელთაც რუსეთს გაკეთებული ეს გარდამოხსნა ალავერდის წმ. გიორგის ეკლესიას შესწირეს.

ე. სულხანიშვილის [34] სტატიაში განხილული და გაანალიზებულია ლიტურგიული დანიშნულების ნივთი-ოდიკი (ანტიმინსი). ავტორს წაკითხული აქვს ოდიკებზე დაცული კანონიკური და საქტიტორო წარწერები, იდენტიფიცირებულია ისტორიული პირები. მან ცალკე გამოყო ქართული ფერადი ოდიკები, რომელთა შორისაა ხარჭაშნელი ეპისკოპოსის - ზოსიმეს ხელით დახატული ოდიკი (1746 წ.) ავტორის კვლევით ეს ერთადერთი, უნიკალური, ხელით დახატული ოდიკია.

გ. ბარათაშვილს წერილში [35] განხილული აქვს ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდში დაცული დაფარნების უმდიდრესი კოლექცია, მათი წარმომავლობის, დანიშნულების და სიმბოლიკის საკითხები. იგივე ავტორის სტატიებში [36, 37] არაერთი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული დაფარნებზე გამოსახულ კომპოზიციათა შესახებ, ხოლო სტატია, დედოფალ ანა–ხანუმის მიერ ნაქარგი დაფარნათა კომპლექტის შესახებ, ადასტურებს სადედოფლო სახელოსნოების არსებობას და იქ შექმნილი ნაქარგობის ნიმუშების მაღალმხატვრულ ღირებულებებს [38].

მ. კეცხოველის წერილი [39] მოგვითხრობს ეროვნული მუზეუმის ფონდში დაცული საგანძურიდან ერთ-ერთი საინტერესო კოლექციის – კრეტსაბმელების (აღსავლის კარის ფარდების) შესახებ. ავტორს განხილული აქვს კრეტსაბმელების წარმომავლობისა და იკონოგრაფიის საკითხები, მათზე წარმოდგენილი კანონიკური თუ საქტიტორო წარწერები.

იგივე მკვლევარი განიხილავს საკითხებს საქართველოში ქარგვის ცენტრებისა და მისი ისტორიის შესახებ [40] ეს სტატია არის საქართველოში ეკლესია-მონასტრებთან თუ დიდგვაროვანთა სასახლეებთან საქარგავი ცენტრების არსებობის კვლევის პირველი მცდელობა.

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცულ ქარგულ ნიმუშებზე არსებული წარწერების შესახებ შეიცავს ინფორმაციას მკვლევარ მ. ნიკოლეიშვილის სტატია [41].

ე. სულხანიშვილის სტატიაში [42] მიმოხილულია ნაქარგობის ნიმუშების სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის საჭირო რესტავრაცია-კონსერვაციის მეთოდები და გაკეთებულია საინტერესო დასკვნები.

ი. ნიკოლეიშვილისა და ე. ახვლედიანის ნაშრომში [43] საუბარია ანტიოქიის პატრიარქის სამოსზე, რომელიც ქართული ნაქარგობით არის გაწყობილი და ზედ ასომთავრული წარწერაა გაკეთებული. წერილიდან ირკვევა, რომ იგი დავით-გარეჯის სამონასტრო კომპლექსისათვის შეუწირავს ქიზიყის მოურავს რევაზ ანდრონიკაშვილს (1665-1700).

ი. მელიქიშვილის სტატია [44] შეეხება ირ. სონღულაშვილის კვლევის გამოყენებით მიკროსკოპული და რენტგენული ანალიზისა და თეორიული კვლევის საფუძველზე ქართული საეკლესიო ნაქარგობის უფრო ღრმა და ფუნდამენტურ კვლევას.

ე. სულხანიშვილის წერილში [45] მოცემულია ავტორის მიერ შესწავლილი ნაქარგობის ერთ-ერთი კოლექციის საფლავის ქვის გადასაფარებლების წარმომავლობა, დანიშნულება და ნივთის სახელწოდების ეტიმოლოგია.

ე. ბერელაშვილი საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს საეპისკოპოსო შესამოსელის აუცილებელ დეტალზე – მიტრაზე, ავტორს გამოკვლეული აქვს ამ ნივთთა კოლექციიდან ერთ-ერთი, მასზე დაცული წარწერიდან გამომდინარე „მიტროფანეს მიტრად" წოდებული. ამასთან ახსნილი აქვს საეპისკოპოსო მიტრისა და გვირგვინის რაობის საკითხი [46]. იმავე მკვლევარის სადისერტაციო ნაშრომში – „გვიანფეოდალური ხანის ქართული მიტრები: მხატვრულ-ისტორიული კვლევა" – მოცემულია მიტრების შექმნის ისტორია, შესწავლილია მათი მხატვრულ–ტექნიკური თავისებურებანი, მიტრის როლი და ადგილი გვიანფეოდალური საქართველოს ხელოვნების ისტორიაში. ნაშრომი სასარგებლო მასალას გვაწვდის ხელით ქარგვის ტრადიციის შესახებ და აგრეთვე, დაკარგული ძველი ქართული ელემენტების მოსაძიებლად [47].

ქართული საეკლესიო ნაქარგობის შესწავლის საკითხს ეძღვნება მკვლევარ ი. მელიქიშვილის სადისერტაციო ნაშრომი „ქართული საეკლესიო ნაქარგობის შესწავლის საკითხისათვის" . ავტორი ძირფესვიანად მიმოიხილავს უძველესი საბუხარების კვლევის შედეგებს და აკეთებს საინტერესო დასკვნებს [48].

ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების განყოფილების მიერ მომზადებულ სამეცნიერო-მონოგრაფიულ კატალოგში „ქართული ნაქარგობა" , შესულია რჩეული ნაქარგობათა კოლექციები – საილუსტრაციო მასალით, შესაბამისი ანოტაციებით, ნაქარგობაში გამოყენებული მასალებისა და შესრულების ტექნიკის აღწერილობით. ანოტაციებში მოცემულია ნაქარგი ნივთების იკონოგრაფიული და სიმბოლურ-სემენტიკური ანალიზი, ისტორია და ტექნოლოგია, წარმოდგენილია ექსპონატთა წარწერები და იდენტიფიცირებულია მათზე მოხსენებული ისტორიული პირები [49].

ქართული საეკლესიო ნაქარგობის ტექნიკას ეძღვნება ქ. ჭელიძის ინტერვიუ შ. ამირანაშვილის ხელოვნების მუზეუმის ნაქარგობისა და ქსოვილების ფონდის წამყვან სპეციალისტთან, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ ი. მელიქიშვილთან [50].

ნაქარგობას ეძღვნება მკვლევარ ე. ჩუბინიძის სტატია „ნაქარგობა – უძველესი ტრადიცია ქართულ ხელოვნებაში" , ავტორი აღნიშნავს, რომ ნაქარგობა მსოფლიო მასშტაბით იშვიათ დარგს მიეკუთვნება, წარსულის კუთვნილებადაა ქცეული და საქართველოს ისტორიისა და ქართული კულტურის ნაწილია და ხელოვანთა და ხელოვნების ისტორიკოსთა მხრიდან ყურადღებას საჭიროებს [51].

ამავე ავტორის სტატიაში [52] წარმოდგენილია ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცული საბუხარების კოლექციის კვლევის მასალები. სტატიაში დაწვრილებით არის გადმოცემული საბუხართა თეოლოგიური დანიშნულება და სიმბოლური დატვირთვა; წარმოჩენილია შესრულებული ნაქარგობის სრულყოფილება; დახასიათებულია კომპოზიციათა ხასიათი.

მქარგველი შემოქმედის ა. ასლანიშვილის ხელოვნების შესახებ ინფორმაციას შეიცავს თ. ნოზაძის სტატია „როგორ იქმნება ნაქარგი ხატები" [53].

საქართველოს ეთნოგრაფიულ ყოფაში დაცულ მასალებს – ოქროს თმისა და მავთულის დასამზადებელ ადიდას და დამზადების ტრადიციებს გვაცნობს მ. საჩკოვასა და ც. ზვიადაძის სტატია „ოქროს გამოყენების ისტორიიდან – ოქრომკედი"

[54]. სტატიაში ასევე განმარტებულია ოქრომკედის ტექნიკასთან დაკავშირებული არქაული ტერმინები.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ქსოვილების ფონდში დაცული ნაქარგობის ნიმუშის, კერძოდ, უბისის მონასტრიდან შემოსული დაფარნის შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას შეიცავს ე. ჩუბინიძის სტატია [55]. აღნიშნული ნივთი დაფარნათა მდიდარ კოლექციაში საინტერესო კომპოზიციური აგებულებითა და განსხვავებული იკონოგრაფიით იპყრობს ყურადღებას. სტატიაში განმარტებულია დაფარნათა რაობა, წარმომავლობა, ხმარების წესი და ლიტურგიის დროს მისი სიმბოლური არსი და დანიშნულება. ავტორი აკეთებს უბისის დაფარნის დეტალურ მხატვრულ ანალიზს, კითხულობს წარწერას და სავარაუდოდ განსაზღვრავს დაფარნის შექმნის თარიღს.

ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ქსოვილების ფონდის საბუხართა კოლექციის მიხედვით ამავე მკვლევარს დამუშავებული აქვს ნაშრომი [56], რომელიც მოიცავს ნაქარგობათა სტილისტურ-იკონოგრაფიულ ანალიზს და თითოეული ექსპონატის სამეცნიერო ანოტაციას. ნაშრომს თანდართული აქვს დღემდე გამოუქვეყნებელი საბუხართა ილუსტრაციები, ასევე ამ ექსპონატებზე უშუალო დაკვირვებით აღდგენილი ორნამენტის გრაფიკული და ფერადი ესკიზები. ნაშრომი ნათელს ჰფენს სულიერ და თვითმყოფად ნიმუშებს.

ქართული საერო ნაქარგობის საინტერესო – მანამდე გამოუქვეყნებელი ნიმუშებია (ფოტოილუსტრაციების სახით) წარმოდგენილი ი. მელიქიშვილის, ე. ნადირაძისა და ლ. ტოგონიძის ავტორობით გამოცემულ ნაშრომში „ქართული ტრადიციული სამოსი XVIII-XIX". კატალოგში მოცემულია სხვადასხვა მუზეუმებში თუ კერძო არქივებში დაცული საინტერესო ფოტოები – სხვადასხვა კუთხისა და სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელთა გამოსახულებით. ეს გამოცემა საინფორმაციო შემეცნებით ხასიათის პირველი ქართულ–ინგლისურენოვანი პუბლიკაციაა, რომელსაც უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ტრადიციისა და კულტურის პოპულარიზაციისათვის [57].

ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული, ოქროქარგულობით უხვად ორნამენტირებული საერო სამოსისა და რელიგიური რიტუალებისათვის განკუთვნილი საეკლესიო ნივთების კვლევას მიეძღვნა არაერთი ბოლოდროინდელი პუბლიკაცია, რომლებიც ისტორიულ მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელთა მიერ იქნა გამოქვეყნებული [58], [59], [60], [61], [62].

ნაქარგობის კვლევისადმი მიძღვნილი სპეციალური პუბლიკაცია გაცილებით ვრცელი და მრავალმხრივია რუსულ და ევროპულ სამეცნიერო ლიტერატურაში. ხელოვნების ამ სახეობისადმი მიძღვნილია უამრავი კვლევა და მონოგრაფია. უკანასკნელ წლებში რუსეთში მრავალი სახელმძღვანელო და მეთოდური მითითება გამოიცა ნაქარგობის სწავლის მსურველთათვის, რომლებიც შეიცავს საფუძვლიან ახსნა--განმარტებებს, სქემებს და სხვა პრაქტიკული ხასიათის რჩევა-დარიგებებს, ფერადი ილუსტრაციებითა და ნაქარგობათა სახეების ესკიზებით. დიდი ინფორმაციაა განთავსებული ინტერნეტსივრცეში, ესენია რუსულენოვანი ვებ-საიტები, ფორუმები და სხვა ქსელები, რომლებიც საჭირო წყაროების გაცნობისა და შერჩევის საშუალებას იძლევა.

ძველი ქართული ნაქარგობის კვლევის თვალსაზრისით გაწეული სამეცნიერო მუშაობა და დაგროვილი ღრმა შინაარსის მქონე მასალა ძალზე ღირებულია ამ მხატვრული ხელსაქმის განვითარების ეტაპების შესწავლისათვის და შემდგომ ქარგვის ტადიციის აღდგენისა და შესრულების ტექნიკის შესწავლა-დანერგვისათ-ვის.

ლიტერატურა:

1. ხახანაშვილი, ა. „ქართული გარდამოხსნა ტაბოლსკში". „ივერია"5, (1891).
2. ბოჭორიძე, გ. იმერეთის ისტორიული ძეგლები. თბ., 1975; ბოჭორიძე, გ. რაჭა--ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები და სიძველეები. თბ., 1914.
3. სონღულაშვილი, ი. მასალები ნაქარგობის სახეების ქართული ტერმინოლო-გიისათვის. ნარკვევები, გვ. 189-209. N5 1999.
4. სონღულაშვილი, ი. შეიდიშები ქართულხელ საქმეში. ნარკვევები, გვ.. 255-271 N10 2005.
5. კაკაბაძე ს. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები. ტფ. გვ.19-20, 49-50. 1928.
6. კაკაბაძე. რეცენზია კ. ბერლადინის წერილზე, რომელშიც განხილულია მე-17 საუკუნის ქართული ხატოვანი ხელსაქმის ნიმუშები ტ. 3 . თბილისი, 1929.
7. ჯავახიშვილი. (1982). მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და წვრილი ხელოსნობის ისტორიისათვის ტ. 2. ნაწილი 2. ქსოვა, ღებვა, ქარგვა. თბილისი: მეცნიერება.
8. ბარდაველიძე, გ. ჩ. (1939). ქართული ხალხური ორნამენტი – ხევსურული, თბილისი.
9. მელიქსეთ-ბეგი. (1940,10). მოსიარულე ენქერი. "მოამბე" ტ.1, 779-784.
10. ტყეშელაშვილი. (1960, 5). მძივით ქარგულობა. "საბჭოთა საქართველო", გვ 38-40
11. ტყეშელაშვილი. (1958, 4). მხატვრული ქარგულობა. საბჭოთა ხელოვნება, 25-28.
12. უზნაძე, ი. (1960). ქართული ხელსაქმის დიდი ამაგდარი. საქართველოს ქალი №9, 25-27.
13. თევზაძე, ლ. (1960). ქართული ხელსაქმის ოსტატები. საქართველოს ქალი N 9, 25-27.

14. პაპავები, ა. თ. (1964). ერთი ძველი ფარდის ამბავი. კავკასიონი. პარიზი. N70-73.
15. გაჩეჩილაძე, მ. (1968 #14). ერთ–ერთი ქართული ნაქარგობა ინგლისში. ძეგლის მეგობარი, 70-72.
16. დავითაშვილი. (1970). ქართული ნაქარგობის უძველესი ნიმუში. ძეგლის მეგობარი N 22, 2-33.
17. დავითაშვილი, ქ.ქართული ნაქარგობის ძეგლები. ძეგლის მეგობარი. 1972, 31.
18. მესხია, შ. (1949). ხელოსნური წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის საკითხებისათვის X-XII სს. ქართულ მონასტრებში. მიმომხილველი ტ. 1 , 59.
19. მახარაშვილი, ა. (1971# 25). მე-18 საუკუნის ენქერი. ძეგლის მეგობარი, 101-104.
20. ლანჩავა, კ. საკერავი ძაფი ძველ საქართველოში. მეცნიერება და ტექნიკა, 1972, 18-21.
21. მაჭავარიანი, ე. მანანას ნახელავი. საქართველოს ქალი 1975N 2, 14-15.
22. სახვაძე, ვ. ოქრომკედით ნაქარგი. გაზეთი "თბილისი", 1976, მაისი 24,
23. გვათუა, ნ. ხევსური ქალის ხელსაქმე. საბჭოთა ხელოვნება, 1976 N11 გვ.10-14.
24. დავითაშვილი, ქ. ქართული ნაქარგობა. თბილისი: ხელოვნება.1977.
25. ტუღუში, ა. უძველესი ქართული ნაქარგობა . ძეგლის მეგობარი 1977N43-44, 91-94.
26. მელიქიშვილი, ი. (1996). ზუგდიდის მუზეუმში დაცული საბუხარების გადათარიღებისათვის. ნარკვევები ტ. 2, 130-135.
27. ბერიძე. (1983). ქართული ნაქარგობის ისტორიიდან. გარდამოხსნები.თბილისი: მეცნიერება
28. მახარაშვილი, ა. (1984). უბისის გარდამოხსნა.თბილისი : ხელოვნება.
29. ლომიძე, დ. (1987). უცხოეთიდან მიღებული ზოგიერთი მასალა საქართველოს ისტორიის შესახებ. მრავალთავი XIV, 167-170
30. მელიქიშვილი, ი. (1995). ნაქარგობის უძველესი ნიმუში კაცხიდან. ნარკვევები ტ. 1, 27-37.
31. ნადარაის, ნ. (1995). ქართული წვივსაკრავები. ნარკვევები ტ.1 , 38-48.
32. მელიქიშვილი, ი. (1999). საბუხარები დავით-გარეჯის იოანე ნათლისმცემლის მონასტრიდან. ნარკვევები ტ.6 , 104-110.
33. მელიქიშვილი, ი. (1999). ელენე დედოფლისეული გარდამოხსნა. ნარკვევები ტ.5, 149-160.
34. სულხანიშვილი, ე. (1999). ფერადი ოდიკების შესწავლისათვის. ნარკვევები ტ.5.
35. ბარათაშვილი, გ. (2000). დაფარნათა წარმოშობის ისტორიიდან. ნარკვევები ტ.5, 111-119.

36. ბარათაშვილი, გ. დაფარნათა კომპლექტი სვეტიცხოვლიდან. ნარკვევები ტ. 7, 72-77, 2003.
37. ბარათაშვილი, გ. ქართულ დაფარნათა იკონოგრაფიული თავისებურებანი. თბილისი: სტუ. 2009.
38. ბარათაშვილი, გ. დედოფალ ანახანუმის დაფარნები. საქართველოს სიძველენი ტ.2, 161-175. 2007.
39. კეცხოველი, მ. კრეტსაბმელი. ნარკვევები ტ. 5 1999.
40. კეცხოველი, მ. ზოგიერთი საკითხი ქართული საეკლესიო ნაქარგობის ისტორიიდან. ნარკვევები ტ.6 , 93-103, 2000.
41. ნიკოლეიშვილი, მ. ქუთაისის მუზეუმის ეპიგრაფიკული ძეგლები. ქუთაისის მუზეუმის შრომები. კრებული 13, 2001.
42. ე. სულხანიშვილი, სამუზეუმო ქსოვილების რესტავრაცია-კონსერვაცია. ნარკვევები ტ.7, 119-124. 2001.
43. ი. ნიკოლეიშვილი, ე. ახვლედიანი ანტიოქიის პატრიარქის სამოსი ქართული ნაქარგობით. თსუ შრომები, 130-143. 2002.
44. მელიქიშვილი, ი. ქართული საეკლესიო ნაქარგობის ტექნიკა. ნარკვევები ტ. 9, 113-136. 2004.
45. სულხანაშვილი, ე. საფლავის ქვის გადასაფარებლები. ნარკვევები ტ. 9. 2004.
46. ბერელაშვილი, ე. მღვდელმთავარ მიტროფანეს მიტრა. საქართველოს სიძველენი, 2007 ტ.10, 118-135.
47. ბერელაშვილი, ე. გვიანფეოდალური ხანის ქართული მიტრები: მხატვრულ-ისტორიული კვლევა. თბილისი. 2013.
48. მელიქიშვილი, ი. ქართული საეკლესიო ნაქარგობის შესწავლის საკითხისათვის თბილისი: სტუ. 2009.
49. ბარათაშვილი, გ. და სხვები ქართული ნაქარგობა. თბილისი: ქარჩხაძის გამომცემლობა, 2011.
50. ჭელიძე, ქ. ქართული საეკლესიო ნაქარგობის ტექნიკა. ამბიონი, 2011.
51. ჩუბინიძე, ე. ნაქარგობა – უძველესი ტრადიცია ქართულ ხელოვნებაში. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომები. კრებული XXI, 2011.
52. ჩუბინიძე, ე. ორნამენტული დეკორი და ქრისტიანული სიმბოლიკა საბუხართა ძველ ქართულ ნაქარგობაში. ქუთაისის მუზეუმის შრომები. კრებული XXII, 2012.
53. ნოზაძე, თ. (2012, 12 10). როგორ იქმნება ნაქარგი ხატები. ამბიონი.
54. საჩკოვა, მ. ზვიადაძე ც. ოქროს გამოყენების ისტორიიდან – ოქრომკედი. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები. კრებული 19, 2008.

55. ჩუბინიძე, ე. (2013). ძველი ქართული ნაქარგობის ნიმუში უბისიდან. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები. კრებული XXIII, 2013.
56. ჩუბინიძე, ე. XVII-XIX სს. ქართული ნაქარგობა, ქუთაისი 2014.
57. მელიქიშვილი ი., და სხვები ქართული ტრადიციული სამოსი XVIII-XIX თბილისი: შპს "სეზანი", 2013.
58. უგრეხელიძე, ი., კიკნაველიძე ლ., დოლიძე, ნ. აჭარელი ქალის საქორწილო კაბის ანალიზის საკითხისათვის. ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომების კრებული XXIII, 2013.
59. უგრეხელიძე ი., ჩუბინიძე ე., მოსეშვილი თ. "ნაქარგობის წარმოშობის საკითხისათვის." საერთაშორისო სამეცნიერო – პრაქტიკული კონფერენციის „თანამედროვე ტექნოლოგიები და გამოყენებითი დიზაინი“ მასალები. ქუთაისი: აწსუ გამომცემლობა, 2014. 112-115.
60. უგრეხელიძე ი., ჩუბინიძე ე., სარავა ნ., დოღონაძე ა., მსხილაძე მ. ოქრომკედის დამზადებისა და გამოყენების ტრადიციები საქართველოში ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული შრომების კრებული XXIV. ქუთაისი 2015, 97-108.
61. ქარციძე ნ., ი. უგრეხელიძე ი. ნაქარგობის ისტორია უძველესი წერილობითი წყაროების მიხედვით საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება: კვლევა და მართვა“ ბათუმი 2015
62. ჩუბინიძე ე., უგრეხელიძე ი., ნაქარგობის ორნამენტის სახეები სვანეთის შუა საუკუნეების ფრესკულ მხატვრობაში სამეცნიერო ჟურნალი „ხანძთა“. თბილისი-ქუთაისი 2016.

.

თავი 2. ნაქარგობის წარმოშობა და მისი განვითარების ადრეული პერიოდი

2.1. ნაქარგობა უძველეს წერილობით წყაროებში

ნაქარგობის ისტორია ისეთ შორეულ წარსულში იღებს სათავეს, რომ დღეისათვის შეუძლებელია პასუხი გაეცეს შეკითხვას – მაინც როდის დაიბადა ქარგვის ხელოვნება? სავარაუდოდ ის ჩაისახა მაშინვე, როდესაც ადამიანმა პირველი გვირისტულა გააკეთა – მამონტის ტყავისაგან სამოსის შეკერვის მცდელობის დროს, როდესაც საკერავ ნემსად წვრილი ძვალი, ხოლო საკერავ ძაფად ნანადირევი ცხოველის ძარღვები გამოიყენა.

ქარგვისთვის საჭირო ძირითადი იარაღის – ნემსის გაუმჯობესებასთან ერთად (ძვლის ნემსის ბრინჯაოს, მოგვიანებით ფოლადის ნემსით შეცვლა) ადამიანმა ნაქარგობის შესრულების ახალ ხერხებსა და საშუალებებსაც მიაგნო. იმ უხსოვარ დროს ჩვენი შორეული წინაპარი უკვე ქმნიდა მარტივ სახეებს, პირობით ნიშან-სიმბოლოებს, რის საშუალებითაც გამოხატავდა გარემომცველი სამყაროს მისეულ აღქმას, მისთვის შეუცნობელ ბუნებრივ მოვლენებზე შეხედულებებს, თითოეულ ხაზსა და სიმბოლოს მისთვის გასაგებ დატვირთვას და აზრს აძლევდა.

დროთა განმავლობაში მარტივი სახეები და ნიშან-სიმბოლოები დახვეწილ და ლამაზ გვირისტებად გარდაიქმნა და ქარგვა მსოფლიოს ყველა კუთხეში საზოგადოების ყველა ფენისთვის აუცილებელ და ამავდროულად მიმზიდველ საქმიანობად გადაიქცა და მყარ ტრადიციად ჩამოყალიბდა. ხელგაწაფული ოსტატები ამ მხატვრულ ხელსაქმეში აქსოვდნენ თავიანთ გემოვნებას, შემოქმედებით უნარს, ფანტაზიას, სულიერ და ესთეტიკურ იდეალებს.

საუკუნეების განმავლობაში თაობიდან თაობას გადაეცემოდა ქსოვილისა და სხვა ყოფითი ნივთების ნაქარგობით შემკობის ხელოვნება.

მკვლევართა აზრით ნაქარგობის აკვანი, ისევე როგორც ხელოვნებისა და მეცნიერების მრავალი სხვა დარგისა, აღმოსავლეთში დაირწა. აზიაში ის გაცილებით

ადრე იყო ცნობილი და აღორძინებული, ვიდრე საბერძნეთსა და რომში ეზიარებოდნენ. თუმცა მის გამოგონებას ბერძნები მინერვასა და ათინა-პალადას მიაწერდნენ.

უპირველესი წერილობითი წყარო, რომელშიც საუბარია ნაქარგობის შესახებ ძვ. წ. XIX ს-ით დათარიღებული ჩინური ისტორიული დოკუმენტებისა და დებულებების (წესდება საზოგადოებრივი ქცევის შესახებ) წიგნი "შუცზინია" (იგივე "შანშუ"). წიგნის ჩანაწერების თანახმად, სპეციალური დადგენილბით დაკანონებული იყო – ოფიციალური და სადღესასწაულო სამოსი მორთული ყოფილიყო დახატული ყვავილებითა და ნაქარგობებით [1].

ნაქარგობის შესახებ უძველეს წყაროს განეკუთვნება აგრეთვე ბიბლია. ბიბლიის წიგნებში "გამოსვლათა" "ქებათა-ქება სოლომონის" , "ეზეკიელი" , "ფსალმუნნი" (ძვ. წ. XIII-V სს.) მრავალგზის არის საუბარი ნაქარგობის შესახებ. ასე, მაგალითად, წიგნში – "გამოსვლათა" აღწერილია - უფლის დავალებით როგორ მოაწყობინა მოსემ ძველი აღთქმის სავანე ისრაელ ხალხს, როგორ ამოარჩია უფალმა ბეცალიელი და იჰოლიაბ, აღავსო ისინი ღვთის სულით, სიბრძნით, გონებით და ყოველგვარი ხელოვნების უნარით, მათ შორის ქარგვის, ქსოვისა და ყველა სხვა ხელობის ცოდნით. ხელგაწაფული მარჯვე დედაკაცების (ვისაც თავისი ხელით რთვა შეეძლო) დახმარებით როგორ დაამზადეს, ლურჯი, ძოწეული და ჭიაფერი ქსოვილებისა და ბისონისაგან (სელი) კრეტსაბმელი ტაძრისათვის, ეზოსათვის, სავანისა და ეზოს კარიბჭისათვის და შეამკეს ის ნაქარგობით: „აუვსო გული სიბრძნით (ღმერთმა) რომ ...ქარგონ ლურჯ, ძოწეულ და ჭიაფერ ქსოვილზე და ბისონზე" და სხვ.; წიგნში „ქებათ-ქება სოლომონის" : „ტახტრევანი გაიკეთა მეფე სოლომონმა ლიბანის ძელთაგან. სვეტები მისი ვერცხლისაგან შექმნა. სანიდაყვენი – ოქროსაგან, საყდარი – მეწამული ქსოვილისაგან, შიგნიდან სიყვარულით მოქარგეს იერუსალიმის ასულებმა" ; წიგნში „ეზეკიელის წინასწარმეტყველება" : „ეგვიპტური მოქარგული ზეზისა იყო შენი აფრები, რომ დროშად გქონოდა; შენი გადასახურავი ელიშას კუნძულთა ლურჯი და მეწამული ქსოვილისაგან იყო", ასევე „ფსალმუნნი" : "მოქარგული კაბით მოჰყავთ იგი მეფესთან" [2].

უძველესია ასევე ჩინეთის დასავლეთ ჯოუს დინასტიის (1046-770 წწ. ძვ. წ.) დროინდელი კლასიკური ტრაქტატი რიტუალებისა – "ჯოული" , რომელშიც არაერთგზი არის ნათქვამი – "ნაქარგობა და ფერწერა განუყოფელია" .

ნაქარგობა ხშირად გვხვდება უძველეს ლიტერატურულ და ისტორიულ ძეგლებში – ანტიკური პერიოდის ავტორებთან, როგორებიცაა ჰომეროსი (ძვ. წ. VIII ს.), არისტობულუსი (ძვ. წ. IV ს.), ოვიდიუსი (ძვ. წ. I ს.), პლინიუსი (ახ. წ. Iს.), დიონისე ჰალიკარნასელი (ძვ. წ. I ს.), სტრაბონი (ძვ. წ. Iს. - ახ. წ. Iს.), ფლავიუსი (ახ. წ. I ს.).

ჰომეროსი „ილიადა" მოგვითხრობს: „ტურფად ნაქარგი მოსასხამი შემოენახა/ სიდონელ ქალთა ნახელავი ღვთაებრივ პარისს..." („ილიადა" ქება 6); პარისმა ტროაში მოიყვანა ხელგაწაფული ქალები ტვიროსიდან და სიდონიდან, რომლებიც განთქმული იყვნენ ორნამენტული ქსოვილების დამზადებით; იქვე აღწერილია ელენეს ხელსაქმე - „დიდ თეთრ ქსოვილს ქარგავდა" [3].

„ოდისეაში" აღწერილია ღვთაებრივი ულისეს ძვირფასი მოსასხამი, რომლის კალთები მდიდრულადაა მოქარგული [4].

ალექსანდრე მაკედონელის თანაბედროვე და მემატიანე არისტობულუსი ბაბილონელთა მეფის კისიისის სამარხის აღწერისას აღნიშნავს, რომ ოქროს კუბოში ჩასვენებული მეფის სხეული ოქროს ტახტზე იდო, რომელზეც გადაფარებელი იყო ნაქარგობით უხვად შემკული ბაბილონური ქსოვილი [5].

ძველ რომაელ პოეტს ოვიდიუსს „მეტამორფოზაში“ მოთხრობილი აქვს ლეგენდა არახნეს შესახებ – მღებავი იდმონის ქალიშვილმა ქალღმერთ მინერვასაგან ისწავლა ქსოვა და ქარგვა და შეჯიბრის დროს კიდევაც აჯობა მასწავლებელს. განრისხებულმა მინერვამ არახნე ობობად გადააქცია.

ძველი რომაელი მწერალი პლინიუსი თავის „ბუნების ისტორიის“ VIII წიგნში წერს, რომ რომაელები ქარგვის ხელოვნებას გაეცვნენ ატალუს პერგამოელის მეშვეობით. პერგამუსის სამეფოს მმართველმა (IIს. ძვ. წ.) ატალუსმა აზიაში აღმოაჩინა ნაქარგობის ოქროს ძაფით შესრულების მეთოდი. გადმოცემის მიხედვით ნაქარგობის ხელოვნება რომში პერგამოსიდან იქნა შეტანილი და ატალინური ეწოდა - აღმომჩენის ატალუსის პატივსაცემად [6].

ბერძენი ისტორიკოსი დიონისე ჰალიკარნასელი შრომაში „რომის სიძველენი“ აღნიშნავს, რომ რომში პირველად ტარკვინიუს პრისკუსი (ძველი) (ძვ. წ. VII-VIს.) გამოჩნდა ოქროთი ნაქარგი მოსასხამით [7].

ბერძენი ისტორიკოსის სტრაბონის ცნობით (წიგნი XV, თ. I) ბერძნები ალექსანდრე მაკედონელის სპარსეთში ლაშქრობისას გაეცნენ აზიური ქვეყნების და მათი მმართველების უსაზღვრო ფუფუნებას. ისტორიკოსს აღწერილი აქვს ალექსანდრე მაკედონელის განცვიფრება და აღფრთოვანება სპარსეთში ოქროთი მოქარგული და ძვირფასი ქვებით მოოჭვილი ტანსაცმლის და ასევე ინდოეთში მდიდრულად და ნაირფრად, მულინის ძაფებით მოქარგული, უნაზესი ბადისებრი ინდური ქსოვილების ნახვისას. მაკედონელმა, დარიუსის ძვირფასი კარვის ნაქარგობებით აღფრთოვანებულმა, გამოცდილ კვიპროსელ ოსტატებს დაუკვეთა მსგავსი ქსოვილის დამზადება უძვირფასესი მანტიისათვის [8].

ებრაელი ისტორიკოსი და მხედართმთავარი იოსებ ფლავიუსი თხზულებაში – „იუდეას ომი“ აღნიშნავს, რომ კრეტსაბმელი, რომელიც ჰეროლემ შესწირა ტაძარს, იყო ბაბილონური, ლურჯად და წითლად მოქარგული ძვირფასი ქსოვილი – კოსმოსისა და სხვა ორნამენტების გამოსახულებით [9].

როგორც უძველესი წერილობითი წყაროების ანალიზი გვიჩვენებს, ქარგვის ხელოვნებას დიდი ხნის ისტორია აქვს და ადამიანის უპირველეს შრომით იარაღებს უკავშირდება. მისი მაღალმხატვრულ საფეხურზე გადასვლა და როგორც ხელოვნების დარგის ჩამოყალიბება აღმოსავლეთში, კერძოდ ჩინეთში დასტურდება, საიდანაც თანდათან გავრცელება ჰპოვა მთელ შუამდინარეთში, ეგვიპტეში, ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. ის დიდი პოპულარობით სარგებლობდა ძველი ცივილიზაციის ყველა ქვეყანაში.

ლიტერატურა:

1. Китайская вышивка http://russian.cri.cn/941/2012/09/28/1s443435.htm.
2. ბიბლია ძველი აღთქმა - წიგნი გამოსვლათა. თ. 35.35; ქებათ-ქება სოლომონის თ. 3. 9-10; ეზეკიელის წინასწარმეტყველება, თ. 27.7, თ. 27.16, თ. 27.24; ფსალმუნი 44. 15 თბილისი: საქართველოს საპატრიარქო, 1990.
3. Гомер. Илиада. Перевод Н. И. Гнедича. Л., «Наука», 1990.
4. ჰომეროსი - "ოდისეა" პალიტრა, თბილისი 2011;
5. Lefebure Ernest, Embroidery and lace: their manufacture and history LONDON:1888, 22.
6. Pliny, Natural History, Book VIII. 2005.
7. Дионисий Галикарнасский, Римские древности. / Пер. Н. Г. Майоровой и др. Серия «Историческая библиотека. Античная история». М.: Издательский дом «Рубежи XXI», 2005.
8. ყაუხჩიშვილი ს., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 124.
9. Lefebure Ernest, Embroidery and lace: their manufacture and history LONDON:1888, 39.

2.2. ქართული ხელსაქმის ტრადიციები უძველეს წერილობით წყაროებში

ნაქარგობისათვის საჭირო ყველა მასალის - ძაფის, მკედის, ქსოვილის და მათ მისაღებად საჭირო ნედლეულის - სელის, ბამბის, მატყლის, აბრეშუმის დამზადების ტრადიცია ჩვენს ქვეყანაში ოდითგანვე არსებობდა.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებმა უძველესმა ტომებმა უხსოვარი დროიდან აითვისეს ხალხური ხელსაქმე – ძაფის დართვა და ქსოვა. „ქსოვა-მქარგველობა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში ყოფილა გავრცელებული. ხალხური ხელსაქმე ტრადიციულ ქართულ ოჯახებს წესად მოსდევდათ" [1]. ათასწლეულების განმავლობაში იხვეწებოდა და სრულყოფილი ხდებოდა ქსოვილის დამზადების და დამუშავების ტექნიკური და მხატვრული მეთოდები. ტრადიციამ საუკუნეები გამოიარა, ჟამთა სიავეს გაუძლო და ჩვენამდე მოაღწია. ჯერ კიდევ უახლეს წარსულში – ფაბრიკული ქსოვილების ფართოდ გავრცელებამდე, საქართველოს ყველა კუთხეში სხვადასხვა დანიშნულებისათვის მზადდებოდა სელის, კანაფის, შალის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილები.

ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა, რელიეფი და კლიმატური პირობები ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენდა საფეიქრო წარმოებისათვის საჭირო, როგორც მცენარეული (სელი, კანაფი, ბამბა, ჭილოფი), ისე ცხოველური წარმოშობის (ტყავი, მატყლი, აბრეშუმი) ნედლეულის მოსაყვანად. მცენარეული და ცხოველური ბოჭკოს გარდა ძვირფასი ტანსაცმლისათვის (უმაღლესი საერო და სასულიერო პირებისათვის) ქსოვილს ოქრომკედისა და ვერცხლმკედისგან ამზადებდნენ.

საქართველოში უძველესი ქსოვილის დამზადებისა და საფეიქრო საქმის განვითარების შესახებ უხვ მასალას შეიცავს ანტიკური ხანის უცხოური წერილობითი წყაროები, უცხოელ მოგზაურთა და მკვლევართა ჩანაწერები, უძველესი ქართული საისტორიო და ლიტერატურული ძეგლები.

ანტიკურ სამყაროში კოლხეთი ყურადღებას იქცევდა არა მარტო რკინის დამუშავების საიდუმლოს ფლობით და ოქროს მოპოვებით, არამედ ხელსაქმითა და ქსოვილების დამზადების ტრადიციით. ჯერ კიდევ ძვ. წელთაღრიცხვის V საუკუნეში ბერძენი ისტორიკოსი ჰეროდოტე (ძვ.წ. V ს.) გვაწვდის ცნობას, რომელიც ადასტურებს, რომ კავკასიელ ტომებში საკმაოდ მაღალ დონეზე იდგა წარმოება-ხელოსნობის დარგები: ქსოვა, რთვა, ღებვა, მოხატვა, მცენარეული საღებავების დამზადება. ჰეროდოტე "ისტორიის" მეორე ნაწილში კოლხებს გამოარჩევს, როგორც სელის წარმოებაში დახელოვნებულ ტომს და მათ მიერ დამზადებულ სელს, ხარისხითა და დამუშავების ტექნოლოგიით, ეგვიპტურს უთანაბრებს: „მხოლოდ კოლხები და ეგვიპტელები ამუშავებდნენ სელს ერთნაირად. კოლხურ სელს ელინები სარდონულს უწოდებენ" წიგნში – „კლიო" ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ კავკასიის მთებში მცხოვრები ტომები „ფოთლებს ნაყავენ, ურევენ წამალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს, ხოლო ეს ნახატები კი არ ხუნდება, არამედ ცვდება დანარჩენ შალთან ერთად, თითქოს თავიდანვე ჩაქსოვილია მასში" [2].

კოლხებს, როგორც სელის კულტურის მომყვან და მწარმოებელ ტომს, იცნობს ძვ. წ. V ს-ის ბერძენი მწერალი პინდარე. ცნობები კოლხური სელის ქსოვილის მაღალი ღირსებისა და სახელგანთქმულობის შესახებ კალიმაქესთანაც (ძვ.წ. III ს.) არის შემონახული.

რიგი ცნობებისა ქართული ქსოვილების შესახებ დაცულია ბერძენი მწერლების – ქსენოფონტისა და სტრაბონის თხზულებებში. ისინი ახსენებენ ქართველურ მოსახლეობას, რომელთაც სელის აბჯრები ჰქონდათ.

ქსენოფონტის (ძვ.წ. IV ს.) "ანაბასისში" აღწერილია, რომ ხალიბებს ეცვათ სელის აბჯრები, რომლებითაც მუცლის ქვედა ნაწილებამდე იყვნენ დაცული, ხოლო აბჯრის კალთების ნაცვლად მჭიდროდ დაგრეხილი თოკები. მოსინიკების შესახებ იგივე ავტორი წერს: "მათ ეცვათ ტილოს სიმკვრივის მოკლე ქიტონები, რომელნიც მუხლებს ვერ სწვდებოდა. თავზე ეხურათ პაფლაგონურის მსგავსი ტყავის მუზარადები" [3].

სტრაბონის ((ძვ.წ. I – ახ. წ. I ს.) ცნობით, "ალბანელებს აქვთ ტყავის აბჯრები იბერების მსგავსად. პომპეუსის ქართლში ლაშქრობისა და იბერებთან ბრძოლაზე თხრობისას აღნიშნავს, რომ "იბერები ტყავის მუზარადებს ხმარობენ" [4].

ანტიკურ პერიოდში კოლხეთისა და იბერიის მოსახლეობა სელის გარდა შალის, ბამბის და სხვა ქსოვილების დამზადებასაც მისდევდა. აბრეშუმი კი ქრისტიანობამდელ პერიოდში ჩინეთიდან შემოტანის საგანი იყო. საქართველომ ყველაზე ადრე შეითვისა ჩინელებისაგან მეაბრეშუმეობა, „დიდი აბრეშუმის გზა" სწორედ საქართველოზე გადიოდა, ხოლო შუა საუკუნეებში აბრეშუმის წარმოებამ ისეთ დონეს მიაღწია, ჩინური აბრეშუმიც კი დაჯაბნა მსოფლიო ბაზარზე.

X საუკუნის არაბი მოგზაურის იბნ ჰაუკალის მიხედვით შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მცხოვრებნი განთქმული იყვნენ სელის ქსოვილით, რომელსაც ადგილობრივ ენაზე ეწოდებოდა ტალ [5].

ბიზანტიელი მწერალი ნიკიტა ხონიატე (XII ს.) გვაწვდის ცნობას, რომ ჯერ კიდევ ტრაპიზონის იმპერიის დაარსებამდე კომნენოსები ხშირად ჩნდებიან იბერიული სამოსით. ანდრონიკე კომნენოსი (1183-1185 წწ. ეკავა კეისრის ტახტი) ყოველდღიურად ატარებდა იისფერი ქართული ქსოვილისაგან შეკერილ ზედა სამოსელს. პატრიარქ თეოდოსის (1178-1183 წწ.) დელეგაციას, რომელმაც ბიზანტიის იმპერატორის მანუელ კომნენოსის გარდაცვალების შემდეგ, ანდრონიკეს იმპერატორობა სთხოვა, იგი „იბერიული ქსოვილისაგან შეკერილი" იისფერი მოსასხამით წარუდგა [6].

ვენეციელი მოგზაური მარკო პოლო (XIII ს.) წერდა: „საქართველოში ბევრია აბრეშუმი, ოქროქსოვილი, რომლის სადარსაც ვერსად ნახავ" [7].

სპარსელი გეოგრაფი ზაქარია ალ-ყაზვინი (XIII ს.) თავის შრომაში გადმოცემს, რომ საქართველოში სავაჭრო საქონელს შორის ქსოვილებს საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა. თბილისის აღწერისას იგი სავაჭრო ურთიერთობებსაც ეხება და წერს: "მრავალნაირი ნაბდები, ტანსაცმელი, ფაქიზი ნოხები, ქვეშაგები, თხელი შალი, აბრეშუმი და მისთანანი გააქვთ" [8].

ვენეციელი დესპანის ამბროზიო კონტარინის (XV ს.) აღწერილობის თანახმად სამეგრელოს მთავარს საბედიანოს შავი ზღვის პირას, ბათუმის მახლობლად პატარა

ქალაქი ჰქონია, რომელიც ერთ-ერთ სავაჭრო ცენტრად ყოფილა. იქ თურმე აბრეშუმს, მომსხო ტილოსა და თაფლს ჰყიდნენ.

XV ს-ის უცხოელ მოგზაურის იოსეფა ბარბაროს ჩანაწერებით სამეგრელოში ტილოს კანაფისა და ჭინჭრის ბოჭკოსაგან ქსოვდნენ და იგი საკმაოდ დაბალი ხარისხისა იყო [9].

კათოლიკე მისიონერი არქანჯელო ლამბერტი (XVII ს.) დიდძალ და საინტერესო მასალას გვაწვდის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ყოფის შესახებ. "სამეგრელოს აღწერაში" საგანგებოდ ეხება საფეიქრო ნაწარმით ვაჭრობას და აღნიშნავს, რომ "მეგრელები გამოიტანენ კანაფს... სელს ან სელის თესლს და ამაებს უცვლიან თურქებს შალზე". ოდიშელთა შესახებ ავტორი ასევე წერს, რომ თურქები "... ოდიშიდან იღებენ ... ადგილობრივ ტილოს, ძაფს, აბრეშუმს, ხარის, კვერნის და წავის ტყავს, სელის თესლს...".ეს ცნობა საინტერესოა, რადგან გვაუწყებს, რომ XVII ს-ში სამეგრელოში ჯერ კიდევ მოჰყავდათ სელი, კანაფი და აბრეშუმი, როგორც ქსოვილების დასამზადებლად, ისე ნედლეულის სახით გასაყიდად. აბრეშუმი კი სავარაუდოდ, პარკის სახითაც გაჰქონდათ საზღვარგარეთ.

ქუთაისის აღწერისას ლამბერტი აქაურ აღებ-მიცემობაზეც ამახვილებს ყურადღებას და მოგვითხრობს, რომ „მთებიდან ჩამოდიან სვანები, რომელთაც ჩამოაქვთ თავისი შინაური ნაწარმი, ნაბდები და მსხვილი შალები... ქართლიდან მოდიან ქართველები და ირანელები, რომელთაც ჩამოაქვთ ძვირფასი ირანული შალები და ინდოეთის ფერადი ქსოვილები..." [10].

საინტერესო მონაცემებს შეიცავს XVII ს. რუსი ელჩების ა. იევლიევისა და ნ. ტოლოჩანოვის ნაშრომში "იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა" . რუსი ელჩების გადმოცემით იმერეთში ყველგან მისდევდნენ აბრეშუმისა და ბამბის მოყვანას: „აბრეშუმი ყოველ სახლში მოჰყავთ, ბამბაც ასევე". ელჩების მონათხრობის თანახმად მე-17 ს-ის იმერეთში მოსახლეობის ფართო ფენები ძირითადად ადგილობრივ ნამზადი ქსოვილების (აბრეშუმის, შალის, ბამბის) სამოსს ატარებდა, ხოლო სამეფო კარისა და დიდგვაროვნების სამოსისათვის ძვირფასი ქსოვილები უმეტესად ირანიდან და ოსმალეთიდან შემოჰქონდათ [11].

ჩვენთვის საინტერესო დარგის შესახებ ცნობას ვხვდებით XVII საუკუნის ფრანგი მოგზაურის ჟან-ბატისტ შარდენის ჩანაწერებშიც. თბილისის დახასიათებისას იგი წერს: "საქართველოში ბევრი აბრეშუმი მოდის... აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთში, არზრუმში და სხვა გარე ქვეყნებში, სადაც კარგ ფასად ყიდიან". სავარაუდოდ, რადგანაც აღნიშნული დროისათვის აბრეშუმის ქსოვილები და მზა ტანსაცმელი საქართველოში ძირითადად აღმოსავლეთის ქვეყნებიდან შემოდიოდა, შარდენის ეს ინფორმაცია ისე უნდა გავიგოთ, რომ ჩვენი ქვეყნიდან საექსპორტოდ აბრეშუმი უმეტესად ნედლეულის სახით გაჰქონდათ [12].

XVIII ს-ის საქართველოში საფეიქრო დარგის მდგომარეობაზე ზოგიერთი ცნობა დაცულია გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის აკად. ი. გიულდენშტედტის ჩანაწერებში. აფხაზეთის, კახეთის, ქართლისა და რაჭის აღწერისას მას მოჰყავს ცნობები ქსოვილის ბოჭკოს მოყვანის, ტანსაცმლისა და სხვადასხვა ქსოვილების დამზადების და ყიდვა-გაყიდვის შესახებ. ი. გიულდენშტედტს აღნიშნული აქვს,

რომ მაშინ რაჭაში ძაფის დასამზადებლად მცირე რაოდენობით კანაფის ბოჭკოს იყენებდნენ, თუმცა რა დანიშნულება ჰქონდა კანაფის ძაფს, ამას არ აზუსტებს [13].

უძველეს ქართულ წერილობით წყაროებსა (აგიოგრაფიულ ნაწარმოებებში, ისტორიულ მატიანეებში, საკანონმდებლო საბუთებში, სიგელებში და სხვა ძეგლებში) და ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მრავლად გვხვდება ხელსაქმესთან – რთვა--ქსოვასა და ფეიქრობასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტერმინები და ამ საქმიანობისათვის საჭირო იარაღების სახელები. ისინი არის როგორც ზოგადი ხასიათის, ასევე კონკრეტული შინაარსის შემცველი. ზოგადი შინაარსის ტერმინებია: "ნაქსოვი" , „ქსოვილი" "ქსოვა" , „სამოსელი ქსოვილი" , "ქსელვა" , თანაშექსული" , "ნაქსოვი ლარულად" და "ნაქსოვი ორხაულად", "ლარი" და სხვ.

ქსოვას სულხან-საბა-ორბელიანი ასე განმარტავს: "ქსოვა – ქსელისა და საზედაოს შეაწმასნვა" .

ქსოვილთა ზოგადი სახელის აღმნიშვნელი ტერმინი – „ნაქსოვი" პირველად ლ. მროველის მეფეთა ცხოვრებაში გვხვდება: "სუმბატ წარავლინა მოციქულნი და ჰრქუა, რომელნი აღგიღია... ოქრო და ვერცხლი და ნაქსოვი ყოველი მომინიჭებია თქუენდა" [14].

ტერმინი 1105 წ-ის საეკლესიო სამართლის კრებულში – "რუის ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლწერაშიც" გვხვდება: „ნაქსოვი, სპილენძი, რკინა, ხე, თიხა, ქვა, - ვადგენთ წმინდა კანონთა მიხედვით, რომ არავის მიეცეს მათი ხმარების უფლება" [15].

ქსოვის პროცესის აღმნიშვნელ ძველქართულ ტერმინად თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში, "შესთვა" არის დასახელებული: "ბრძანებაი გასცა წინაშე მოყვანებად დიასახლისი იგი, რომელმაც აღიარა ათორმეტისა მღვდელისათვის უფროისად სრულისა კუართ-ფილონისა შესთვაი.. მიერითგან იწყო ამანაცა ალექსანდრიით ვაჭართაგან მიღებულისა მატყლისაგან სთვად და ქმნად შესამოსლისა" . დასახელებულ ნაწყვეტში „კვართ-ფილონისა შესთვა" გულისხმობს კონკრეტული სამოსის მოქსოვას [16].

ქართული ზეპირსიტყვიერების ძეგლებიდან არაერთ ხალხურ ზღაპარშია შემონახული ცნობა საფეიქრო ხელსაქმის ტრადიციის შესახებ: ერთ-ერთი ასეთია წარმართული პერიოდის ზღაპარი – "ანანა" , სადაც მოთხრობილია: "წავიდა ანანა, დაჯდა მაღლა სართულზე, აიტანა ტარი და დაუწყო აბრეშუმს რთვა" .

სხვადასვა მასალისა და ფერის ძაფთაგან ქსოვას "შერთულად ქსოვა" ეწოდებოდა: "ნუ შეიმოს სამოსელსა რომლისა მატყლი და სელი შერთულად მოქსოვილ იყოს" - ნათქვამია ბიბლიაში.

შერთულად მოქსოვილი ზოგჯერ "ჭრელად ნაქსოვსაც" იძლეოდა, ასეთივე იყო "თანაშექსულიც": "გვირგვინ სკიპტრანი, ბისონ-მიტრანი, /ძოწეულითა თანაშაექსულნი" [17].

ერთმანეთისაგან განსხვავებულია ქსოვა ლარულად და ქსოვა ორხაულად, რასაც „ვეფხისტყაოსანიც" მოწმობს. ერთი ძვირფასი და უცნობი ტექნიკით შესრულებული ქსოვილის შესახებ პოემაში ვკითხულობთ: "არცა ლარულად ჰგებოდა მას ქსელი, არც ორხაულად /სიმტკიცე ჰგვანდის ნაჭედსა, ვთქვი ცეცხლთა შენართაულად" [18].

“ლარულად” ქსოვით სამოსისათვის საჭირო ქსოვილი იქსოვებოდა, რომელიც ქსელისა და მისაქსელის გადახლართვით მიიღება, ხოლო “ორხაულად” ქსოვა — ნოხებისა და ფარდაგ-ხალიჩების (ხაოიანი ნაწარმის) დამზადებისათვის გამოიყენება.

ქსოვის პროცესის აღმნიშვნელია აგრეთვე ძველქართული ტერმინი “ბეჭვა“ , როელიც გვხვდება „ვეფხისტყაოსანში“ [18]. “ბეჭვა – ძაფების მიყვანა ერთმანეთზე ქსოვის დროს იარაღით, რომელსაც ბეჭი ჰქვია“ — განმარტავს აკ. შანიძე.

ვახუშტი ბატონიშვილი სხვადასხვა კუთხეების აღწერისას გვაწვდის ცნობებს ხელსაქმის ტრადიციების შესახებ: “ქალთა მათთა უწყიან... ქსოვა შალისა, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა“ . იმ დროს ვაჭრობა ნატურალურ ხასიათს ატარებდა და აღებმიცემობის ერთ-ერთ საგანს ქსოვილები წარმოადგენდა: “არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი...” [19].

ქსოვილის მნიშვნელობით წერილობით ძეგლებში არაერთგან გვხვდება “ლარი“ , რომელიც ზოგჯერ ქსოვილის ზოგად სახელადაა გამოყენებული, ზოგ შემთხვევაში კი ძვირფასი ფარჩის ქსოვილის აღმნიშვნელია.

თამარის მემატიანის (ე. წ. პირველი ისტორიკოსის) თხზულებაში – „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ მოთხრობილია: “იქმნა ქორწილი სახე-დაუდებელი და იგავ-მიუწვდომელი, სიმრავლენი სახეობათაგანი, ძღუნობანი და ნიჭებანი თუალთა და მარგალიტთანი, ოქროთა ჭედილთა და უჭედელთანი, სიმდიდრეთა და ლართა კერულთა და უკერულთანი“ [20].

ამ შემთხვევაში „ლარი“ ქსოვილთა ზოგად სახელწოდებას აღნიშნავს. ამავე მნიშვნელობითაა ის დასახელებული XI ს. – „ამირანდარეჯანიანში“ [21], XII ს. – “ვისრამიანში“ [22], “ვეფხისტყაოსანსა“ [23] და “თამარიანში“ [24].

- „მოვედით კართა მათთა და და ლარისა სიმრავლისა რიცხვი არა იყო“, „და უფროსი გამომვეთხოვნეს და ლარითა გავუშვენით“, „ქარავანი დავიონავრენით და ავიღეთ ლარი რომლისა არა იყო რიცხვი“ („ამირანდარეჯანიანი“);
- „დავლა და ბედი, ლარი და საჭურჭლე მათი მთისაგან უმზიმესი იყო“, „რა შაჰინშა ამის წიგნისაგან მოიცალა, საჭურჭლე ლარისა და ოქროსგან დაცალა“, „ოქრო და ლარი უბოძა, აავსნა საბოძუითა“ („ვისრამიანი“);
- „ზღვასა შევედით ტვირთულნი ლარითა მრავალფერითა“ ; „იდვის გორი ლარისა, სტავრისა და ატლასისა“ , ასევე – „დილასა ლარი ყოველი უჩვენა, გაახსნევინა, ტურფანი სეფედ გარდასხნა, ფასიცა დაათვლევინა“ („ვეფხისტყაოსანი“).
- „აღივსენ ტყვითა, ლარ-პირუტყვითა“ („თამარიანი“).

მოყვანილი ციტატებიდან ჩანს, რომ ლარი ქსოვილთა აღმნიშვნელი საერთო ტერმინია და ამასთანავე, რიგ შემთხვევებში, კონკრეტული ქსოვილის აღმნიშვნელადაც იხმარება მაგალითად, როგორც “ტურფა ლარი“ ე.ი. ძვირფასი ქსოვილი.

რკონის XIII ს-ის სიგელში ლარი გაცვლა-გამოცვლის ექვივალენტადაც არის დასახელებული: „წავიდი ორტაღთაგან ლარი და თეთრი ავიღი, ვიარებოდი და ვყიდდი“ [25].

ძვირფასი ქსოვილის მნიშვნელობით არის ლარი მოხსენებული საერო სამართლის ძეგლში „ხელმწიფის კარის გარიგებაში“ (XIV ს.): „ლარი და ჭურჭელი ოქრო-

სი და ვერცხლისა, ჩინური და ქაშანური უსაღვინო, ყოველი საჭურჭლესა ძეს და დგას“ . ამავე დოკუმენტმა შემოგვინახა საინტერესო ცნობები მეფის სამგზავრო საწოლის შესახებ. მისი აღწერილობა ასეთია: „დიდ მაფრაში, რომელსა შიგან იდვას: ერთი მომცრო უკეთესი ორხვა, ერთი ლაიბი, ერთი სუნდუზი და ერთი სასთაული. ეს ერთი თხელს ლარის ბუდესა შიგან და ეგეთი მაფრაშასა შიგან იდვას და ერთი ტყავისა და ერთი ზედ გარდააფარონ. მით სახურავითა ნაკერითა დახურონ და წითლის ბანბის ქარშიკით დააკრან”.

ლარის შესახებ საუბრობს ვახუშტი ბატონიშვილიც სხვადასხვა კუთხის მცხოვრებთა სამოსის აღწერის დროს „...შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთ-რიგად: ... ტანს კაბა ლარისა“ , ქალის ჩაცმულობის შესახებ ავტორი წერს: „ახალუხი ლარისა, კაბა ძვირფასი ლარისა, გრძელი ფერხთამდე. სარტყელი დიბისა ანუ შალისა, წვერებჩაშვებული“ .

წერილობით ძეგლებში ტერმინი „ტილოც“ გვხვდება. ტილო უძველესი ქსოვილია. სულხან-საბას ლექსიკონის მიხედვით „ტილო არის სელთა და კანაფთა ლარი“ , ანუ ქსოვილი [26]. წერილობით ძეგლებში მრავლად გვხვდება ტერმინი “სამოსელი სელისა“ . იოანე ბოლნელის (X-XI ს.) „ქადაგებაში“ ნათქვამია: „მოიღეთ სამოსელი იგი პირველი რომელი იქსოების სელისაგან და შეჰმოსეთ მას“ [25].

ვახუშტი ბატონიშვილი გვაწვდის ცნობებს: “ბამბა და სელი გარჯით მოდის, ხოლო კანაფი – უმუშავოთ”. ავტორს დასახელებული აქვს სელის კულტურის მოყვანის ადგილები – ბერდუჯი, აბოცი, თრიალეთი, ტაშირი, ხევი [20].

ასევე მრავალგზისაა დასახელებული წერილობით წყაროებში შალის ქსოვილისაგან დამზადებული “სამოსელი მატყლისა“ .

„შუშანიკის წამებაში“ ნახსენებია სხადასხვაგვარი მატყლის ქსოვილის სამოსი [27] – „გირჯაკი“ , „ხალენი“ , „კილიკი“ , „ძაძა“ :

„ქვესაგებად იყო გირჯაკი ერთი ძველი და კაცთა თუალსა სასთაული ერთი ხალენისა უცხო სასთუნლით კერძო“. გირჯაკი, საბას განმარტებით, მატყლის დასაგებია – „ქუეშსაგები ქმნილი მატყლით რაიმე, ანუ ნაბადი“ , ხოლო ხალენი მდარე, “მსხვილად ნაქსოვი მატყლის ქსოვილია, „არად სახმარი“ -ო, ამბობს საბა.

შუშანიკი ლოცვის დროს მუხლებქვეშ იფენდა „კილიკს“ . საბა ამ ტერმინს ასე ხსნის: „ფლასი ბანლისა“ , ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით, იგი „ღაზლის ფოჩვი, ტანის შესაწყობელი რამე“ არის. მაშასადამე, კილიკი ფარდაგია, ცხვრის მატყლის ან თხის ბალნისგან მოქსოვილი.

შუშანიკს ძვირფასი სამოსის (პალეკარტის) შიგნით ეცვა „ძაძა“ : “შიგან ძაძაი ემოსა და არავინ იცოდა ჩემს გარეშე“. ძაძა მატყლის მსხვილი, უხეში ძაფისაგან მოქსოვილი სამოსი იყო, შუშანიკმა სპეციალურად, თვითგვემის მიზნით ჩაიცვა ეს უხეში სამოსი.

როგორც მნიშვნელოვანი პროდუქტი, მატყლი შიომღვიმისადმი დავით აღმაშენებლის ანდერძში და „ხელმწიფის კარის გარიგებაშიც“ იხსენიება.

თამარ მეფის ისტორიკოსის თხზულებაში ვკითხულობთ: „...იწყო ამანაცა (თამარმა) ალექსანდრიით ვაჭართაგან მიღებულისა მატყლისაგან სთვად და ქმნად შესამოსლისა“ [16].

შალის ქსოვილი, ძველ ქართულ წყაროებში, „სკლატის“ სახელითაცაა მოხსენებული. ვახუშტისეულ საქართველოს აღწერაში ქართველთა ჩაცმულობა ასეა აღწერილი: „შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთ-რიგად: თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვრილი, ბეწვებული, აფროსანი; ტანს კაბა ლარისა, სკლატისა ანუ ჩოხისა მუხლთ ქვემომდე... ფერხთა პაიჭი და წუღა ტყავისა ანუ სკლატისა...”.

წერილობით წყარობებში მოგვეპოვება ცნობები აბრეშუმის ქსოვილის დამზადება-მოხმარების შესახებ. ძველქართულში აბრეშუმის აღმნიშვნელი ტერმინია „ჭიჭნაური“ , „ჭიჭნაუხტი“ . სულხან-საბას განმარტებით „ჭიჭნაუხტი (ჭიჭნაური) მამას ეფრემს აბრეშუმად მოუპოვნებია“ . ეფრემ მცირეს ერთი მინაწერი კი გვეუბნება: „რამეთუ დედაკაცი არს მომღებელი ჭიჭნაურისა, ხოლო ჭიჭნაური მამასა ექვთიმის აბრეშუმისა სახელად მოუპოვებია“ .

„შუშანიკის წამებაში“ ავტორი ამბობს: “ხოლო წმინდამან შუშანიკ ნაცვლად ჭიჭნაუხტისა საქმისა დიდითა გულმოდგინებითა ხელთა აღიხვნა დავითნი და მცირედთა დღეთა შემდგომად ასერგასისნი იგი ფსალმუნნი დაისწავლნა“ [27].

უფრო მოგვიანებით ქართულ წერილობით წყაროებში აბრეშუმის ქსოვილის უამრავი სხვადასხვა სახელწოდება გვხვდება, რომლებიც სხვადასხვა უცხო ენების (სპარსული, არაბული, თურქული) ზეგავლენით დამკვიდრდა. ქრონოლოგიური თანმიმდევრობი მათი ჩამონათვალი ასეთია:

ჭიჭნაური, ჭიჭნაუხტი – V –VI საუკუნეები („შუშანიკის წამება“);

სტავრა (სპარს.) – VIII ს-დან (“ქართლის ცხოვრება“ , (“ვეფხისტყაოსანი“);

ხარა (სპარსული), ქარაი – X – XII საუკუნეები (“ვისრამიანი“ , „შაჰნავაზიანი“);

ჰარირი (არაბული) – X – XII საუკუნეები („ვისრამიანი“);

ოქსინო – XI – XVII საუკუნეები (1040 წ-ის მელქისედექ კათალიკოსის სიგელი, („ვეფხისტყაოსანი“);

პიროქრო – XII საუკუნე (“ვეფხისტყაოსანი“);

შარი – XII–XIII საუკუნეები (“ვისრამიანი“ , “ვეფხისტყაოსანი“, „შაჰნავაზიანი“);

ნახლი (სპარსული) – XII – XVII საუკუნეები („აბდულმესია“ , „შაჰნავაზიანი“);

ზარქაში (სპარსული) – XI – XIII საუკუნეები (“ამირანდარეჯანიანი“ , “ვეფხისტყაოსანი“ , “შაჰნავაზიანი“ , “თეიმურაზიანი“ , „გურამიანი“);

ატლასი (არაბული) – XII საუკუნიდან (“ვეფხისტყაოსანი“);

ფარჩა – XVI საუკუნიდან.

მრავალგზის გვხვდება აბრეშუმის სხვა სინონიმებიც: ყალამქარი, შეიდიში, ყანაოზი, მოვი, დარაია, ზარბაბი, მერდინი, ქალაღაია, თაფთა, ჩინური აბრეშუმი–ხატაური, ხათაია, დახვეწილი აბრეშუმი–ხასი და სხვ.).

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი საქართველოში მეაბრეშუმეობის განვითარების შესახებ. ის აღნიშნავს, რომ ზოგან აბრეშუმს აკეთებენ “არა მრავლად” (ქართლი, ბედუჯი, ქცია, გორი, სამცხე-საათაბაგო), ზოგან - “მრავლად, ფრიად ნაყოფიერ” (ალგეთი, ჰერეთი, კახეთი, კუხეთი, თუშეთი, ელისენი, არგვეთი, გურია, ოდიში) [19].

აბრეშუმის ქსოვილის ერთ-ერთი ნაირსახეობაა განსაკუთრებულად ძვირადღირებული და საუკეთესო მასალა – „ოქროქსოვილი“ , რომელიც ოქროს ძაფისაგან

(ოქროს თმა, ოქრომკედი) მზადდებოდა. თავად ოქროს ძაფი კი ოქროს უწვრილესი მავთულისაგან მიიღებოდა.

საზოგადოდ, ოქრო[1] ოდითგანვე სიმდიდრის (როგორც მატერიალური, ისე სულიერი), სინატიფისა და ჰარმონიულობის სიმბოლოდაა მიჩნეული. იგი უნიკალური თვისებებით ––ძლიერ მოელვარე ბრწყინვალებით, უჟანგავობით და ლამაზი ფერით არის გამორჩეული, რომელთაც დრო ვერაფერს აკლებს. ოქრო ძალზე მაღალი პლასტიურობით გამორჩეული ლითონია. თეორიულად ის ერთი ატომის სისქეზე შეიძლება გაბრტყელდეს. პრაქტიკულად კი ერთთეთრიანი მონეტის ზომის ოქრო შესაძლოა 1მ. დიამეტრის სიფრიფანა, თითქმის გამჭვირვალე ფურცლად გაბრტყელდეს (ამ დროს ის იძენს მომწვანო ელფერს). სწორედ სილამაზის, პლასტიუ რობის და კეთილშობილური თვისებების გამო უძველესი დროიდანვე მიაპყრო მას ადამიანმა ყურადღება და სხვადასხვა დანიშნულებით გამოიყენა: საიუველირო სამკაულებისა თუ სარიტუალო-რელიგიური ნივთებისათვის, მცირე ზომის ქანდაკებებისათვის, ფულის მოსაჭრელად, იარაღისა თუ სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების მოოქროვებისათვის.

კოლხეთი უძველესი დროიდან იყო განთქმული ოქროს მოპოვებითა და დამუშავებით, რაც ძველი მსოფლიოს ცივილიზაციისათვის იმთავითვე იყო ცნობილი. ძველი ბერძნები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიას „ოქრომრავალ კოლხეთს“ უწოდებდნენ და უძველესი მითიური ქვეყნის აიას მემკვიდრედ მიაჩნდათ. ისინი კოლხებს ოქროს ქვიშის მოპოვებისა და ქიმიური წესით ოქროს მიღების საიდუმლო ცოდნას მიაწერდნენ. ეს ტაბუდადებული ოქროს მიღების ტექნოლოგია, ასევე სიმდიდრისა და სიბრძნის სიმბოლოები – ვერძის ტყავზე ოქროს ასოებით დაწერილი, კოლხეთში იყო დაცული. სწორედ ამ ვერძის ტყავისათვის (ოქროს საწმისისათვის) გაემგზავრნენ არგონავტები კოლხეთში.

საქართველოში ოქროს მოპოვების შესახებ წერილობით ცნობებს, „ოქროს საწმისის“ თქმულების გარდა, გვაწვდიან ანტიკური პერიოდის ბერძენი და რომაელი ავტორები: პინდარე (518-422 წწ. ძვ. წ.), პალიფატე (ძვ. წ. სს.), აპოლონიოს როდოსელი (295-215 წწ. ძვ. წ.), სტრაბონი (ძვ. წ. I ს – ახ. წ. I ს.), პლინიუსი (29-79 წწ.), აპიანე, იოანე ანტიოქიელი, ევსტათი თესალონიკელი და სხვანი.

ბერძენი გეოგრაფის პალიფატეს თხზულებაში მოცემულია ანონიმური ავტორის ცნობა იმის შესახებ, რომ კოლხეთში დაცული იყო არა ოქროს საწმისი, არამედ ტყავზე ნაწერი წიგნი, რომელშიც აღწერილია ქიმიური მეთოდებით ოქროს მიღების ხერხები.

ბერძენი გეოგრაფი სტრაბონი წერდა: არგონავტების მოგზაურობის ნამდვილი მიზეზი კოლხეთის ოქროთი, ვერცხლითა და რკინით სიმდიდრე იყო. სვანეთში მდინარეებს ჩამოაქვთ ოქრო, რასაც სვანები დახვრეტილი ვარცლებითა და ბეწვიანი ტყავებით აგროვებენ, საიდანაც გავრცელდა მითი ოქროს საწმისის შესახებ. მსგავს ფაქტს აღნიშნავდნენ პლინიუსი და რომაელი ისტორიკოსი აპიანე.

საქართველოში ოქროს სიუხვეზე მიუთითებს სხვა ისტორიული ფაქტებიც: პლუტარქეს ცნობით ძვ. წ. 65 წელს იბერიის (ქართლის) მეფე არტოკმა რომაელთა

[1] „ოქრო“ქართული სახელწოდებაა და სავარაუდოდ წარმოქმნილია სიტყვისაგან“უქრობი” [28].

სარდალს პომპეუსს მიართვა ოქროს ტახტი, მაგიდა და სარეცელი, ხოლო ახ. წ. 128 წელს ქართლის მეფემ რომის იმპერატორს ადრიანეს უძღვნა ოქროს სავარძელი, ოქროთი შემკული მოსასხამები და ოქროს დიდძალი ძვირფასეულობა [29]. ქართველი დიდგვაროვნები თავადაც იღებდნენ ოქროს გვირგვინს, ძვირფას ოქროვან სამოსელს თუ სხვა საუნჯეს უცხო ქვეყნების იმპერატორებისაგან.

საქართველოში ოქრო რომ დიდად ფასობდა, მოწმობს აქ გავრცელებული არაერთი ლეგენდა და მითი: ლეგენდა ბაზალეთის ტბაში ჩაძირული აკვნის შესახებ, ფარნავაზ მეფის განძის გამოქვაბულზე, თამარ მეფის ოქროს კუბოს შესახებ, ხვამლის ოქროს განძზე და სხვ. ხალხურ ეპოსსა და ზეპირსიტყვიერებაში ოქრო ხშირად არის გამოყენებული პიროვნების განსაკუთრებულობის აღსანიშნავად, ასე, მაგალითად: ოქროსთმიანი დალი, ოქროსქოჩრიანი ბიჭუნა, ოქროსდალალებიანი ქალწული, ამირანის ოქროს კბილი და ა.შ.

ოქრომრავალი კოლხეთის შესახებ მითი სინამდვილეს შეესაბამება, რაზეც უძველესი ოქრომქანდაკებლობის მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი ნივთიერი ძეგლები და არქეოლოგიური კვლევების შედეგად მოპოვებული მასალები მეტყველებს. საილუსტრაციოდ საკმარისია ქართველი და გერმანელი არქეოლოგების ბოლოდროინდელი აღმოჩენა, საყდრისის (ქვემო ქართლი) მსოფლიოში უძველესი (ძვ. წ. V ათასწლეულის) ოქროს მომპოვებელი მაღარო, რაც იმაზე მეტყველებს, რომ 54000 წლის წინ, პრეისტორიულ ხანაში, როდესაც ეგვიპტელები ოქროს მდინარე ნილოსზე რეცხვის გზით მოიპოვებდნენ, საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ტომი ფლობდა მიწის ქვეშ არსებული უხილავი ოქროს ადგილსამყოფელის მიკვლევის და მოპოვების ურთულეს ტექნოლოგიებს (მსგავს ტექნოლოგიებს ეგვიპტელებმა 1000 წლით გვიან მიაგნეს).

შუა საუკუნეებში ოქროს მოიპოვებდნენ ალავერდის, ახტალისა და დამბლუტის საბადოებში. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ოქროს ძიება-მოპოვებას აწარმოებდნენ ჭოროხის, რიონის, ენგურის, ცხენისწყლის, მტკვრის, ხრამის და მათი შენაკადების ქვიშრობებში. 1936 წლიდან მოყოლებული სვანეთის მთებში, მდინარე ენგურისა და მისი შენაკადების ქვიშრობებიდან ამ ბოლო დრომდე მოიპოვებენ ოქროს უძველესი – გარეცხვის და ამალგამირების მეთოდით, სადაც ოქრო გვხვდება მარცვლების, მცირე ზომის ფირფიტების და ნაკუწი მავთულის სახით.

ოქრომჭედლობა საქართველოს ტერიტორიაზე მცხობრებ ტომებში ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულზე უფრო ადრე იღებს სათავეს. უძველესი რთული და ნატიფი ნაკეთობები მოწმობენ, რომ ოქრომქანდაკებლური ტექნიკა მაღალგანვითარებული იყო და ეს ხელობა ხელოვნების დონეზე იყო აყვანილი. აღნიშნულის დადასტურებას ადრებრინჯაოს ხანის ანანურის, ბედენის და წნორის ყორღანებში აღმოჩენილი ოქროს სამკაულები, ალაზნის ველის გორასამარხების ოქროს ნაკეთობანი, შუაბრინჯაოს ხანის თრიალეთის კულტურის ოქროს საგანძური, ანტიკური პერიოდის - მცხეთის, ვანის, ახალგორის, სტეფანწმინდის, საირხის და სხვა სამარხების ოქროს ნივთები წარმოადგენს [30].

გარდა ოქრომქანდაკებლური ხელოვნებისა ოქრომ გამოყენება ჰპოვა ადამიანის საქმიანობის კიდევ ერთ სფეროში, რომელსაც ერთი შეხედვით თითქოს არაფერი აქვს საერთო ამ ძვირფას ლითონთან, ეს არის ხალხური დეკორატიულ-გამოყენები-

თი ხელოვნება – უწვრილესი ოქროს თმის საშუალებით ოქროქსოვილის დამზადება და სამოსის ოქრომკედით მოქარგვა.

ოქროს თმას (ოქროს უწვრილეს მავთულს) ოქრომკედის დასამზადებლად იყენებდენ: "ოქროს-თმა არს, რაჲ ოქრო თმათაებრ გააწვლილო, რომელსა სპარსნი სირმას უჴმობენ; და რა თმა იგი განსტკიცო და ბრტყელ იქმნას, ჰქვია სხეპლა, რომელსა სპარსნი მუყაიშს უწოდენ; ხოლო სხეპლა რა ძაფსა შეასთო ოქრომკედი ეწოდება" – განმარტავს სულხან-საბა [31].

ოქროს თმის, ოქრომკედისა და მათგან დამზადებული ნაქარგობებისა და ოქროქსოვილების გამოყენებას დიდი ხნის ისტორია აქვს. ცნობები მათ შესახებ უცხოურ წერილობით წყაროებში ანტიკური პერიოდიდან და უფრო ადრეც მოგვეპოვება. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში (წიგნი "გამოსვლათა" ძვ. წ. XIII ს.) არის მოთხრობილი, უფლის მითითების თანახმად მღვდელმთავარ აარონის სამოსისათვის როგორ დაამზადეს ოქროს ძაფი: "დახიეს ოქროჲ იგი განჭედილი სხეპლად, რათა თანა-შეექსოოს იაკინთესა მას, და ძოწეულსა, და მეწამულსა სთულსა და ზეზსა მას ძახილსა, ქსოვილად ქმნეს იგი სამჴრად" [32]. ოქრომკედით მდიდრულად მოქარგული ძვირფასი მოსასხამი აღწერილი აქვს ანტიკური პერიოდის პოეტს ჰომეროსს თავის „ოდისეაში" [33].

ინფორმაციას ოქროს ძაფით ქარგვის ტრადიციის ევროპაში გავრცელების შესახებ გვაწვდის ძველი რომაელი ერუდიტი-მწერალი გაიუს პლინიუსი (Iს. ახ. წ.) [34], ის გადმოგვცემს, რომ პერგამოსის (მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქვეყანა) მმართველმა ატალუსმა ძვ. წ. II ს-ში აზიაში აღმოაჩინა ნაქარგობაში ოქროს ძაფის გამოყენების მეთოდი, რასაც არ იცნობდნენ ანტიკური პერიოდის ევროპაში, ატალუსმა ის პერგამოსში დანერგა, საიდანაც რომში გავრცელდა და ატალუსური ეწოდა.

საქართველოში ოქროს ძაფისა და ძვირფასი ოქროქსოვილების უძველესი დროიდან გამოყენების ფაქტს ქართული და უცხოური წერილობითი წყაროები გვიდასტურებს (უნდა აღინიშნოს, რომ ზოგი უცხოური წყარო ქართულზე ადრინდელია). მზადდებოდა თუ არა ეს ძვირფასი ქსოვილები საქართველოში, ამის შესახებ წერილობითი წყაროები ინფორმაციას არ გვაწვდის, მაგრამ კოლხეთის ტერიტორიაზე ანტიკური პერიოდიდან ხელსაქმის განვითარების ფაქტი და უძველესი საფეიქრო სახელოსნოს ნაშთები საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ძვირფასი ქსოვილები ადგილზეც მზადდებოდა. წერილობითი წყაროების მიხედვით ოქროქსოვილები ქვეყნის გარეთაც გაჰქონდათ და უცხო ქვეყნებიდანაც შემოედინებოდა – სავაჭრო გზებით, სამეფო საჩუქრების, ნაალაფარისა და ხარაჯის სახით.

უცხოური წყაროებიდან ქართული ოქროქსოვილებისა და ოქრომკედის შესახებ ინფორმაციას შეიცავს ადრეული პერიოდის რომაელი და ბიზანტიელი ისტორიკოსების მატიანეები; სპარსი, იტალიელი და ფრანგი მოგზაურების ჩანაწერები; მისიონერების, მწერლების, ელჩების, ისტორიკოსებისა და სხვათა თხზულებანი.

პირველ ცნობებს უძველესი ქართული ოქროქსოვილის შესახებ რომაელი ისტორიკოსი ელიუს სპარტიანი გვაწვდის. რომის იმპერატორის – ადრიანეს ცხოვრების აღწერაში ის მოგვითხრობს, რომ 128 წ. ქართლის მეფე ფარსმან II ქველმა იმპე-

რატორ ადრიანეს საჩუქრად ძვირფასი ოქროქსოვილის 300 მოსასხამები (ქლამიდა) გაუგზავნა [35].

ბიზანტიურ წყაროებში დაცულია ცნობები ქართლის მეფის წათეს (VI ს.) ჩაცმულობის შესახებ, კერძოდ ქრონისტი იოანე მალალა და ისტორიკოსი-პოეტი აგათია სქოლასტიკოსი გადმოგვცემენ, რომ გაქრისტიანებულ ქართლის მეფეს – წათეს ეცვა თვალმარგალიტით შემკული კოჭებამდე გრძელი ქიტონი, ოქრომკედით მოქარგული“ [36].

ცნობებს ქართული ოქროქსოვილის შესახებ უცხოელ მოგზაურთა ჩანაწერებიც გვაწვდიან:

XIII ს. სპარსი მოგზაური და გეოგრაფი ზაქარია ალ-ყაზვინი საქართველოდან გატანილი საქონლის რიცხვში აბრეშუმის ოქროქსოვილის ნაკერებს მოიხსენიებს;

ასევე, XIII ს-ში იტალიელი მოგზაური მარკო პოლო აღნიშნავს, რომ საქართველოში ძვირფასი ოქროქსოვილი მზადდება–“საქართველოში დიდძალია აბრეშუმი, ამზადებენ აბრეშუმისა და ოქროქსოვილებს“ [37].

ოქროქსოვილის სამოსი აღწერილი აქვთ XVII საუკუნის ფრანგ მოგზაურს ჟან-ბატისტ შარდენს [38]და იტალიელ მისიონერს ქრისტეფორე დე კასტელის [39].

ოქრომკედის შესახებ საუბარია რუსი ელჩების ა. იევლევისა და ნ. ტოლოჩანოვის “იმერეთში ელჩობის მუხლობრივ აღწერილობაში“ (1650-1652 წწ.). იმერეთის მეფის ალექსანდრესთან აუდიენციის აღწერისას დახასიათებულია მისი სამოსი: “მეფეს ტანთ სიასამურის ქათიბი ეცვა ოქრომკედით ხავერდზე გაწყობილი და ფარჩის კაბა ოქრომკედით მოქარგული“ . გელათის მონასტერში დაცული სიმდიდრის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ დავით ბატონიშვილის უმცროსი შვილის – გიორგის „საფლავი ოქრომკედით მოქსოვილი ხალიჩით არის დაფარული“. ელჩების მიერ თეიმურაზ I-თან დარბაზობის აღწერილობაში აღნიშნულია, რომ „მეფის ფერხთა ქვეშ... ოქრომკედით ნაქარგი ალუბლისფერი ატლასის დიდი ბალიში იდვა... კედელთან კიდევ მეორე ბალიში იდო, ისიც ხაოიანი ატლასისა, ოქრომკედით ნაქარგივე“ [40].

თბილისური ოქრომკედისა და სირმის შესახებ საუბრობს ალ. დიუმა (XIX ს.) თხზულებაში „კავკასია“ [41].

ძვირფასი ოქრომკედით ნაქარგი შესამოსელის შესახებ გვაწვდის ცნობებს XIX ს-ის რუსი ისტორიკოსი ნიკოლოზ დურნოვი. ის გაბედულად ამხელს რუსი ეგზარქოსების ურწმუნოებასა და მძარცველურ პოლიტიკას – „გელათის მონასტრის საეკლესიო სალაროში 1870 წლამდე ინახებოდა... ოქრომკედით მოქარგული და მსხვილი მარგალიტით მორთული აბრეშუმის სქელი ქსოვილისაგან შეკერილი იმერეთის კათალიკოს-პატრიარქების შესამოსელი... ეს ძვირფასი შესამოსელი კონსტანტინეპოლის დაცემამდე იყო დამზადებული. მისგან 8 ფუნტი ოქრო გამოადნეს, ხოლო ლალი და მარგალიტი გამოყენებული იქნა გულქანდების დასამზადებლად...“ [42].

საქართველოში ოქროს თმის, ოქრომკედის და ძვირფასი ოქროქსოვილების დამზადების ხერხებისა და ტექნიკის შესახებ პირდაპირი ქართულენოვანი ცნობები, სამწუხაროდ, არ მოგვეპოვება. ასეთი მასალების სხვადასხვა მრავალგვარი სახეობის არსებობა და ფართოდ გამოყენება დასტურდება უძველესი ქართული და

ძველნათარგმნი[2] წერილობითი წყაროებითა (მატიანეები, საღვთისმეტყველო და ლიტერატურული ძეგლები, საისტორიო, იურიდიული და არაიურიდიული ხასიათის დოკუმენტები, როგორებიცაა აქტები, სიგელ-გუჯარები, კერძო ნუსხები, ეპისტოლური მასალა და სხვ.) და ზეპირსიტყვიერების ძეგლებით, რომლებშიც უხვად გვხვდება ოქრომკედისა და ოქროქსოვილების აღმნიშვნელი მრავალფეროვანი ტერმინები, ესენია: ოქრონემსული, ოქროკემსული, ოქროშეთხზული, ოქროშექსული, ოქროთნაკერი, ოქროთი ნაკემსი, ოქრონაქსოვი, ოქროვანი, ოქროქსოვილი, ოქროგანაზიდარი, პიროქრო. ეს სახელწოდებები თავადვე გვიჩვენებს მასალის შემადგენლობას (სიტყვის ფუძეში არის ოქრო). გარდა ზემოდასახელებული ტერმინებისა გვხვდება ისეთებიც, რომლებიც, მართალია ოქროს ძაფისა და ოქროქსოვილის აღმნიშვნელია, მაგრამ მათი სახელის ფუძეში ოქრო არ ფიგურირებს, ასეთებია: ზარქაში, ზარქაში განაზიდარი, ოქსინო, სკარამანგი (საკრამანგი), სირმა, ზეზი, ხარა (ქარაი), სტავრა, დიბა[3]. დასახელებული ტერმინებიდან ოქრომკედით ნაქარგობის აღმნიშვნელი სახელწოდებებია: ოქრონემსული, ოქროკემსული, ოქროთი ნაკემსი, ოქროთნაკერი, ოქროვანი; ოქროს თმითა და ოქრომკედით დამზადებული ქსოვილის აღმნიშვნელი ტერმინებია: ოქროშეთხზული, ოქროშექსული, ოქრონაქსოვი, ოქროქსოვილი, პიროქრო, ოქსინო, სკარამანგი (საკრამანგი), ხარა (ქარაი), სტავრა, დიბა; ძაფის აღმნიშვნელია – ოქრომკედი, სირმა, ზარქაში, ზარქაში განაზიდარი, ოქროგანაზიდები და ზეზი. ძაფის აღმნიშვნელი ტერმინები გამოყენებული როგორც ნაქარგობასთან, ისე ქსოვილთან მიმართებაში (სირმის ნაქსოვი, სირმის ნაკერი, ოქრომკედის ქსოვილი, ოქრომკედით ნაკერ-ნაქარგი და სხვ.).

ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევს, რომ ოქრომკედის შესატყვისი უძველესი ტერმინი „ოქრონემსულია“ , რომელიც პირველად გვხვდება გიორგი მთაწმინდელის „იოანე და ექვთიმეს ცხოვრებაში“ (XI ს.) და იოანე შავთელის „აბდულმესიაში“ (XII ს.), მომდევნო XIII-XVI საუკუნეებში იხმარებოდა ტერმინი „ოქრომკედი“ , ხოლო XVII-XVIII საუკუნიდან ქართულში დამკვიდრდა სპარსული ტერმინი – „ზარქაში“ [43].

ბოლო დროს შესწავლილი მასალები შესაძლებლობას იძლევა მცირედი ინფორმაცია იქნას დამატებული ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებაზე: მართალია, როგორც ზევით აღვნიშნეთ, უძველეს ქართულ წერილობით წყაროებში პირდაპირი ფაქტები ოქროს თმისა და ოქრომკედის დამზადებისა და გამოყენების ტრადიციის შესახებ არ მოგვეპოვება, მაგრამ გვაქვს ისტორიული ცნობები ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში გამოყენებული უძველესი საფეიქრო მასალების – ქსოვილებისა და ძაფის შესახებ, რომლებიც ოქროს თმითაა დამზადებული. ეს მასალებია:

---

[2]ძველნათარგმნძეგლებშიენობრივილექსიკადატერმინებიმთარგმნელავტორებსაღებულიაქვთთავისითანადროულობიდან,რისგამოცისქართულენოვანისტოლფასადშეიძლებაჩავთვალოთ.

[3]სახელწოდებებიუცხოენოვანია,ქართულშიდამკვიდრებულიაბერძნული,სპარსულიდაარაბული ენებიდან.

“სტავრა“ [4] და “სკარაგიმანგი“ [5] (გვხვდება VIII საუკუნიდან), ასევე “ოქროანი“ (“ოქროვანი“), “ოქროქსოილი“ (“ოქროქსოვილი“) და “ზეზი“ (გვხვდება X საუკუნიდან). მხოლოდ ამის შემდეგ შეინიშნება ტერმინები “ოქრონემსული“, “ოქროშეთხზული“, “ოქროკემსული“ და “ოქსინო” (XI ს.), ხოლო რაც შეეხება ოქროქსოვილის ნაირსახეობების აღმნიშვნელ სხვა ტერმინებს (პიროქრო, ზარქაში, ხარა, ზარბაბი, ოქრომკედი, სირმა), ისინი წერილობით ძეგლებში უფრო მოგვიანებით (XIII-XVIII სს.) გვხვდება.

ხშირ შემთხვევაში ძვირფასი ოქროქსოვილები, თავისი დიდი ღირებულების გამო, ერთგვარ საზომ ერთეულად (აღებ-მიცემობისას ფულის ნაცვლად) გამოიყენება, ხან გადასახადი ბეგარაა, ხან ძვირფასი საჩუქარი, ხანაც წიგნის შესამოსელი. ასეთია, მაგალითად სტავრა, რომელიც სკარამანგთან ერთად პირველად “ქართლის ცხოვრებაშია“ (VIII ს.) მოხსენიებული, კერძოდ ჯუანშერის მატიანეში “ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ : ქალაქ სპერის მოსახლეობამ “... ვახტანგ გორგასალსა მისცეს ძღუენი ათასი ლიტრა ოქრო და ხუთასი თავი სტავრა“ , ან კიდევ, ირანის შაჰთან დაზავების თხოვნით გორგასალმა გაგზავნილ დელეგაციას თან გაატანა დიდებული ძღვენი: “მხევალი ათასი, მონა ხუთასი, სტავრა სკარამანგი ხუთასი...” [44].

პირველ შემთხვევაში სტავრა მეფისადმი მიძღვნილი საჩუქარია, მეორეში, კი ირანის შაჰისათვის გაგზავნილი ძვირფასი ძღვენია. გარდა აღნიშნულისა სტავრა სხვა მრავალ უძველეს წერილობით ძეგლში და ზეპირსიტყვიერების მასალებშია მოხსენიებული. ის თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაშიც ფართოდ გამოყენებული ტერმინია, მაგალითისათვის, გვხვდება ავტორებთან: კ. გამსახურდია, ლ. გოთუა, ო. იოსელიანი, ა. კალანდაძე და სხვ.

სკარამანგი (საკრამანგი, საკარამანგი) წყაროების თანახმად, როგორც ძვირფასი ფარჩეული, სამოსად, ჩარდახებად, საკურთხევლის შესამოსად და სხვა დანიშნულებისათვის გამოიყენებოდა: თამარის ისტორიკოსი წერს, რომ „ჭიაბერსა მისცეს მანდატურთ-უხუცესობა და შთააცვეს ტანსა მისსა სკარამანგი“ [45]. მელქისედეკ კათოლიკოსის XI ს-ის სიგელში იკითხება: “ამა სამარტვილოსა შიგან საკურთხეველი ჩემი შევმოსე სკარამანგითა, მოვჭედე ვერცხლითა“ [46]. სკარამანგი მოხსენიებულია მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ .

ქართულ წერილობით წყაროებში XIს-დან დამკვიდრებული ტერმინები „ოქროანი“ („ოქროვანი“) და “ოქროქსოილი“ (“ოქროქსოვილი“) პირველად მოხსენიებულია ქართველი ჰიმნოგრაფისა და მწიგნობარის მიქაელ მოდრეკილის გალობათა კრებულში „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ [47]. ორივე ტერმინი კიდევ სხვა მრავალ წერილობით წყაროშია მოხსენებული, როგორც ერთად, ისე ცალ-ცალკე. ოქ-

---

[4]სტავრა
სპარსულიტერმინია(სიტაბრ,სიტავრ)ოქროქსოვილფარჩასნიშნავს.საბასგანმარტებითსტავრასირ მისნაქსოვიიყო,ე.ი.ოქროსთმისაგანშემზადებულიყოფილა.დ.ჩუბინაშვილისმიხედვითსტავრა“ოქრონაქსოვიფარჩაა”.

[5]საბასგანმარტებითსთანახმად,,სკარამანგიესეარსძვირფასადდაყვავილოვნადნაკერიოქროისთმითადაჩიგინითა”

როქსოვილი თანამედროვე სალიტერატურო ენაშიც ფართოდ გამოყენებული ტერმინია.

ოქროს თმისაგან დამზადებული ორფერი ძაფის აღმნიშვნელი ტერმინი „ზეზი“ , რომელიც წერილობით წყაროებში X საუკუნიდანაა დამკვიდრებული, სულხან-საბას ასე აქვს ახსნილი: “უკეთუ ოქროს-თმა ძაფსა შეასთო ზეზი ეწოდებიან” [48]. მკვლევართა აზრი ზეზის განმარტებისას გაყოფილია: ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით, “ზეზი არს ორფერი ძაფი, თუ ძაფი და სირმა ერთად შერთული“ [49]. ნ. მარის აზრით, სომხური ენიდან გადმოღებული დამახინჯებული ბისონია, ხოლო ი. აბულაძის განმარტებით “ზეზი“ ოქროქსოვილი სამოსია. წყაროების მოწმობით, ზეზი ჭრელი ქსოვილია და არა სამოსელი, ამდენად, იგი არც ბისონს შეესატყვისება, როგორც ამას ნ. მარი განმარტავს. ზეზისა და ოქრომკედის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მათი ელფერია. ოქრომკედი ბრტყელი სხეპლა, ძაფზე მჭიდროდ დახვეული, ამიტომ ის ოქროსფრად ელვარებს, ხოლო ზეზი ერთად შეგრეხილი წვრილი ოქროს თმა და ფერადი აბრეშუმის ძაფია, რის გამოც მას ფერადი ძაფის ელფერი დაჰკრავს და ჭრელად ნაქარგი (ან ნაქსოვი) მიიღება. პირველი ძეგლი აღნიშნული ტერმინით ეფთვიმე მთაწმინდელის მიერ თარგმნილი “მათეს სახარებაა“ [50]. არაერთხელაა მოხსენიებული ზეზი “ბიბლიაში“ (წიგნები “დაბადება“ , “გამოსვლათა“) [51]. (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ “ბიბლიის“ ზოგიერთ თარგმანში ზეზის ნაცვლად “ბისონი“ წერია, ხანაც “სელი ძახილი“). ტერმინს ვხვდებით ასევე „ვეფხისტყაოსანში“ „აბდულმესიანში“ (49/3).

წერილობით წყაროებში XI-XII საუკუნეებიდან დამკვიდრებული ოქრომკედით ნაქარგობის შესატყვისი კიდევ ერთი ტერმინი „ოქრონემსული“ გვხვდება გიორგი მთაწმინდელის ათონის ივერთა მონასტრის ნუსხასა (XI ს.) და იოანე შავთელის „აბდულმესიანში“ .

იგივე პერიოდს (XI-XIIსს.) განეკუთვნება ტერმინი “ოქროშეთხზული“ , რომელიც გვხვდება ძეგლებში: გ. მთაწმინდელის “წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისაჲ პეტრეს მიმართ პასუხი ექუსთა მათ დღეთათჳს“ (XI ს.) [52] და გიორგი მცირეს “ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ” (XI-XII სს.) [53].

გიორგი მთაწმინდელი (XIს.) ახსენებს ძვირფასი ხავერდის ოქროქსოვილის კიდევ ერთ სახეობას – “ოქსინოს“ ათონის ივერთა მონასტრის შემოწირულობათა აღწერილობაში [54]. გარდა ამისა ოქსინო ხშირად გვხვდება XI-XVII სს-ის სხვა წერილობით წყაროებში.

XII-XIII სს. წერილობით ძეგლებში გვხვდება მძიმე ოქროქსოვილის აღმნიშვნელი კიდევ ერთი ტერმინი – პირ-ოქრო. ის ძირითადად თავსაბურავ რიდესთან ერთად მოიხსენიება და განმარტებულია, როგორც გარეთ, პირის მხარეს მოოქროვებული ან ოქროსფერი ქსოვილისაგან დამზადებული თავისა და კისრის მოსაბურავი, მოსასხამი ვახტანგ VI განმარტების თანხმად: „პიროქრო პირზედ რომე ოქრომკედი ჰქონდეს ფარჩას იმას ჰქვიან ან რიდესა“ [55]. პირ-ოქრო გვხვდება “ამირანდარეჯანიანსა“ და “ვეფხისტყაოსანში“ .

ოქროს ძაფისა და ოქროქსოვილის აღმნიშვნელი კიდევ ერთი ტერმინი – „ზარქაში“ წერილობით წყაროებში XII-XVIII სს. გვხვდება. სულხან-საბას განმარტებით

სპარსული სიტყვაა და „ოქროსა და ვერცხლის გაზიდულსა და გამზიდველსა ჰქვიან, სხეპლასა სირმათა“ , ხოლო ივ. ჯავახიშვილის ვარაუდით, ზარქაშს საერთოდ ოქროს ქსოვილებს ეძახდნენ. ზარქაშს ვხვდებით მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანში“ (268,3); შოთას „ვეფხისტყაოსანში“ ; აგრეთვე ფეშანგის, არჩილ II, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში და იურიდიული ხასიათის დოკუმენტებში: რკონის XIII ს-ის სიგელში და 1584 წ. სიგელში [25].

ქართულ წერილობით წყაროებში შედარებით იშვიათად გვხვდება უსახო, სადა ოქროქსოვილის ერთ-ერთი სახეობა – „ხარა“ (ქარაი). ის მოიხსენიება „ვისრამიანსა“ (XII ს.) და “შაჰნავაზიანში“ (XVIIს.).

აბრეშუმის ძვირფასი ოქროქსოვილის კიდევ ერთი სინონიმი – „ზარბაბი“ XVII-XVIII საუკუნეებში უნდა იყოს დამკვიდრებული ქართულში. ტერმინს ვხვდებით აშუღურ პოეზიაში, კერძოდ ერეკლე II–ის კარის მომღერლისა და დიპლომატის საიათნოვას შემოქმედებაში [56], ხალხური ზეპირსიტყვიერების მასალებში და თანამედროვე ავტორებთან.

XVII ს-დან დამკვიდრებული ტერმინი „ოქრომკედი“ გვხვდება ვახტანგ VI მიერ „ვეფხისტყაოსანზე” დართულ კომენტარებში (XVIII ს.); სულხან-საბა ორბელიანის “სიტყვის კონაში“ (XVIII ს.) სხვადასხვა ტერმინების განმარტებისას [48]; ვახუშტის (XVIII ს.) ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის თხზულებაში [19]; ვ. დავით ფანასკერტელი-ციციშვილის (XIX ს.) ნაშრომში „შემოკლებული მოთხრობა ქცევათა და ჩვეულებათათვის ქართველთა“ [57]. ლექსიკოგრაფისა და მთარგმნელის ნიკოლოზ ჩუბინაშვილის ლექსიკონში [58]. ოქრომკედს ვხვდებით ზეპირსიტყვიერების ძეგლებში, ზღაპრებში „ოქროკაცა“ და „ხრისტაგან და ბელთაგან ტარიელების არაკი“ .

ოქროს თმის აღმნიშვნელი სპარსული ტერმინი „სირმა“ , პირველად გვხვდება XVIIIს. დასაწყისში შედგენილ ვ. ორბელიანის ქონების ნუსხაში, ასევე სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ [48], ნიკოლოზ ჩუბინაშვილის ლექსიკონში, ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილის ქართული წეს-ჩვეულებებისა და ჩაცმულობისადმი მიძღვნილი წერილების სერიაში [59]. (გამოქვეყნდა 1904 წელს „ივერიაში“).

ამჟამად, უძველესი წერილობით წყაროებით დადასტურებული ძვირფასი მასალა – ოქრომკედითა და ოქროს თმით შესრულებული ნაქარგობა ან ქსოვილი, მატერიალური ძეგლის სახით, სამწუხაროდ XII საუკუნემდე არ მოგვეპოვება (მასალის არასაკმარისი გამძლეობისა და ძველი ნიმუშებიდან ოქროს გამოღების ტრადიციის გამო). ოქროს თმისა და ოქრომკედის დამზადების და გამოყენების ტრადიციის დასადასტურებლად არქეოლოგიური კვლევების შედეგად აღმოჩენილი ის ნივთებიც საკმარისია, რომლებზეც ოქროს წვრილი მავთულით გრეხილური ორნამენტებია გამოყვანილი, რომ არაფერი ვთქვათ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ანტიკური პერიოდის სამარხებში აღმოჩენილი (ძვ. წ. VI-V სს.) ოქრომკედის ნაშთებისა და ოქროს თმის დასამზადებელი უძველესი ქვის ადიდის (ძვ. წ. II ათასწლ.) შესახებ. ადიდა ოქრომჭედლის სახელოსნოში დღესაც ერთ-ერთი აუცილებელი სამუშაო იარაღია [60]. ის წარმოადგენს მართკუთხა ფორმის ლითონის ფირფიტას, განსხვავებული დიამეტრის მქონე ნახვრეტებით. თითოეული ნახვრეტი მისი დიამეტრის შესაბამის ძაფს გვაძლევს. ყველაზე წვრილ ნახვრეტში გამოტარების შედეგად მიიღება

ოქროს ძაფი, იგივე ოქროს თმა. ოქროს თმისაგან ოქრომკედი რომ დამზადდეს საჭიროა ის ორ ლილვს შორის გატარდეს, რის შედეგადაც ე.წ. „განსტკეცილი სხეპლა“ (სს. ორბელიანის განმარტებით) მიიღება. სხეპლის აბრეშუმის ძაფზე მჭიდროდ დახვევით მიიღება ოქრომკედი.

საქართველოს ტერიტორიაზე ჯერჯერობით უძველესია 1961წ. ვანის არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ოქრომკედი, რომელიც ძვ.წ. VI –V სს. ქალისა და ბავშვის მდიდრულ სამარხებში იქნა აღმოჩენილი. ბავშვის სამარხში ჩატანებულ იყო ოქრომკედის გვერგვები. „ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნეში ოქრომკედთან ერთად ნაქსოვ სელის ქსოვილს ფართო გამოყენება ჰქონია“ – აღნიშნავს მეცნიერი ნ. ხოშტარია [61].

ოქრომკედის ნაწყვეტები აღმოჩენილ იქნა იბერიელი დიდებულის ასპარუგ ერისთავის სამარხსა და ბაგინეთის ნაქალაქარის II-IIIსს. დათარიღებულ აკლდამაში (არქეოლოგიური მასალა ინახება ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში).

სურ. 1. ოქრომკედი მამაკაცის სამარხიდან (VIII ს.).

სურ. 2. ოქრომკედი მამაკაცის სამარხიდან (IX-X სს.).

ოქრომკედის ნაწყვეტები და ალაგ-ალაგ დაქარგული, ფოთლოვანი ორნამენტის სახით დაწყობილი, ოქრომკედი აღმოჩენილ იქნა ქ. ქუთაისში 2009 წ. ბაგრატის ტაძრის VIII საუკუნით დათარიღებული მამაკაცის სამარხის (სურ. 1) და IX-X სს. დათარიღებული ქალის სამარხის არქეოლოგიური კვლევისას (ექსპედიციის ხელმძღვანელი ო. ლანჩავა). მიცვალებულს (ქალს) მარჯვენა მხარზე ოქრომკედით ნაქსოვი ოქროქსოვილი ჰქონდა გადაფენილი (სურ. 2).

არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ფაქტია, რომ საქართველოში ოქრომკედის არსებობას 2500-2600 წლის ისტორია აქვს – ძველი იბერიის საზოგადოების მაღალი ფენები უკვე ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან ხმარობდნენ ოქრომკედს. ეს კი 3-4 საუკუნით უსწრებს ევროპას, რადგან თუკი რომაელ ერუდიტ-მწე-

რალს გაიუს პლინიუსს დავუჯერებთ, რომში ოქრომკედს მხოლოდ ძვ. წ. II ს-ში გაეცვნენ [34]. სამაგიეროდ ამ მასალას კარგად იცნობდნენ ახლო აღმოსავლეთში, რაც შესანიშნავად ჩანს ძველი აღთქმიდან. ახლო აღმოსავლეთიდან ლტოლვილი ებრაელების დიდი მასა სწორედ 26 საუკუნის წინ დასახლდა იბერიაში, მცხეთის მახლობლად – ზანავში. აქედან გამომდინარე, იბერიაში ოქრომკედის დამზადებისა და მოხმარების ტრადიცია შეიძლება ებრაელი ერის მასიურ მიგრაციას დავუკავშიროთ, მაგრამ სავარაუდოდ არ არის გამორიცხული, რომ მისი უფრო ადრეული მოხმარების დამადასტურებელი მასალებიც იქნას მოპოვებული. ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს კოლხური ოქრომქანდაკებლობის ნიმუშები, ოქროს უწვრილესი მავთულის – ოქროს თმის დამზადების, ანუ ადიდვის ტრადიცია და უძველესი ქვის ადიდა (თითქმის 4000 წლის წინანდელი) იძლევა.

როგორც ვხედავთ, ქართული თუ უცხოური წერილობითი წყაროებში წარმოდგენილი მასალები ნათლად ადასტურებს ჩვენს ქვეყანაში უძველესი დროიდან ძვირფასი ოქროს თმისა და ოქრომკედის დამზადებისა და გამოყენების ტრადიციის არსებობას. მართალია, პირდაპირი წერილობითი ცნობები მათი დამზადების ტექნიკური ხერხებისა და მეთოდების შესახებ არ მოგვეპოვება, სამწუხაროდ, ასევე ჩვენამდე არ მოუღწევია XII საუკუნეზე ადრეული პერიოდის ნივთიერ ნიმუშს, მაგრამ ფაქტის დადასტურებას წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე, არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად აღმოჩენილი მასალები – ოქრომკედის ფრაგმენტების, ოქროს თმის დასამზადებელი ადიდისა და ოქროს ნაკეთობებზე უწვრილესი მავთულით შესრულებული გრეხილური ორნამენტების სახით. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა, ვივარაუდოთ, რომ ოქროს თმის დამზადებისა და გამოყენების საქმეში კოლხეთი წინ უსწრებდა თვით ანტიკურ ევროპასაც.

ლიტერატურა:

1. ჯავახიშვილი ი., მასალები საქართველოს შინამრეწველობის და ხელოსნობის ისტორიისათვის. ტ. 2. თბილისი: მეცნიერება. 1982.
2. ჰეროდოტე ისტორია. თბილისი.1975.
3. მიქელაძე თ., ქსენოფონტის „ანაბაზისი“ , თბილისი.1967.
4. ყაუხჩიშვილი თ., სტრაბონის გეოგრაფია, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957, გვ. 124.
5. ჰაუკალი იბნ, „გზათა და სამეფოთა წიგნი“ , თბილისი. 1976.
6. ხონიატე ნიკიტა. გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. VI. ტექსტები ქართული თარგმანებით გამოსცა და განმარტებები დაურთო სიმონ ყაუხჩიშვილმა. თბ. 1966.
7. ზარდალიშვილი, გ. გამოჩენილი მოგზაურები და საქართველო; მარკო პოლო თბილისი, 1965.

8. შამილაძე ვ., ზაქარია ალ-ყაზვინი ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ უძველესი დროიდან XIX ს. დასასრულამდე თბილისი, 2001.გვ. 72.
9. იტალიელი მოგზაურები საქართველოში - იოსაფა ბარბარო და ამბროზიო კონტარინი, ჟ. მოამბე, 1894. №11, გვ. 51.
10. ლამბერტი არქანჯელო „სამეგრელოს აღწერა“ , თბილისი, 1991.
11. ტოლოჩანოვი იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა“ , თბილისი. 1970 გვ. 80, 152.
12. შარდენი ჟ., ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი.1975.
13. გიულდენშტედტი ი., მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, ტ. I, თბილისი1962.
14. ყაუხჩიშვილი ს., ქართლის ცხოვრება ლეონტიმ როველი - ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ტ.1. თბილისი, სახგამი.1955, გვ. 91.
15. გაბიძაშვილი ე., რუის-ურბნისის კრების „ძეგლისწერა“ , თბილისი, 1978 გვ. 43.
16. ქართლის ცხოვრება ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, , ტ. 2.: განათლება.თბილისი 1959.
17. შავთელი ი., აბდულმესია ქართული პროზა წიგნი 1. თბილისი.1982.
18. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1966:
19. ვახუშტი ბატონიშვილი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ქცტ. IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ. 1973. გვ. 796.
20. ქართლის ცხოვრება, I, თბილისი1955,გვ. 109-133;
21. ხონელი მოსე. ამირანდარეჯანიანი. თბილისი: გამომცემლობა საბა 2012.
22. გორგანი ასად, ვისრამიანი. თბილისი: გამომცემელი საბა 2012.
23. რუსთაველი შ., ვეფხისტყაოსანი. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1966:
24. ჩახრუხაძე, თამარიანი. თბილისი: გამომცემლობა “საბას“ წიგნები.2013.
25. მესხიაშ., ხელოსნობა ძველ საქართველოში, საისტორიო ძიებანი1971. ტ. 1, გვ. 89-
26. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი თბილისი, სახგამი.1949.
27. ცურტაველი ი., წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ – ქართული პროზა წიგნი 1. თბილისი.1982.
28. ა. ჩხენკელი, ქიმია საქართველოში ძველად, „მეცნიერება“ , თბილისი, 1979, გვ. 31;
29. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. I. საქართველო უძველესი დროიდან ახალი წელთაღრიცხვის IV საუკუნემდე, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, 1970. გვ. 750-751;
30. В.В. Латышев, Известия древних писателей о Скифии и Кавказе, ВДИ, 1947, №2, გვ. 327.

31. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, საქ. სსრ გამომცემლობა, თბილისი – 1949;
32. ბიბლია ძველი აღთქმა - წიგნი გამოსვლათა 39:3, საქართველოს საპატრიარქო, თბლისი1990;
33. ჰომეროსი - „ოდისეა“ პალიტრა, თბილისი 2011;
34. Pliny the Elder, The Natural History
35. http://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Plin.+Nat.+toc&redirect=true;
36. “გეორგიკა“ — ბიზანტიელ მწერალთა ცნობების კრებული საქართველოს შესახებ წიგნი 3, თბილისი1960, გვ. 264;
37. “გეორგიკა“ — ბიზანტიელ მწერალთა ცნობების კრებული საქართველოს შესახებ წიგნი 3, თბილისი 1960, გვ. 84;
38. ნესტან ბლუაშვილი „უცხოელი მოგზაურები საქართველოსა და ქართველების შესახებ“, საზოგადოებრივ-რელიგიური ინტერნეტ ჟურნალი http://www.ambioni.ge/უცხოელი-მოგზაურები-საქარტველოსა-და-ქარტველების-შესახებ 10.02.2012
39. ჟან შარდენის მოგზაურობა საქართველოში, თბილისი 1935;
40. ტოლოჩანოვის იმერეთში ელჩობის მუხლობრივი აღწერილობა, 1970.
41. ალ. დიუმა “კავკასია“ ლითერასი, თბილისი 1979;
42. ნიკოლოზ დურნოვი «ბედი საქართველოს ეკლესიისა», მოსკოვი, 1907;
43. ივ. ჯავახიშვილი. (1962). მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის. ტ. III-IV. საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, თბილისი 1962;
44. ჯუანშერი “ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“ ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედაქციით, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, თბ., 2008;
45. შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, I, 1982;
46. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების ძეგლისწერა 1105;
47. მოდრეკილი მიქაელ გალობათა კრებული „ძლისპირნი და ღმრთისმშობლისანი“ ხელნაწერთა ინსტიტუტის ა-603 ნუსხა.
48. სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი თბილისი, სახგამი.1949.
49. ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, I-II ტტ. “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1971.
50. ბიბლია „სახარება მათესი“ საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1989;
51. ბიბლია „დაბადება“ , „გამოსვლათა“ საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობა, თბილისი, 1989;
52. გ. მთაწმინდელი „წმიდისა გრიგოლი ნოსელ ეპისკოპოსისაჲ პეტრეს მიმართ ძმისა თჳსისა პასუხი ექუსთ ამათ დღეთათჳს“ http://library.church.ge/index.php?option=com_content&view
53. გიორგი მცირე “ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ” http://www.nplg.gov.ge/ gsdl/.

54. გიორგი მთაწმინდელი, ათონის ივერთა მონასტრის შემოწერულობათა აღწერილობა
55. ვახტანგ VI-ს ლექსიკონი - შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი. თბილისი: საბჭოთა საქართველო, 1966.
56. არ. საიათნოვა. ქართული ლექსები. თბილისი : ლიტერატურა და ხელოვნება, 1963;
57. ივ. ციციშვილი „მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის“ ' / საქ. თეატრ. საზ-ბა. - თბ.: ხელოვნება, 1954.
58. ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, I-II ტტ. “საბჭოთა საქართველო”, თბილისი, 1971
59. ნიკოლოზ ალექსი-მესხიშვილის ქართული წეს-ჩვეულებებისა და ჩაცმულობისადმი მიძღვნილი წერილები გაზ. „ივერია“ .1904 წ.
60. მ. საჩკოვი, ც. ზვიადაძე “ოქროს გამოყენების ისტორიიდან” ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული XVI, ქუთაისი 2006;
61. ხოშტარია ნ., ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 247-279.

2.3. ქსოვილისა და ნაქარგობის ნაშთები საქართველოს არქეოლოგიურ აღმოჩენებში

ნაქარგობისათვის საჭირო მასალების შესახებ წერილობით წყაროებში მოცემული ცნობების ნათელი დადასტურებაა ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად არაერთგზის აღმოჩენილი უძველესი არტეფაქტები – ქსოვილისა და ოქრომკედის ნაშთები; მათ დასამზადებლად საჭირო იარაღები – თითისტარები, კვირისტავები, საქსოვი დაზგები, დგიმ-სავარცხლები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ ნებისმიერი წარმოშობის ბოჭკო საუკუნეთა განმავლობაში მიწის ფენაში ყოფნას ნაკლებად უძლებს, საქართველოს ტერიტორიაზე არქეოლოგიურად შესწავლილ არაერთ ძეგლზე აღმოჩნდა მნიშვნელოვანი არტეფაქტები სელის, ჭილის, მატყლის, ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილის ფრაგმენტების სახით. ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შედეგად მათი უმტესობა ძლიერ დაზიანებულია, ფრაგმენტები მსხვრევადია, შეხებისას იფშვნება, ნართსა და ბოჭკოს დაკარგული აქვს ელასტიურობა და შენარჩუნებული აქვს მხოლოდ ქსოვილის სახე, იკვეთება ქსოვილის ხლართის სახეები, ქსელისა და მისაქსელის განლაგება, ნართი. არქეოლოგიურ მასალებში ხშირად გვხვდება ე.წ. "ძაძიანი კერამიკა" – თიხის ქოთნები და სხვა ჭურჭელი, რომელთა ძირებზე შემონახულია როგორც უხეში ქსოვილის (ჭილოფის), ისე წმინდა ქსოვილის ანაბეჭდები[6]. უძველეს კულტურულ ფენებში ქსოვილი, ნართი და ბოჭკო ხშირად მხოლოდ მტვრის სახითაა შემორჩენილი. ასეთი ნამარხი მასალების შესწავლა შესაძლებელია კვლევის თანამედროვე ახალი მიმართულებების გამოყენებით, როგორიცაა პალინოლოგიური კვლევა (მტვრის მონიტორინგი, არაპალინოლოგიური ნაშთების – ქსოვილის, ნართის, ბოჭკოს კვლევა); ძლიერი მიკროსკოპებითა და მიკროფოტოგრამებით კვლევის მეთოდით შესაძლებელია ბოჭკოს სტრუქტურის და წარმოშობის (მცენარეული, ცხოველური) დადგენა, მატყლის, სელის, აბრეშუმის და ბამბის ქსოვილების ერთმანეთისგან გარჩევა, ნართის დიამეტრის განსაზღვრა და სხვა. რადიოკარბონული მეთოდით კი მისი ასაკის დადგენა[7].

ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში აღმოჩენილი მსოფლიოში უძველესი ნართის, ძაფის და ქსოვილის ნაშთები ქრონოლოგიური დიაპაზონით ძალზე დიდია და მრავალ ათასწლეულს მოიცავს.

---

[6] კერამიკის ჭურჭელს დამზადების დროს ქვეშ უფენდნენჭილის,სელის, ჯუთის ან კანაფისაგან დამზადებულ ქსოვილს, რათა გაუმშრალი თიხა სადგარს არ მიკვროდა.

[7]რადიოკარბონული მეთოდით თარიღის დადგენა არქეოლოგიაში ფართოდ გამოიყენება. ასაკის დადგენა ხორციელდება ორგანული წარმოშობის ნაშთებში რადიოაქტიური ნახშირბადის რაოდენობის მიხედვით. ყველა ორგანულ ნარჩენში არის იზოტოპი„c-14". ცოცხალი ორგანიზმის სიკვდილიდან „c-14" იწყებს დაშლას და ყოველ 5730 წლის შემდეგ ნახევრდება. შესაბამისად, მკვლევრები უშეცდომოდ ადგენენ იმ კულტურული ფენის ასაკს, სადაც ეს ორგანული ნაშთებია აღმოჩენილი.

ადამიანის ხელით შეგრეხილი მსოფლიოში უძველესი სელის ბოჭკო საქართველოს ტერიტორიაზე იქნა აღმოჩენილი. 2007 წ. იმერეთში, ძუძუანას მღვიმეში (ჭიათურა) ზედა პალეოლითური ფენების კვლევისას (ექსპედიციის ხელ-ლი თ. მეშველიანი) აღმოჩენილ იქნა ჰომოსაპიენსის ქვის და ძვლის ნივთები და ორგანული ნივთიერებები მტვრის სახით. პალენოლოგიური კვლევის შედეგად (მკვლევარი პროფ. ე. ყვავაძე) სწორედ მტვერში აღმოჩნდა ველური სელის ბოჭკოსაგან დართვის გზით მიღებული ძაფის ნაშთები (სურ. 3. ა). ბოჭკოს ასაკი დადგენილ იქნა რადიოკარბონული მეთოდით და 31-34000 წლით განისაზღვრა. სელის ბოჭკო ტექნოლოგიურად არის დაჭეჭყილი და შემდეგ დაგრეხილი. რაოდენ გასაკვირი არ უნდა იყოს, ზოგიერთი მათგანი არა მხოლოდ დართულია, არამედ შეღებილიც [1]. რამდენიმე წლით ადრე ამავე მღვიმეში აღმოჩენილი იყო ძვლის ნემსი ძალიან წვრილი ნასვრეტით, რომელშიც ტყავი არ გაეტეოდა და მკვლევარებმა მისი დანიშნულება იმ ეტაპზე ვერ დაადგინეს. აღნიშნულ აღმოჩენამდე მსოფლიოში უძველეს ნიმუშად ჩეხეთში აღმოჩენილი ჭინჭრის ბოჭკოსაგან დამზადებული ძაფის ფრაგმენტები (ასაკი 29000 წ.) იყო მიჩნეული.



ა ბ

სურ. 3 . ა - უძველესი სელის ბოჭკო; ბ - უძველესი სელის ქსოვილის ფრაგმენტი

იმავე მღვიმეში, უფრო გვიანდელი პერიოდის ფენაში (23000 წლის ასაკის) შალის დართული ბოჭკოც იქნა აღმოჩენილი, რომლისთვისაც ჯიხვის ბეწვი იყო გამოყენებული.

ძუძუანას მღვიმის აღმოჩენამდე ჩვენს ქვეყანაში უძველესად მიჩნეული იყო ქვემო ქართლში "გაჭრილი გორის" ნამოსახლარის გათხრისას ნეოლითის პერიოდის – 8000 წლის წინანდელი სელის უძველესი ქსოვილის პატარა ფრაგმენტი (სურ. 3. ბ). ის ცვილითაა დაფარული, რამაც იხსნა სრული განადგურებისაგან. ქსოვილის შესწავლამ (მკვლევარი ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებათა დოქტორი, ი. ნიკოლაიშვილი) გამოავლინა, რომ ის დამზადებულია საქსოვ დაზგაზე. ნივთი ამჟამად თბილისში, საქართველოს ეროვნულ მუზეუმშია დაცული. ეს აღმოჩენა ტექ-

სტილის ისტორიის უმნიშვნელოვანეს აღმოჩენად იქნა აღიარებული, რადგან მანამდე ცნობილი იყო, რომ საქსოვ დაზგაზე დამზადებული უძველეს ქსოვილს დღევანდელი იორდანიის ტერიტორიაზე მოპოვებული მე-5 ათასწლეულით დათარიღებული ქსოვილის ნაშთი წარმოადგენდა [2].

6000–8000 წლის წინანდელია მარნეულის მახლობლად გორა–ნამოსახლარის უძველესი ფენების არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ქსოვილის ანაბეჭდებიანი კერამიკა (ძაძიანი კერამიკა). ამ აღმოჩენას VI-IV ათასწლეულს მიაკუთვნებენ [3].

ძველი წელთაღრიცხვის III ათასწლეულის I ნახევარს მიაკუთვნებენ (ასაკი 4500 წ.) თბილისში (დიდუბე), ურბნისსა (ქვაცხელა) და ახალციხეში (ე. წ. ამირანის გორა) აღმოჩენილ ძაძიან კერამიკას, რომელმაც კარგად შემოინახა უხეში ქსოვილის (ე. წ. ძაძის) ანაბეჭდებიც და წმინდად დართული ძაფის კვალიც. თიხაზე შერჩენილი უხეში ქსოვილის ანაბეჭდები ძლიერ ჰგავს ჯუთის ქსოვილს, რომელსაც, შესაძლოა, საგანგებოდ ამზადებდნენ კერამიკული ნაწარმისათვის როგორც დაბალხარისხიან საფეიქრო მასალას. ამავე პერიოდს მიაკუთვნებენ ქარელში ურბნისის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ (1961 წ.) აღმოჩენილ მძივების ასასხმელად გამოყენებულ ორწვერად შეგრეხილ ნართს, რომელიც ერთი შეხედვით სელისას წააგავდა, მაგრამ სათანადო ანალიზის შედეგად მატყლის აღმოჩნდა [4].

4000 წლიანი ასაკით განისაზღვრა ამ უკანასკნელ პერიოდში (2013 წ.) ლაგოდეხში, სოფ. ჭაბუკიანთან ყორღანის გათხრისას (ექსპედიციის ხელ-ლი ზ. მახარაძე) აღმოჩენილი უძველესი შალის სხვადასხვაგვარად ნაქსოვი ფრაგმენტები, ტყავისა და ჭილისაგან დამზადებული ნივთები, მათ შორის ფოჩებიანი ჩანთა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი მასალა დროს ვერ უძლებს, დასაკრძალავ დარბაზში შექმნილმა მიკროკლიმატმა ისინი დღემდე დაუზიანებლად შემოგვინახა [5].

3900 წელს ითვლის ბედენის ზეგანის აკლდამაში (ექსპ. ხელ.-ლი გ. გობეჯიშვილი) აღმოჩენილი სხვადასხვა ტექსტილი: მსხვილად დაგრეხილი ნართი (თოკი), ქსოვილის, თექის, ფარდაგის მრავალგვარი ფრაგმენტები, მზის (ე.წ. ჭილის) ქუდების ნაშთები. მათგან აღსანიშნავია სხვადასხვგვარი საგებელი ჭილოფის ნაშთები, რომელთაგან ერთ-ერთი დამზადებულია ჭილის ბოჭკოსაგან "მარყუჟული" [8] ქსოვის წესით, მეორე – ხის (ცაცხვის ან თელის ქერქის) ლაფნის ბოჭკოსაგან, ძალზე იშვიათი სიზუსტით, ხოლო მესამე საგებელი წარმოადგენს მოშავო ფერის ქეჩას. საინტერესოა აგრეთვე, შინდისფრად შეღებილი მატყლის ქსოვილი, რომლის ქსელი და მისაქსელი სხვადასხვა ზომის ძაფებისგანაა დამზადებული. ფერი კარგადაა შენარჩუნებული. მზის (ჭილის) ქუდად მიჩნეული საგნის ნიმუშები დამზადებულია ხის ლაფნისაგან, რომელთაგან ერთ-ერთი განსაკუთრებული სიმჭიდროვით და წმინდა ღეროებით გამოირჩევა, ისე რომ ერთი შეხედვით მატყლისაგან დამზადებულს წააგავს [6].

---

[8]მარყუჟული ქსოვილის ნიმუში საშუალებას იძლევა დავასკვნათ, რომ ამ დროისათვის ჩვენი წინაპარი ფლობდა საქსოვი იარაღების – ყაისნაღისა და ჩხირების დამზადებისა და გამოყენების უნარს.

საინტერესოა წალკა-თრიალეთის ზეგანის სამარხებში აღმოჩენილი ქალების თავსაბურავების მტვერის ანალიზი (მტვერი აღებულ იქნა ნეშტების თავის ქალების არეალში), რომელმაც აჩვენა, რომ 3500 წლის წინ შალის, სელის და ბამბისაგან დამზადებული ქალის თავსაბურავები ზურმუხტისფრად, ძოწისფრად და ლურჯადაა შეღებილი. ასეთი საღებავების გავრცელების არეალი ხმელთაშუაზღვის სანაპირო იყო [7].

არქეოლოგიურ ქსოვილთა შორის ასევე აღსანიშნავია თბილისში, მეტეხის ტერიტორიაზე, ერთ-ერთ ყორღანში ბრინჯაოს სარკესთან ერთად აღმოჩენილი ძვ.წ. II ათასწ. შუა ხანების ქსოვილი (ასაკი 3500 წ). იგი დამზადებულია ტილოსებური ხლართით მაღალი ნომრის ნართისაგან, მჭიდრო ქსოვით. გამოკვლევით დადგინდა, რომ იგი სელის ბოჭკოსაგან იყო მოქსოვილი.

2900-3400 წელს ითვლის თბილისის მახლობლად, ნავთლუღში არქელოლოგიური კვლევისას გვიანბრინჯაოს ძეგლებთან ერთად აღმოაჩენილი ქსოვილის პატარა ფრაგმენტი, რომლის მიკროსკოპულმა შესწავლამ აჩვენა, რომ ის სელისგან იყო დამზადებული. არქეოლოგი დ. ქორიძე ამ აღმოჩენის საფუძველზე გვიანბრინჯაოს ხანაში სელის ქსოვილის დამზადებას კოლხეთის გარდა თბილისის მიდამოების მცხოვრებლებშიც ვარაუდობდა [8].

2900-3100 წლის წინანდელია სამეგრელოში ხელოვნური გორა-ნამოსახლარების (“დიხა-გუძუბა“) გათხრების შედეგად აღმოჩენილი ქოთნის ძირებზე შემონახული ჭილოფებისა და წმინდა ქსოვილების მკაფიო ანაბეჭდები. აქვეა აღმოჩენილი უამრავი თიხისა და ქვის კვირისტავები, საქსოვი დაზგის შვეულები და მისთანანი [9].

ძველი წელთაღრიცხვის X-IX საუკუნეს განეკუთვნება ქსოვილის ნაშთები (ასაკი 2900-3000) დმანისის ნეკროპოლიდან (ექსპედიციის ხელ.-ლი გ. ნიორაძე). აქ ქსოვილის ნიმუშების ერთი ფრაგმენტი ღია მწვანე ფერისა, შერჩენილი იყო მახვილზე, ხოლო მეორე სამაჯურზე [10].

ადრეანტიკური პერიოდის ვანის, ფიჭვნარის (ქობულეთის მახლობლად) და ნოქალაქევის ნამოსახლარებსა და სამარხებში მრავლადაა აღმოჩენილი სელის, ბამბის, შალის და ჯუთის ბოჭკოები, რომელთა ასაკი 2500-3000 წელია. ამ ნიმუშების პალინოლოგიური მეთოდით გამოკვლევამ აჩვენა რომ, ბოჭკოები შეღებილია სხვადასხვა ფერის საღებავებით: სელისა – ცისფარდ, ვარდისფრად, მწვანედ, ფირუზისფრად, ნაცრისფრად; ბამბის – ვარდისფრად, ცისფრად, ნაცრისფრად; შალის – წითლად [11]. ფიჭვნარში აღმოჩენილი კოლხური მონეტების განძის ქისა წმინდად დართული მატყლისაგანაა დამზადებული [12].

დაახლოებით ამავე პერიოდს განეკუთვნება ქობულეთის სოფ. წვერმაღალაში აღმოჩენილი შალის ქსოვილის ნაშთი, რომელიც ბრინჯაოს ზოდთან ერთად იქნა აღმოჩენილი [13].

2500-2600 წლის ასაკი აქვთ ბამბისა და შალის ქსოვილებს, რომლებიც აღმოჩენილია ზემო სვანეთსა და ქვემო ქართლში. ისინი დამზადების მაღალი ხარისხით გამოირჩევიან.

2500 წლიანი ასაკით განისაზღვრა თბილისში, მეტეხის ტერიტორიაზე, ერთ-ერთ ყორღანზე აღმოჩენილი წმინდა ნართისაგან დამზადებული სელის ქსოვილი.

ამ პერიოდისათვის კოლხური ქსოვილების ხარისხი ძალზე მაღალი დონით გამოირჩეოდა და ქსოვის ტექნიკაც შესაბამისად შესამჩნევად დაწინაურებულა, რასაც ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის და დაზგაზე ძაფების დასაჭიმი თიხის საწაფების მრავალგზის აღმოჩენა ადასტურებს (ფიჭვნარში, ვანში, გურიანთაში, ურეკში, ბათუმის ციხეზე, ეშერამი, სოხუმში და სხვ.).

ძვ. წ. VI-IV საუკუნეებში განსაკუთრებით მაღალხარისხოვანი და მოხდენილი ქსოვილების დამზადებასა და გამოყენებას გვიდასტურებს ანტიკური პერიოდის ვანის მდიდრულ სამარხში აღმოჩენილი რკინის კერპის ოქროს კილიტებითა და ოქრომკედით მორთული ტანსაცმლის ნაფლეთები [14].

ამავე პერიოდს განეკუთვნება დაბლაგომში (იმერეთი) ნაპოვნი თხელი ტილოს ფრაგმენტები, რომლებიც ქსოვის ტექნიკის შესამჩნევად დაწინაურების მაჩვენებელია. როგორც ჩანს, ეს იყო სახიანი ქსოვილი, განკუთვნილი ჩვეულებრივ ტანსაცმლისა და, საერთოდ, მორთულობის შესამკობად. კოლხური სელის ტილო ადამიანის შესამოსადაც გამოიყენებოდა და უნდა ვიფიქროთ, იალქნებისთვისაც. ასეთი ქსოვილის მოქსოვა ძვ. წ. VI-V საუკუნეებში ჰორიზონტალური საქსოვი დაზგის არსებობაზე მეტყველებს და, მაშასადამე, ქსოვის მაღალი ტექნიკის დამადასტურებელია [9].

საფეიქრო საქმის ისტორიის შესწავლისათვის უდავოდ დიდი მნიშვნელობის მქონეა ძვ. წ. IV საუკუნის ფიჭვნარის (ქობულეთის) სამარხის მასალის პალინოგრაფიული კვლევის შედეგად აღმოჩენილი აბრეშუმის ბოჭკო, რომელიც სარკოფაგის ბრინჯაოს ლურსმანზე იყო შემორჩენილი (სურ. 4. ა). ეს უკანასკნელი აღმოჩენა დიდად ღირებულია, რადგან მთელი კავკასიის რეგიონში ყველაზე ადრინდელი, 2300-2400 წლის აბრეშუმია. ლურსმანზევეა დაფიქსირებული ასევე სელისა და შალის ბოჭკოები. ამავე სამარხში აღმოჩენილ იქნა სელის ქსოვილის ფრაგმენტი (სურ. 4. ბ) [11].

სურ. 4. ა – ფიჭვნარის სამარხის ბრინჯაოს ლურსმანზე შემორჩენილი ქსოვილის ნაშთი; ბ – სელის ქსოვილის ფრაგმენტი ფიჭვნარის სამარხიდან[9]

[9]ფოტოები აღებულია ნაშრომიდან: ჭიჭინაძე მ., ანტიკური ხანის ცენტრალური კოლხეთის პალეოეკოლოგია და ეკონომიკა (არქეოლოგიური ძეგლების პალინოლოგიურიკვლევის საფუძველზე). სადოქტორო დის. თბილისი, 2013.

თითქმის 2000 წლისაა აბრეშუმნარევი ბამბის ქსოვილის ნაშთი, რომელიც აღმოჩენილ იქნა ქარელის რაიონში, დედოფლის გორაზე, უძველეს საფეიქრო სახელოსნოში – ანტიკური ხანის ქართველ მეფეთა სასახლის ნანგრევების გათხრისას. სასახლე დაინგრა მიწისძვრის შედეგად ახ. წ. 80 წელს. ამავე სახელოსნოში აღმოჩენილია სელის, კანაფისა და ჭილის ქსოვილების ნაშთებიც [15].

სპეციალისტთა უდიდესი ყურადღება მიიქცია არმაზციხის ტერიტორიაზე, ბაგინეთის სარკოფაგში აღმოჩენილმა ქსოვილის (ახ. წ. II ს.) ფრაგმენტმა. იგი გამორჩეულია იმით, რომ ე. წ. "სახიანი ქსოვილის" ტიპს განეკუთვნება და ორნამენტითაა მორთული. გამოკვლევით დადგინდა, რომ ის მოქსოვილია მაღალი ნომრის ორწვერად შეგრეხილი ორი სხვადასხვა ფერის (შეღებილი) შალის ნართისაგან, ისე, რომ ნაქსოვზე მკაფიოდ ჩანს სიმეტრიულად განლაგებული ლამაზი ორნამენტი. ასეთი ორნამენტირებული ქსოვილის დამზადება ტექნოლოგიურად რთული პროცესია და სპეციალური დაზგის გამოყენებას საჭიროებს, ამასთან, მქსოველი ოსტატის დიდ დახელოვნებასაც მოითხოვს. მკვლევარები აღნიშნავენ, რომ აღნიშნული ქსოვილის ფეიქარი არამარტო ქსოვილის დახელოვნებული ოსტატია, არამედ ფერების შერჩევის ჩინებული სპეციალისტიც. ქსელისა და მისაქსელის ძალზე წმინდა ნართი ისე ფაქიზად და ზუსტად არის ერთმანეთში გადახლართული, რომ ერთი შეხედვით დაჩითულის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთი ფაქიზი ნაქსოვი, მაღალი ხარისხის საღებავი მასალით ნართის შეღებვა, საფეიქრო საქმის განვიარების მაღალი ხარისხის მაჩვენებელიცაა და ღებვის განვითარებული ტექნიკის დამადასტურებელიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფრაგმენტი "დაახლოებით 1800 წელი იყო მიწაში, სინესტის და ორგანულ თუ არაორგანულ ნივთიერებათა გავლენის ქვეშ, გარეგნულად ისეა შენახული, თითქოს ახალი შეღებილი იყო" [13]. ეს არქეოლოგიური მონაპოვარი ესადაგება და ადასტურებს ანტიკური ხანის ისტორიკოსის ჰეროდოტეს ერთ ცნობას, რომ კოლხეთში "ფოთლებს ნაყავენ, ურევენ წყალს და ამით ხატავენ ტანსაცმელს, ხოლო ეს ნახატი კი არ ხუნდება, არამედ ცვდება დანარჩენ შალთან ერთად, თითქოს თავიდანვე ჩაქსოვილნი არიან მასში" [16].

ამავე პერიოდს განეკუთვნება არმაზისხევის არქეოლოგიური შესწავლის დროს მიწის ფენაში ნაპოვნი ძალზე თხელი ქსოვილის პატარ-პატარა ფრაგმენტები, ფაქტობრივად დაშლილ მდგომარეობაში. ფრაგმენტების მიკროსკოპული კვლევით დადგენილ იქნა, რომ ქსოვილი მაღალი სიმჭიდროვისაა – 10 სმ-ში ქსელის მიმართულებით 340-350 ერთეული ძაფია, მისაქსელის მიმართულებით 300-მდე. ქსოვილი მოქსოვილია ტილოსებრი ხლართით. მიკროფოტოგრამების საშუალებით დადგინდა, რომ ქსოვილის ნართი დამზადებულია თუთის აბრეშუმისაგან, დაახლოებით 1700-1800 წლის წინ. ამ ხნის განმავლობაში მიწაში ყოფნის მიუხედავად, ძაფის ელემენტარულ ბოჭკოებს კვლავ შენარჩუნებული ჰქონდა მათთვის დამახასიათებელი გარეგნული სახე, რაც მისი დამზადების მაღალ ხარისხზეც მეტყველებს.

სხვადასხვა ბოჭკოსაგან დამზადებული ქსოვილების ფრაგმენტები იქნა აღმოჩენილი VIII ს-ით დათარიღებულ მდიდარი ქალის სამარხში, რომელიც ქუთაისში, XI ს-ის ბაგრატის საკათედრო ტაძრის არქეოლოგიური შესწავლის შედეგად იქნა მიკვლეული. ქსოვილთა ნაშთები ბოჭკოს სახითაა შემორჩენილი. მიკროსკოპული

შესწავლით გამოვლინდა დიდი რაოდენობის სელის შეღებილი ბოჭკოები, უმეტესად ცისფერი და ვარდისფერი. ბამბის ბოჭკოები მცირე რაოდენობით იყო, შალისა – კიდევ უფრო ნაკლები. ასევე მცირეა აბრეშუმის ბოჭკოები. გარდა ცისფერისა და ვარდისფერისა ქსოვილის ნაშთებზე აღინიშნა წითელი, შავი, ყვითელი და მცირე რაოდენობით ლურჯი საღებავი. ამ მასალების მიხედვით მკვლევარებმა ივარაუდეს, რომ გარდაცვლილს ცისფერი სელის ქსოვილისაგან დამზადებული კაბა ეცვა, ბამბის თეთრი ქსოვილისაგან კი სუდარა უნდა ყოფილიყო დამზადებული [17].

XII საუკუნითაა დათარიღებული ქსოვილების ნიმუშები ვანის ქვაბიდან (ქართლი). აქ აღმოჩენილ იქნა შალის სხვადასხვგვარი ქსოვილების ფრაგმენტები (11 ერთეული) და სელის ქსოვილის ფრაგმენტი. ქსოვილები საქსოვ დაზგაზეა დამზადებული. ამავე პერიოდს განეკუთვნება სოფ. ასურეთის მახლობლად, ხელოვნურ მღვიმეში აღმოჩენილი შალის ხალიჩის ნაშთები, რომელზედაც კარგად არის შემონახული ფერები, ხლართის სახეები და ორნამენტი, რომელიც საქართველოში გავრცელებულ ე.წ. "რქანახარას" წარმოადგენს [18]

ზემოდასახელებული, არქეოლოგიური კვლავა-ძიების შედეგად აღმოჩენილი არტეფაქტები – ქსოვილის, ნართისა და ბოჭკოს ნაშთები, ჩვენს ქვეყანაში საფეიქრო საქმის უძველესი ტრადიციების მანიშნებელია. ამავდროულად, უმეტესობა ქსოვილის ნიმუშებისა ქსოვის კულტურის შესამჩნევად მაღალი დონის დამადასტურებელია.

საქართველოს ტერიორიაზე დართვის, ქსოვისა და საფეიქრო საქმის უხსოვარი დროიდან ჩასახვა-განვითარებაზე მეტყველებს ამ დარგთან დაკავშირებული სხვადასხვა მასალების, კერძოდ, სამუშაო იარაღების – თითისტარების, კვირისტავების, საწაფების (ვერტიკალურ საქსოვ დაზგაზე ძაფების დასაჭიმავი სიმძიმე – შვეულები საქსოვი დაზგისათვის) ნემსების, მახათებისა და ქინძისთავების აღმოჩენის ფაქტები ენეოლითურსა და ნეოლითური პერიოდის ძეგლებზე, ასევე გვიანდელი პერიოდის საქსოვი დაზგების ნაშთების აღმოჩენის ფაქტები. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა 5000 წლოვანი ასაკის მქონე (ძვ. წ. III ათასწლეულით დათარიღებული) ილტოს ნამოსახლარის არქეოლოგიური კვლევისას აღმოჩენილი ვერტიკალური საქსოვი დაზგისა და საბეჭურის ფრაგმენტები [19]. მნიშვნელოვანია აგრეთვე, ამ ბოლო პერიოდში მიკვლეული, უძველესი საფეიქრო სახელოსნო ანტიკური ხანის ქართველ მეფეთა სასახლეში. სახელოსნოს ასაკი მკვლევართა ვარაუდით 2000 წელზე მეტია. აქ უამრავი სხვადასხვა სახის სელის, კანაფის, ბამბის, მატყლისა თუ აბრეშუმის ბოჭკო, ნართი, შეგრეხილი ძაფები, თოკები და სხვა მასალები იქნა აღმოჩენილი [15].

ხელსაქმის იარაღები, საქსოვი დაზგები და საფეიქრო საქმესთან დაკავშირებული ატრიბუტიკის მრავალი ნიმუში, ქსოვილის დამზადებისა და ქსოვის კულტურის შესამჩნევად მაღალი დონისა და ფრიად დახვეწილი ტექნიკის ნათელი დადასტურებაა. ასეთი სახის მატერიალური მასალა, არქეოლოგიური თუ შემთხვევითი მონაპოვრის სახით, დაცულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონალურ მუზეუმში. ქუთაისის მუზეუმში მრავლადაა წარმოდგენილი ქვის საწაფები (სურ. 5) და თიხის, ქვის და ძვლის კვირისტავები (სურ. 6). თიხის კვირისტავები კონუსური ფორმისაა, ხოლო რიყის ქვისა და ძვლის — ბრტყელია. ქრონოლოგიურად ყველაზე

ადრეულია ქუთაისის მახლობლად არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი ძვ. წ. III ათასწლეულის ქვის საწაფები [20].

სურ. 5. ქვის საწაფი

სურ. 6. ძვლის კვირისტავი

ამგვარად, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად სხვადასხვა დროს მოპოვებული უხვი მასალა გვიდასტურებს, რომ ქსოვილის დამზადებასა და საფეიქრო საქმეს ოდითგანვე მისდევდნენ ჩვენი შორეული წინაპრები – საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ქართველური ტომები. განსაკუთრებულ დახელოვნებას მათ ამ საქმეში ანტიკურ პერიოდში მიაღწიეს, რაზეც აღმოჩენილი ნივთიერი ნაშთების მაღალი ხარისხი და დაწინაურებული დაზგა-იარაღები მეტყველებს.

ლიტერატურა:

1. Kvavadze E., Narimanishvili G., Kakhiani K., Jalabadze M., Koridze I., Bitadze L., Chichinadze M., Martkoplishvili I., Laliashvili Sh., Textile fibres from Holocene archaeological sites – an important index of human presence and activity. Abstracts of 4th Workshop of NPP., Besanson, France, 2010. p. 23;
2. ჩაგელიშვილი თ., პირველი ქსოვილის ისტორია, ჟურნალი „National Geographic" საქართველო" 2014, აგვისტო. http://www.nationalgeographic.ge/wm.php?page= magazine&category=193&id=279&fotocat=194
3. ხუბულური ლ., შვიდიათასი წლის ნამოსახლარი, გაზ. „კომუნისტი" , 18. XII. 1966, N287.
4. ისაკაძე ქ., საფეიქრო საქმე ძველ საქართველოში, „მაცნე", N4, 1967, გვ. 181.

5. ინტერვიუ საქართველოს ეროვნული მუზეუმის არქეოლოგიის ცენტრის უფროსთან, ბატონ ზურაბ მახარაძესთან, ელექტრონული ჟურნალი„Online არქეოლოგია“ 2013წ. N5. http://heritagesites.ge/files/Axali%20Jurnali%205%20nomeri/Jurnali-5%20Georgian/;
6. გობეჯიშვილი გ., ბედენის აკლდამა, “ძეგლის მეგობარი“ 1967, №12;
7. ერაძე ე., ბრწყინვალე თრიალეთელები, ანუ ჩვენ შორეულ წინაპართა ცხოვრება. http://forum.ge/?showtopic=33821435;
8. ქორიძე დ., გვიანბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები თბილისიდან, სსმმ 18-B, 1954. გვ. 42;
9. ხოშტარია ნ., ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში, საქართველოს არქეოლოგია, გვ. 247-279;
10. ნიორაძე გ., დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება, სსმმ XIV,19. 47 გვ 26;
11. ჭიჭინაძე მ., ანტიკური ხანის ცენტრალური კოლხეთის პალეო ეკოლოგია და ეკონომიკა (არქეოლოგიური ძეგლების პალინოლოგიური კვლევის საფუძველზე). სადოქტორო დის. თბილისი, 2013, გვ 153-154, 157;
12. კახიძე ა., მასალები აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ქალაქების ისტორიისათვის, მსკა IV, 1965;
13. ისაკაძე ქ., საფეიქრო საქმე ძველ საქართველოში, “მაცნე”, 1967, N4, გვ. 185, 186;
14. Хоштариа Н.В., Археологические раскопки в Вани, “კავკასიურ-ახლო აღმოსავლური კრებული“ , თბ., 1962. გვ. 249;
15. გაგოშიძე ი., უძველესი აბრეშუმი საქართველოში ელჟურნალი Online არქეოლოგია 2012, N2, http://heritagesites.ge/files/Axali%20Jurnali%202%20nomeri/Jurnali-Georgian/;
16. ჰეროდოტე, ისტორია, I-II, თბილისი, 1975;
17. ბითაძე ლ., ყვავაძეე., ლანჩავაო., ისაკაძერ. ბაგრატის ტაძარში აღმოჩენილი “მდიდარი ქალბატონის“ სამარხის კომპლექსური კვლევის წინასწარი შედეგები, ქუთაისის ისტორიული მუზეუმის შრომები, კრ. XXI, 2011;
18. ჯალაბაძე, გ., ქსოვილების ნიმუშები ვანი სქვაბიდან. 1988 г., საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები – სპელეისტიკა. სპელეოლოგიური კრებული 121988, გვ. 99-102;
19. ქართულიტრადიციულირეწვა – ტექსტილი (პროექტი: “შემოქმედებითი ინდუსტრიების სექტორის გაძლიერება აზერბაიჯანში, საქართველოსა და სომხეთში: ტრადიციული რეწვა – ერთიანი პლატფორმა განვითარებისთვის“) http://southcaucasuscrafts.ge/ge/page/1.
20. ლანჩავა, ო., უგრეხელიძე, ი., ქარციძე, ნ., სულაბერიძე, დ., ჩუბინიძე, ე. ქსოვილების დამზადების ტრადიცია ძველ საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული შრომების კრებული (XXIV), ქუთაისი 2014, 5-13.

2.4. ადრეული პერიოდის ნაქარგობათა სახეები უძველეს იკონოგრაფიულ ძეგლებში

ადრეული პერიოდის ნაქარგობა, როდესაც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესში იყო ქართული ეროვნული ხელოვნებისა და გამოყენებითი ხელოვნების საწყისი ფორმები, შედარებით ნაკლებად შესწავლილია. მთელი რიგი ობიექტური მიზეზების გამო (ამ ეპოქის ნივთიერი ნიმუშების არარსებობა, მოძიებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნაწარმოებთა სიმწირე, არსებული მასალების არასათანადო შესწავლა ნაქარგობის კუთხით) ამ პერიოდის ნაქარგობა აქამდე არ გამხდარა საგანგებო კვლევის საგანი. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით უნდა იქნას შესწავლილი ადრეული შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლები, რომლებშიც ქართული ნაქარგობის სახეები და ორნამენტები წარმოდგენილია ქვის რელიეფური კომპოზიციებით, ლითონის მხატვრული დამუშავების შესანიშნავი ნიმუშებით, მონუმენტური, დაზგური თუ მინიატურული მხატვრობით, მინანქრითა და სხვა ნივთიერი მასალებით. ისინი შეიცავს ბიბლიური პერსონაჟების, რელიგიური სიუჟეტების, წმინდანთა, სასულიერო პირთა, ქტიტორთა და მათი ოჯახის წევრების უამრავ გამოსახულებას. ეს გამოსახულებები დიდძალ ინფორმაციას იძლევიან საქართველოს მატერიალური კულტურის, ყოფა-ცხოვრების, ჩაცმულობის, სამოსის შემკობის მეთოდების (მათ შორის ნაქარგობით გაფორმების) და სხვათა შესახებ. ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება ლიტერატურა, რომელშიც მოცემული იქნება ამ კუთხით ძეგლების მხატვრულ-ისტორიულ ანალიზი, გაშუქებული იქნება ქსოვილის ნაქარგობის დეკორი, მისი სახეობები და ორნამენტები.

ადრეული პერიოდის ნაქარგობის შესწავლისას საჭიროა ნაქარგობის სახეებისა და ფორმების შემცველ სახვითი ხელოვნების ნიმუშთაგან არა ცალკეული, გათიშული ძეგლების განხილვა, არამედ მათი ერთობლიობაში დანახვა, გაანალიზება და მეცნიერულად გამოყენება – ნაქარგობის ევოლუციის პროცესის დადგენისა და მისი განვითარების თვალნათლივ წარმოჩენისათვის.

რამდენადაც ქართული ნაქარგობა ხელოვნების ერთ-ერთი დარგია, ამდენად, აუცილებელია შევეხოთ უძველესი (ადრექრისტიანული) ქართული ხელოვნების წარმოქმნისა და განვითარების ასპექტებს.

ადრექრისტიანული ქართული ხელოვნება ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან (326 წ.) იდებს სათავეს. ქრისტიანობის მიღება საქართველოსთვის იქცა იმ მიჯნად, რომლიდანაც ახალი მსოფლმხედველობა, სამყაროს ახლებური აღქმა ჩამოყალიბდა.

ადრეულ შუა საუკუნეებში საქართველოს ცხოვრების ყველა სფეროში, უძველეს ადგილობრივ ტრადიციებთან ერთად, ახლობელი და შორეული მეზობელი ქვეყნების კულტურის გარკვეული ზემოქმედება შეინიშნებოდა. ეროვნული ხელოვნება გარემომცველ სამყაროსთან აქტიური ურთიერთობით, მეზობელ სახელ-

მწიფოებთან ფასეულობათა მუდმივი გაცვლით, ხმელთაშუაზღვისპირეთის და ახლო აღმოსავლეთის მხატვრულ ცენტრებთან და კულტურულ წრეებთან მჭიდრო კონტაქტებით ჩამოყალიბდა და განვითარდა. ამიტომ ამ ეპოქის ქართული ხელოვნების ხასიათს განაპირობებდა დასავლეთიდან ბიზანტიის იმპერიის ძლიერი გავლენა და აღმოსავლეთიდან სასანური ირანის მძლავრი იმპულსი. მაგრამ, ამავდროულად, ეროვნული ხელოვნების ბაზისს, მისი საფუძვლის ქვაკუთხედს უძველესი მხატვრული ტრადიციები, საუკუნეთა წიაღში ჩამოყალიბებული უძველესი მხატვრული სახეები წარმოადგენდა, რის გამოც ხელოვნების ნაწარმოებებში თავისებურად აისახა ადგილობრივ ტრადიციათა და გარეშე ზეგავლენების ორიგინალური ნაზავი. საქართველოს განსაკუთრებული გეოფიზიკური მდებარეობა, მისი ერთგვარად გზაგასაყარზე – გზაჯვარედინზე არსებობა, განაპირობებდა მისი კულტურის განვითარების თავისებურებებს. ქრისტიანობის ამ ადრეულ და რთულ პერიოდში საქართველოსკენ იყო მიმართული იმდროინდელი მსოფლიოს ორი ზესახელმწიფოს – ბიზანტიისა და ირანის ინტერესები და მისწრაფებანი. ერთმორწმუნე ბიზანტია – ქრისტიანობის ბურჯი და მაზდეანური ირანი მეტოქეობდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოზე (ეგრისსა და იბერიაზე) გავლენის მოსაპოვებლად. ბიზანტია ქართლის ერისმთავრებს თავისი კეთილგანწყობის ნიშნად საიმპერატორო კარის საპატიო ტიტულებს – „კურაპალატოსი“ , „ვიპატოსი“ , „პატრიკიოსი“ ანიჭებდა და დიდძალ საჩუქრებსა და ქონებას უძღვნიდა, ამავდროულად მაზდეანური ირანი დიდ ერისმთავრებს შაჰის კარის უმაღლეს ვეზირებად – „პიტიახშებად” (იგივე აზარვეზირებად – სამთავროების განმგებლებად) ნიშნავდა.

ამ პერიოდში საქართველოს არცერთ სხვა ქვეყანასთან ისე მჭიდრო სულიერი ერთობა არ ჰქონია, როგორც ბიზანტიასთან. ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ საუკუნეების განმავლობაში ქართველთა შორის ნიჭიერ ახალგაზრდებს ბიზანტიაში გზავნიდნენ, სადაც ისინი ბერძნულ კულტურას, განათლებას, რელიგიურ ფილოსოფიას, ხელოვნების სხვადასხვა დარგებს, მათ შორის ხუროთმოძღვრებას და სახვით ხელოვნებას ეზიარებოდნენ და შემდეგ, განათლებას ნაზიარები, თავად აარსებდნენ ფილოსოფიურ სკოლებს, თარგმნიდნენ უძველეს ფოლიანტებს, აშენებდნენ ტაძრებს, ქმნიდნენ ქვასა თუ ლითონზე კვეთილ კომპოზიციებს და ხელოვნების სხვა ძეგლებს და საზოგადოდ ამდიდრებდნენ ქართულ ქრისტიანულ კულტურასა და ხელოვნებას.

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების კვალობაზე საქართველოში, ბიზანტიის მსგავსად და მისი გავლენით, გავრცელდა ქრისტიანული ტაძრების კედლებზე იკონოგრაფიული კომპოზიციების გამოსახვის ტრადიცია (თავდაპირველად საფასადე ქვის რელიეფებზე, მოგვიანებით ფრესკებსა და ჭედურობაში), რომელიც ძველი და ახალი აღთქმის რელიგიური სცენების, უფლის დიდების, ზეციური ანგელოზების, წმინდანების და სხვა სიუჟეტების გადმოცემას გულისხმობს. აღნიშნული თემების გამოსახვაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ესთეტიკური შთაბეჭდილების მოხდენას, ზეციური ნათელის, არაამქვეყნიური სილამაზის წარმოჩენას. ამიტომ, სხვა ელემენტებთან ერთად, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ბიბლიური პერსონაჟების პატიოსანი თვლებით შემკული, უხვად დეკორირებული ძვირფასი, ოქროვანი სამოსით გამოსახვა. თავად რომსა და კონსტანტინეპოლში

ქრისტიანობის ოფიციალურ რელიგიად აღიარების შემდეგ, იკონოგრაფიული კომ-პოზიციების შექმნის დროს მხატვრების მიერ ნიმუშად აღებულ იქნა იმდროინდე-ლი საიმპერატორო კარის უძვირფასესი სამოსი და ქსოვილები[10]. ეს ტრადიცია ბი-ზანტიიდან საქართველოშიც გავრცელდა და ძველთაგანვე უცვლელად იქნა დანერ-გილი ქართულ ქრისტიანულ ხელოვნებაში. ქართველი ხელოვანი ხუროთმოძღვრე-ბი, რომლებიც აგებდნენ უძველეს საკულტო ნაგებობებს და ახდენდნენ ქვისა და ლითონის პლასტიკურ დამუშავებას, იკონოგრაფიული კომპოზიციების შექმნისას ვერ გაექცეოდნენ ბიზანტიური ხელოვნების ზეგავლენებს (მიუხედავად იმისა, იყ-ვნენ თუ არა ისინი განსწავლული ბიზანტიაში). ზეგავლენებს აძლიერებდა ის ფაქ-ტიც, რომ ქტიტორები (ქართველი მეფეები და ერისმთავრები), ვის დაკვეთასაც ხუ-როთმოძღვრები ასრულებდნენ, ბიზანტიის საიმპერატორო კარის საპატიო ტიტუ-ლებს (კურაპალატი, პატრიკიოსი, ვიპატოსი) ატარებდნენ და მათი ძვირფასი სამო-სიც ბიზანტიის იმპერატორის საჩუქარი იყო[11]. ზოგჯერ ეს დაკვეთები ბიზანტიის იმპერატორების უშუალო მითითებით და მათი სახსრებით ხორციელდებოდა[12].

ზემოთქმული იმას ნიშნავს, რომ ხელოვანი რეალური ცხოვრებისეული, თავი-სი თანადროული გარემოდან აღებული ფაქტების გამოსახვის დროსაც ვერ გაექცე-ოდა ბიზანტიური ხელოვნების ზეგავლენას, რადგან ბიბლიური პერსონაჟის თუ წარჩინებული ისტორიული პირის – დიდგვაროვანი ქტიტორის გამოსახულების შექმნისას, მისი სამოსის დამუშავების დროს, ნიმუშად, ცხადია, უნდა გამოეყენები-ნა ისევ და ისევ ბიზანტიური სამოსი (რომლითაც, რასაკვირველია, შემოსილი იყო ქტიტორი).

დასახელებული ფაქტები ნათელყოფს, რაოდენ დიდი ზემოქმედება უნდა მო-ეხდინა ბიზანტიურ ხელოვნებას და საზოგადოდ ბიზანტიურ ცივილიზაციას სა-ქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მის კულტურასა და ხელოვნებაზე. მაგ-რამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელოვნების ნაწარმოებების (მათ შორის ქსოვილის დე-კორის და ნაქარგობის ორნამენტული მოტივების) უცხოური გავლენებით შემოვი-ფარგლოთ და დავასკვნათ, რომ ის მხოლოდ ბიზანტიური ტიპისაა და აქცენტი არ გავაკეთოთ უძველესი ტრადიციული ხელოვნების კვალის ძიებაზე. მით უმეტეს,

---

[10]ეს ტრადიცია საუკუნეების მანძილზე უცვლელად გადაეცა თაობიდან თაობას.

[11]ბიზანტიის იმპერატორები ქართველ დიდებულებს კეთილგანწყობის ნიშნად საპატიო ტიტულებთან ერთად დიდძალ საუნჯეს და ძვირფას სამეფო სამოსელს უძღვნიდნენ.

[12]მემატიანე მოგვითხრობს: „კონსტანტინე მეფემან (იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი) ... მოსცა განძი ეპისკოპოსსა იოვანეს და უბრძანა: „სადაც ჯერ იჩინო ადგილთა ქართლისათა აღაშენე ეკლესიანი სახელსა ზედა ჩემსა, და ნიჭი ესე დაამკვიდრე ქალაქთა ქართლისათა“ []](1). ასევე პროკოპი კესარიელი გვაწვდის ცნობას: „იუსტინიანე მეფემ აბაზგების (აფხაზების) ქვეყანაში ღვთისმშობლის ტაძარი ააშენა და მათ მღვდელმსახურნი დაუყენა და მიაღწია იმას, რომ მათ შეითვისეს საქრისტიანო წესები“ []](2). ბიზანტია საქართველოს აღმოსავლეთის საშიში მეზობლის, სასანური ირანის წინააღმდეგ საიმედო მხარდამჭერად აღიქმებოდა. კონსტანტინოპოლი კი, თავის მხრივ, არ იშურებდა ახლადმოქცეული ქვეყნისათვის, მითუმეტეს ისეთი სტრატეგიულად ღირებულისათვის, როგორიც ქართლი იყო, ქრისტიანობის განმტკიცების მიზნით ნებისმიერ დახმარებას.

რომ უცხოური კულტურის ზეგავლენის ქვეშ განსაკუთრებით საზოგადოების მაღალი ფენები მოექცნენ ადვილად, მოსახლეობის ძირითადი მასა კი კვლავაც უძველესი ტრადიციების გამგრძელებელი იყო. სწორედ ამიტომ, ქართული ხელოვნება თავისი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი გზით წავიდა და უცხო ზეგავლენებმა ვერ შეასრულა წარმმართველი და გადამწყვეტი როლი მის განვითარებაში. ეროვნული ხელოვნება გარკვეული თვითმყოფადობითა და თავისებურებითაა გამორჩეული. ეს თავისებურება ჩანს სიუჟეტის შერჩევის, სცენების განლაგების და ორნამენტული დეკორის მხრივ. მასში აირეკლება ქართული ხალხური ხელოვნების მხატვრული ღირსებები, ეროვნული გემოვნება და ყოველივე ის რაც წინარე განვითარებაზე იყო დაფუძნებული. საქართველო ხომ, როგორც უძველესი კულტურის ქვეყანა – თავის წიაღში ინახავდა ადგილობრივ მხატვრულ ტრადიციათა უდიდეს საგანძურს, რომელიც ასაზრდოებდა და განუმეორებელ სახეს აძლევდა ხელოვნების ნებისმიერ ნაწარმოებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ჭეშმარიტად სახალხო ოსტატების შემოქმედება, რომლებიც სრულიად თავისუფალნი იყვნენ ყოველგვარი გარეშე ზეგავლენებისაგან (სვანეთის, რაჭის, გარეჯის მოხატულობები). თავისუფლება განსაკუთრებით კარგად შეიგრძნობა ადგილობრივი წმინდანების გამოსახვის დროს, როდესაც მათი შთაგონების წყარო მათ გარშემო არსებული სამყაროა – მთელი თავისი თავისებურებებითა და განსაკუთრებული ფერადოვნებით და ეს ყოველივე მშობლიურია, მხოლოდ ქართულია. აღნიშნული სრულიად საფუძვლიანად ეხება ქართულ დეკორატიულ-გამოყენებით ხელოვნებას და მათ შორის ქართულ ქსოვილსა და ნაქარგობას, რის გარეშეც ვერ წარმოვიდგენთ ვერც სასახლეების მორთულობას, ვერც მაშინდელი ქართველების სამოსელს. სამწუხაროდ, ადრეული შუა საუკუნეების ეპოქის გამოყენებით ხელოვნებას საკმარისი სისრულით არ ვიცნობთ, მაგრამ ერთი კი ცხადია, ქართული დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნება უშუალო კავშირშია ხალხის ცხოვრებასთან, ხალხურია, ყოფითი გარემოდანაა აღებული და მასში ასახულია ძირითადი ესთეტიკური პრინციპები, ხშირად დეკორატიული სახეცვლილებით. საერთოდ დეკორატიულობა ხალხური ხელოვნების უმთავრესი ნიშანია, და ამდენად, რასაკვირველია, მასში ჭარბობს ორნამენტი და ორნამენტულობა და სწორედ ორნამენტში აისახება ეროვნული თვითმყოფადობა, ხალხური შემოქმედებისათვის დამახასიათებელი უშუალობა. სწორედ ამ უშუალობის ტრადიციებს ეფუძნება ქართული ქრისტიანული ხელოვნება – ქვისა და ლითონის პლასტიკა, მონუმენტური, დაზგური და მინიატურული მხატვრობა, მინანქარი და სხვა.

2.4.1. ადრეული პერიოდის ნაქარგობათა სახეები ქართული ქვაზე კვეთილი რელიეფების მიხედვით

უძველეს ქართული საერო თუ საეკლესიო ნაქარგი ნივთების უმეტესობას, სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოუღწევია. ყველაზე ადრეული პერიოდის ძეგლები (როგორც საერო, ისე საეკლესიო) არ მოიცავს XII ს-ზე უადრეს ნიმუშებს. მიუხედავად ამისა, ადრეულ პერიოდში მათ არსებობას უტყუარად ასაბუთებს ისტორიულ დოკუმენტებში დაცული ცნობები და ხელოვნების ნიმუშებზე აღბეჭდილი გამოსახულებანი. სწორედ ამიტომ, ადრეული პერიოდის ქართული ნაქარგობის შესწავლისათვის, მისი განვითარების ეტაპების, ორნამენტის სახეების ცვლილებისა და ევოლუციის დადგენისათვის აუცილებელია იმ უმდიდრესი მასალის გამოყენება, რომელსაც შეიცავს ქართული ხელოვნების ნიმუშები–არქეოლოგიური ძეგლების რელიეფები, მონუმენტური და დაზგური მხატვრობის, მინიატურის, ჭედურობისა და მინანქრის და სხვა მატერიალური ძეგლები. აღნიშნულ ძეგლებზე მრავლადაა გამოსახული ბიბლიური პერსონაჟები, წმინდანები და სხვადასხვა ისტორიული პირები ნაქარგობით დეკორირებულ სამოსში. ასევე მრავლად გვხვდება უხვად დეკორირებული სხვადასხვა დანიშნულების ქსოვილი. მათი ნაქარგობის ორნამენტები მრავალფეროვანია და წარმოადგენს სხვადასხვა სიდიდისა და სისქის ზიგზაგებს, რომბებს, სამკუთხედების მწკრივებს, წრეებს, გრეხილებს, კალათის წნულის თუ თევზის ფხის მსგავს სახეებს, ორმაგ, ერთმანეთში ჩახაზულ რომბებს ან წრეებს და მრავალ სხვადასხვა კომბინაციებს, რომლებიც სხვა არაფერია თუ არა ნაქარგობა. ამგვარი ორნამენტული ნახჭებით შემკობილია ძირითადად პერსონაჟთა სამოსის გულისპირი, მხარ-მკლავები, კალთები, ქვედა ნაპირები, სახელოს ბოლო, სარტყელი, საყელო-მანიაკი, ლორონი და სხვა. მსგავსი ორნამენტები არამარტო ქსოვილის ფაქტურის გადმოსაცემად, არამედ ფონის, ჩარჩოსა და სხვა დეტალების დეკორატიულ მორთულობაშიც არის გამოყენებული. აღნიშნული მასალის (რომელიც დროის საკმაოდ დიდ დიაპაზონს V– XVIIIს. მოიცავს) მოძიების, გაცნობის, კვლევის გზით და შემდგომში კვლევის შედეგების თავმოყრით და განზოგადებით შესაძლებელია თვალი გავადევნოთ აღნიშნულ პერიოდში ნაქარგობათა ორნამენტის სახეების ევოლუციას.

ქართული ნაქარგობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიის დადგენისათვის უპირველესად უნდა განვიხილოთ უძველესი ქანდაკოვანი რელიეფები, ქვის სტელები, ქვაჯვარები, ხუროთმოძღვრული ძეგლების საფასადე რელიეფები, ქვის კანკელები, რომლებიც ძალზე ფასეული და დიდად ინფორმაციულია ადრეული პერიოდის ნაქარგობის სახის დასადგენად და მისი სახეცვლილების წარმოსაჩენად.

ნაქარგობა უძველეს ქვასვეტებზე, ქვაჯვარებსა და ადრეულ ხუროთმოძღვრულ ძეგლებზე პირობითად არის წარმოდგენილი, რადგან ქვის რელიეფურ გამოსახულებებში ნაქარგობის ორნამენტული სახეების სინატიფე და მრავალფეროვნება სრულყოფილად ვერ ჰპოვებს გამოხატულებას, მასალის (ქვის) სტრუქტურის

გამო. მისი მხატვრულად დამუშავების სპეციფიკა არ იძლევა საშუალებას დაწვრილებით იქნას გადმოცემული ჩვენთვის საინტერესო საკითხის ყველა დეტალი. მიუხედავად ამისა, მაღალმხატვრულ დონეზე, დახვეწილი ოსტატობითა და დიდი რუდუნებით კვეთილ ქვის რელიეფზე,ზოგჯერ შესაძლებელია ამოვიკითხოთ კიდეც ამა თუ იმ ნაქარგობის შესრულების ხერხი. ნაქარგობის პლასტიკა წარმოადგენს სწორი ხაზის მოძრაობით შექმნილ ფორმებს. ეს ხაზი ზოგჯერ მოძრაობს წინ და უკან, ხან კუთხეზე, ხანაც ქმნის რომბულ, წრიულ და ჭადრაკულ ფორმებს.

მკვლევართა ჯგუფის მიერ შეგროვილ იქნა დიდძალი მასალა (ჩანახატებისა და ფოტოების სახით), აღნუსხულ იქნა თითოეული არქიტექტურული ძეგლი, სადაც ამა თუ იმ სახით შემორჩენილია ნაქარგობის შემცველი უმნიშვნელო ფრაგმენტიც კი, რის საფუძველზეც განხორციელდა მასალების შემდგომი ანალიზი.

უძველესი ქვაზე კვეთილი ძეგლები, რომელთა მიხედვით შეიძლება თვალი გავადევნოთ ნაქარგობის ორნამენტის სახეების ევოლუციას V – IX საუკუნეების ქვაჯვარები და ქვის სვეტებია (სტელები). ქართველი მეცნიერები ნ. შოშიაშვილი, ალ. ჯავახიშვილი და ვ. თოფურია აღნიშნავენ, რომ ქვაჯვარები და ქვის სვეტები გაქრისტიანების პირველ ხანებში გავრცელდა და წარმოადგენდა სალოცავ ძეგლებს. ადრეულ შუა საუკუნეებში ახლადგაქრისტიანებული ქართველი ერისმთავარნი და დიდგვაროვნები თავიანთ მამულში, ღია ცის ქვეშ, ხშირად დგამდნენ ქვის ოთხკუთხა, მაღალ სვეტებს - სტელებს, რომლებიც ჯვრით ბოლოვდებოდა. ქვაჯვარებსა და სვეტებზე უფლისადმი ვედრების, შუამდგომლობისა და შეწევნის თხოვნა იყო აღბეჭდილი. მათ წახნაგებზე იკვეთებოდა ორნამენტული და სიმბოლური სახეები, ბიბლიური სიუჟეტები, წმინდანთა და საერო პირთა გამოსახულები [1]. უნდა აღინიშნოს, რომ სტელა ეკლესიის დამატებას არ წარმოადგენდა, არამედ თავად იყო რეალური სახე ეკლესიისა. სტელაზე გამოსახული ხატის ფუნქციის მატარებელი სიუჟეტური რელიეფები - შთამბეჭდავი ზომებით, სრულიად საკმარისი იყო იმისათვის, რომ იგი ხალხს სამლოცველოდ მიეჩნია.

ასეთ სტელებს განეკუთვნება ბოლნისის სიონის სვეტი (V ს.), სამწევრისის სტელა (V ს.), დავათის ქვაჯვარი (V ს.), ხანდისის ქვასვეტი (VI ს. II ნახ.), ბრდაძორის ქვაჯვარა (VI ს. II ნახ.), ბუჩურაშენის მცირე ეკლესიის ქვასვეტი (VI ს.), ყაჩაღანას ქვაჯვარა (VII ს. I ნახ.), კატაულას ქვასვეტი (VII ს.), უსანეთის ქვასვეტი (VIII – IX სს.).

ყველაზე ადრეული რელიეფური ძეგლი - ბოლნისის სიონის ფილა (V ს.) – საერო პირის, სავარაუდოდ ერისთავის გამოსახულებით, რომელიც ვედრების პოზაში წელს ზევითაა წარმოდგენილი (სურ. 7). ქტიტორის მკერდზე ფიბულით შეკრული მოსასხამის ნაპირები, ნაქარგი არშიითაა შემკული, რომლის ორნამენტს კონცენტრირებული წრეები წარმოადგენს. ასეთივე ორნამენტითაა შემკული სახელოს ბოლოები [2].

სურ. 7. ბოლნისის სიონი – საერო პირი

ასევე ნაქარგობით შემკული სამოსითაა წარმოდგენილი დიდგვაროვანი მამაკაცი სამწევრისის სტელის (V-VI ს. მიჯნა) ფრაგმენტზე [3]. მისი სამოსი ბიზანტიური ოფიციალური კოსტიუმია და სავარაუდოდ იღლიის ქვეშ ამოტარებულ და მხარეზე შებნეულ მოსასხამს წარმოადგენს, რომლის ნაპირები ორნამენტირებული არშიითაა შემკული (დანართი 1). ნაქარგობის ორნამენტს გეომეტრიული სახე აქვს და წრიული ფორმებითაა მოცემული (სურ. 8).

ოქრომკედით ნაქარგი არშიითაა შემკული ორი სიმეტრიულად განლაგებული ფიგურის სამოსი დავათის ქვაჯვარას (VI ს. მე-2 ნახ.) ფრაგმენტზე (დანართი 2). არშიაზე, რომელიც სამოსის ქვედა ნაპირს შემოუყვება რომბულა სითვია გამოსახული (სურ. 9). რელიეფს გარს უვლის თევზიფხურასა და რომბულას მსგავსი ორნამენტი.



სურ. 8. სამოსის შემკულობა
სამწევრისის სტელა (V-VIსს.)

სურ. 9. დავათის ქვაჯვარა პირის
ჩაცმულობა (VI ს. მე-2 ნახ.)

სურ. 10. ხანდისის ქვასვეტი

ხანდისის ქვასვეტის (VI ს. მე-2 ნახ.) ფრაგმენტის ერთ-ერთ წახნაგზე გამოსახულ წმინდა გიორგის, კვირიკესა და ივლიტას რელიეფზე სამოსის ყელის ნაპირი, ასიმეტრიული კალთის ნაპირი და სამოსის ქვედა ნაპირი გაფორმებულია ორნამენტულად ნაქარგი არშიით. მსგავსი ორნამენტული არშიითაა გაფორმებული სახელოს ბოლოები (მანჟეტი). რელიეფები მოჩარჩოებულია სამკუთხა, გრეხილი და სწორხაზოვანი ორნამენტით (სურ. 10).

ნაქარგი არშიითაა შემკული ერთ-ერთი წმინდანის სამოსის შეხსნილი გვერდები და ქვედა ნაპირი ბრდაძორის ქვაჯვარას (VIს. II ნახ.) წახნაგზე გამოსახულ კომპოზიციაში – „ღვთისმშობელი დონატორთან ერთად" (დანართი 3). ნაქარგობის ორნამენტი წარმოადგენს კონცენტრირებულ წრეებს, რომელთაგან პატარა ზომის შიგა წრე ჩაღრმავებულია, რაც ძვირფასი ქვებით შემკობის აღმნიშვნელი უნდა იყოს. სამოსის გაფორმება მცირე ზომის თორაკიონის შთაბეჭდილებას ქმნის.



ა დ ე

სურ. 11. ხინდისის ქვასვეტი: ა – „აღსაყდრებული მაცხოვრის“ რელიეფის დეკორი; ბ – ანგელოზის რელიეფის დეკორი; გ – ანგელოზის სამოსის დეტალი; დ – კვირიკესა და ივლიტას რელიეფის დეკორი; ე – კვირიკესა და ივლიტას რელიეფის სამოსის დეტალი

სურ. 12. ბრდაძორის ქვაჯვარა

მსგავსად გაფორმებული სამოსით არიან წარმოდგენილი იგივე ქვაჯვარაზე ოჯახის წევრები (მამაკაცი და ბავშვი),
ქალის გამოსახულებას კი მაფორიუმის ქვეშ მოუჩანს უხვად ორნამენტირებული მანიაკის ფრაგმენტი. რომბული სითვის მსგავსი ნაქარგობითაა შემკული ბრდაძორის ქვასვეტის კაპიტელზე გამოსახულ კომპოზიციაში –„მანდორლაში საყდარსა ზედა მჯდომარე ქრისტე”, მაცხოვრის შიგა სამოსის სახელოს ბოლო (სურ. 12).

ოქრომკედის გრეხილურ ორნამენტს წააგავს არშია მოსასხამისა, რომლითაც შემოსილია ქვემო ქართლის მდინარე დამბლუტისწყლის ხეობის ბუჩურაშენის მცირე ეკლესიის ქვის სვეტის რელიეფზე გამოსახული ერთ-ერთი საერო პირი (დანართი 4). (აღნიშნულ სტელას დ. მუსხელიშვილი V-VI სს-ით. ათარიღებს, ხოლო ვ. ჯაფარიძე - VII ს.) [4].

ყაჩაღანის ქვაჯვარზე (VII ს. I ნახ.), რომელზეც ამოკვეთილია ჯვრის ამაღლების სცენა (ოთხ

მკლავზე გამოსახული ოთხი ანგელოზი აამაღლებს ჯვარს, რომელიც მკლავების კვეთაზე – წრიულ მედალიონშია აღბეჭდილი), ანგელოზთა ფრთები დამუშავებულია ტეხური და რომბული სითვის მსგავსი ორნამენტული დეკორით. ანგელოზთა გრძელი დაგოფრილი სამოსის ქობაზე რამდენიმე ფენა ტეხური სითვია გამოსახული.

უმდიდრეს ინფორმაციას გვაწვდის ქართული ისტორიული კოსტიუმისა და მისი გაფორმების შესახებ კატაულას ქვასვეტზე (VII ს.) გამოსახული ქართული ფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთი შტოს „გენეალოგიური ხე" და მასზე წარმოდგენილი მრავალფიგურიანი პორტრეტული გალერეა (დანართი 5). აქ გამოყენებული ნაქარგობათა ორნამენტი ტიპიური თევზიფეხურაა, ხოლო პერსონაჟთა სამოსის დეტალები ლიანდაგურით ნაქარგს მოგვაგონებენ [3]. ქვასვეტის ერთ-ერთი წახნაგის რელიეფზე გამოსახული წარჩინებული მანდილოსნის (დაქარაგმებული წარწერით: „ჯუარო პატიოსანო, მარიამი მხევალი შენი შეიწყალე") შიგა სამოსის ბოლო და შეხსნილი გვერდი გაფორმებულია სადა არშიით, ხოლო მოსასხამი მაფორიუმის ნაპირებს ირგვლივ შემოსდევს ოქრომკედით შემკული ძვირფასი არშია (სურ. 13, ა). ძალზესაინტერესო გაფორმება აქვს ამავე ქვაჯვარის მეორე რელიეფზე გამოსახული დიდგვაროვანი ქალის (წარწერით – „წმინდაო გიორგი ლიტავრი მხევალი შენი შეიწყალე") სამოსს, რომელიც წარმოადგენს ძვირფას ბეწვშემოვლებულ, საინტერესოდ ორნამენტირებულ მძიმე ფარჩის ქსოვილის, ან ბეწვის მოსასხამს (სურ. 13, ბ).



ა ბ გ

სურ. 13. კატაულას ქვასვეტი: ა – მხევალი მარიამი; ბ – მხევალი ლიტავრი; გ – გრიგოლ ვიპატოსი

მდიდრულად ორნამენტირებული ნაქარგობებითაა ასევე გაფორმებული კატაულას ქვასვეტის კიდევ ერთ-ერთ რელიეფზე ამოკვეთილი ისტორიული პირის გრიგოლ ვიპატოსის ბიზანტიური სტილის სამოსის კალთის ნაპირები, გვერდის ნაკერები, მხრები და ქვედა ნაპირი (სურ.13, გ). უნდა აღინიშნოს, რომ კატაულას რელიეფები უძველესი ქართული ისტორიული კოსტიუმის მართლაც საინტერესო და მრავალფეროვან ნიმუშებს გვთავაზობს.

ქარგვის ტექნიკური ხერხების სხვადასხვა სახეობები – ნაკრტენის სითვი, ლიანდაგურა, რომბულა და ა.შ. არის ამოკვეთილი უსანეთის ქვასვეტის (VIII-IX სს.) რელიეფების მრავალფიგურიან კომპოზიციებში (დანართი 6). ეს გამოსახულებები სიახლოვეს ავლენს კოპტურ რელიეფებთან და კაპადოკიის ადრეული მხატვრობის ზოგიერთ ნიმუშთან. ლიანდაგურით ნაქარგ ორნამენტს მოგვაგონებს რელიეფზე აღბეჭდილი ბიბლიური პერსონაჟების სამოსი (სურ. 14), კილოურისა და ნაკრტენის ნაქარგობის იდენტურია სულიწმინდის სიმბოლოს - მტრედის ფრთები, ანგელოზის ფრთები და პალმის ტოტები. ლიანდაგურის სითვის ზუსტ განმეორებას წარმოადგენს ჯვარი – რომბების მწკრივებით.

სურ. 14. უსანეთის ქვასვეტი–ბზობა

სურ. 15. ოშკის სტელა – დავით კურაპალატი

ნაქარგი ორნამენტული დეკორის სიუხვით გამორჩეულია ოშკის (X ს.) ორი სტელის რელიეფი (ამჟამად დაცულია თურქეთში არზრუმის საგამოფენო დარბაზში) სტელები დავით III კურაპალატისა და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის გამოსახულებით (დანართი 7). საინტერესოა მათი აღმოჩენის ფაქტი: მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ადგილობრივ თურქ მოსახლეობას ოშკის სამხრეთ მკლავში ჯამე მოუწყვია, რომელიც 1983 წელს ახალი ჯამეს აგების შემდეგ გააუქმებიათ. 2003 წელს, ძველი ჯამეს შემორჩენილი კედლის დაშლისას აღმოჩნდა მასში ჩადგმული, სკულპტურული გამოსახულებებით შემკული ორი მემორიალური სტელა უნიკალური თავისი ზომებით, რელიეფური გამოსახულებებითა და წარწერებით. ერთ-ერთზე წითელი საღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერის ამოკითხვის შემდეგ დადგინდა, რომ ოშკის ტაძრის მშენებლობა 963 წლის 25 მარტს დაიწყო. ერთ სტელაზე გამოსახულნი არიან ზევით – ნიკოპეის ტიპის ღვთისმშობელი, რომელსაც წინ უჭირავს ყრმა იესო, მის ქვევით – ქტიტორი დავით III ვედრების პოზაში, ხოლო მეორეზე ზევით – იოანე ნათლისმცემელი და მის ქვევით – ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი ვედრების პოზაში (წარწერის მიხედვით, უკვე გარდაცვლილი). სტელის რელიეფზე დავით III კურაპალატი გამოსახულია სამეფო სამოსით – ბისონითა და მოსასხამით (სურ. 15). ბისონის მხოლოდ სახელოს ბოლო ჩანს, რომელიც ძვირფასი თვლებით შემკულ ოქროვანი არშიითაა გაფორმებული. მარჯვენა მხარზე ფიბულით შეკრული გარე მოსასხამი უხვი დეკორითაა დაფარული. ორნამენტი ოქრომკედით ნაქარგი ძვირფასი თვლებითა და გეომეტრიული ფიგურებითაა შედგენილი. ანალოგიურ სამოსშია წარმოდგენილი ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი მეორე სტელის რელიეფურ გამოსახულებაზე. სამოსი უხვად ორნამენტირებულია, მაგრამ დაზიანების გამო ცუდად იკითხება [5].

უძველესი ქვასვეტებისა და ქვაჯვარების გვერდით აუცილებელია განხილულ იქნას მათი თანადროული ქრისტიანული ტაძრების ქანდაკოვანი საფასადე რელიეფები, რომელთაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ეკლესია-მონასტრების ფასადთა გაფორმებაში.

ნაქარგობით შემკული სამოსით გამოსახული ისტორიული პირები, წმინდანები და ბიბლიური პერსონაჟები შეიძლება ვიხილოთ არქიტექტურულ ძეგლების მცხეთის ჯვრის მონასტრის, ატენის სიონის, რუისის, ჯოისუბნისა და წირქოლის

ეკლესიების, ვალეს, კუმურდოს, უდეს, ტბეთის, ოშკის, დოლისყანისა და შეპიაკის ტაძრების ქვის რელიეფებზე.

VI-VII სს. უკვდავი ძეგლის მცხეთის ჯვრის ტაძრის (586-604წ.) აღმოსავლეთისა და სამხრეთის ფასადები შემკულია ქტიტორთა რელიეფური გამოსახულებებით, რომლებიც ორგანულადაა შერწყმული არქიტექტურასთან. ამ რელიეფებში ადამიანის ფიგურის პლასტიკური გამოსახვა არ არის დამოუკიდებელი და გადამწყვეტი ამოცანა, იგი საერთო დეკორატიული გადაწყვეტის ნაწილია. რელიეფები აქ, როგორც მთლიანი და სრულყოფილი კომპოზიცია, მხოლოდ არქიტექტურასთან ერთად, მასთან კავშირში აღიქმება, მასთან ერთად წარმოჩნდება, როგორც აუცილებლად საჭირო ელემენტი და განუყოფელი მხატვრული აქცენტი.

აქ ამ რელიეფებზე, მიუხედავად დაზიანებისა, კარგად ჩანს სამოსის შემკულობის ჩვენთვის საინტერესო ორნამენტული დეკორატიული სახეები, რომლებიც აშკარად ნაქარგობას წარმოადგენენ (დანართი 8). მარგალიტების სხმული შემოუყვება ქტიტორ ქობულ სტეფანოზის[13] სამოსის ოქროქსოვილის არშიას ქვედა ნაპირზე, სახელოს ბოლოებზე, სამხრეებსა და მანიაკზე (სურ. 16, ა). ნაქარგი ყვავილოვან-ფოთლოვანი ორნამენტია გამოსახული ქტიტორის დემეტრე ვიპატოსის შიგა სამოსის ოქრომკედის არშიაზე. რომბული ბადისებური გეომეტრიული ორნამენტითაა შემკული დაგრძელებულსახელოებიანი გარე მოსასხამის ქვედა ნაპირის და სახელოს ბოლოს არშიები (სურ. 16, ბ). სავარაუდოდ მსგავსი გეომეტრიულ-მცენარეული ორნამენტებითაა შემკული აღმოსავლეთ აფსიდის ფასადზე, სარკმელების ზევით ამოკვეთილი ისტორიულ პირების[14] პატრიკიოს სტეფანოზისა და ადარნასე ვიპატოსის სამოსის არშიები. პატრიკიოს სტეფანოზის დაზიანებულ გამოსახულებაზე დეკორირებული სამოსის ქვედა არშია გარკვევით მოჩანს (დანართი 9). ამათგან ჩრდილო-აღმოსავლეთ სარკმლის რელიეფზე გამოსახული ქტიტორის – ადარნასე ვიპატოსის სამოსის შემკულობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ რელიეფის რესტავრირებული ნიმუშის მიხედვით (დანართი 10). სამოსის დეტალის აღდგენა მოხერხდა ქტიტორის მარცხენა მხარეს კისერთან შემორჩენილი წამოსასხამის მხარისა და საყელოს ნაწილის საშუალებით, რომელზედაც შერჩენილი იყო შემკულობის ორნამენტი – ყელის ნაპირის გაყოლებით წყვილ რელიეფურ ორმაგ ზოლს შორის ორრიგად ჩარიგებული რელიეფურივე ბრტყელი წრეები [6]. უნდა ვიფიქროთ, რომ სხვა ქტიტორების სამოსის დეკორატიული, ყვავილოვან-ფოთ-

---

[13]რელიეფი ქტიტორის – ქართლის ერისმთავრის სტეფანოზის ოჯახის წევრის, ქობულის გამოსახულებით განლაგებულია სამხრეთის კედლის ფასადზე, შესასვლელის ზევით – სარკმელის თავზე. ქობულს ტეფანოზი მუხლმოდრეკილი დგას სტეფანე დიაკონის წინაშე.

[14]სამი ქტიტორული პორტრეტი, განლაგებული სამი სარკმლის ზემოთ, როგორც გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, წარმოადგენს „დიდი მთლიანი კომპოზიციის განცალკევებულ ნაწილებს“. ცენტრში – შუა სარკმლის ზემოთ რელიეფზე გამოსახულია მუხლმოდრეკილი ერისმთავარი პატრიკიოსი სტეფანოზი, რომლის თავზე უფალს ხელი აქვს დადებული, მარცხენა სარკმლის ზემოთ – ერისმთავრის ძმა, მუხლმოყრილი დემეტრე ვიპატოსი და მის ზემოთ მთავარანგელოზი მიქაელ, ხოლო მარჯვენა სარკმლის თავზე – ერისმთავრის მემკვიდრე, ადარნასე ვიპატოსი, მუხლმოდრეკილი მისი ვაჟი ქობულ და მათ თავზე მთავარაგელოზი გაბრიელ. მარჯვენა და მარცხენა რელიეფები მიმართულია უფლისაკენ (ცენტრისაკენ) და ეს არის გაერთიანების ხერხი.

ლოვანი სახეებისაგან განსხვავებით, ადარნერსეს წამოსასხამის შემკულობა წარმოადგენდა ლითონის დაკერებულ კილიტებს (ამის მაგალითებს უფრო ადრეულ არმაზის განათხარ მასალებში ვხვდებით), ან ძვირფას ქვებს.

ა ბ

სურ. 16. ნაქარგობის სახეები ქტიტორთა სამოსზე (მცხეთის ჯვრის რელიეფები): ა – ქობულ სტეფანოზი; ბ – დემეტრე ვიპატოსი

ნაქარგი ორნამენტული დეკორითაა შემკული სამოსი ტაძრის ხუროთმოძღვრისა, რომელიც ამოკვეთილია გუმბათის ყელის სამხრეთ წახნაგზე (დანართი 11). რელიეფზე ნაქარგი არშიით დამშვენებულია სამოსის ყელის ნაპირი, სახელოს ბოლოები და ქვედა ნაპირი, ამასთან კისერთან ნაქარგობა ძვირფასი ქვებითაა მოოჭვილი, ხოლო ქვედა განიერი არშია რომბული სითვითაა ნაქარგი [7].

შიდა ქართლის ხუროთმოძღვრული ძეგლის VII საუკუნის ატენის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის (ატენის სიონი) ფასადებზე მრავლადაა წმინდანთა, აღმშენებელ-ქტიტორთა და ხუროთმოძღვარ ოსტატთა რელიეფური გამოსახულებანი. მათი საერთო რაოდენობა ოცდაორია. მკვლევართა ვარაუდით მათ უმრავლესობას IX-IX საუკუნეების განახლების კვალი ეტყობა [8]. რელიეფები უხვადაა დატვირთული ნაქარგობის აღმნიშვნელი ორნამენტული დეკორით, რომლებშიც გეომეტრიული და ყვავილოვანი სახეები ჭარბობს (დანართი 12).

ოქრომკედით ნაქარგი გეომეტრიული ორნამენტული დეკორითაა დამშვენებული არშია, რომლითაც გაფორმებულია ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის რელიეფზე ერთ-ერთი ქტიტორის – რატი I-ის სამოსის (ბისონის) ქვედა ნაპირი და კალთის წინა ნაპირები. ორნამენტი ტეხილი (ზიგზაგური) ხაზის რაპორტითაა წარმოქმნილი.

ასეთივე ორნამენტითაა შემკული ქტიტოტის მხრებზე მოსხმული „ბეჭმენი“ – მოკ-ლე მოსასხამი (სურ. 17, ა).



ა ბ გ დ

სურ. 17. ნაქარგობის სახეები ქტიტორთა სამოსზე (ატენის სიონის რელიეფები): ა – რატი I ბაღვაში; ბ – უცნობი;
გ – ; ნერსე სტეფანოზი; დ – ლიპარიტ რატის ძე;

მსგავსი ტეხური ორნამენტით ნაქარგი არშიითაა მორთული კიდევ ერთ-ერთი ქტიტორის სამოსის ქვედა ნაპირი, კალთის წინა ნაპირები, სახელოს ბოლოები და სამოსის თეძოს ხაზი (სურ. 17, ბ).

ოქრომკედით ნაქარგი არშიითაა გაფორმებული ნერსე სტეფანოზის სამოსი ტაძრის კიდევ ერთ რელიეფურ გამოსახულებაზე. არშია შემოუყვება გრძელი სამოსის გულისპირს, კალთის წინა ნაპირებს, საყელოს, დაგრძელებული დეკორატიული სახელოების ბოლოს. ორნამენტი ტეხილი გეომეტრიული ფორმებითაა და უწყვეტი რვიანების ჯაჭვში ჩახაზული ოთხფურცელა ყვავილებითაა შედგენილი. ნაქარგობითაა შემკული სარტყელიც, რომელზეც პარალელური ხაზები ურთიერთმართობულად ისეა განლაგებული, რომ კალათური ორნამენტის შთაბეჭდილებას წარმოქმნის (სურ. 17, გ).

უხვად და მდიდრულად ნაქარგი ოქრომკედის არშიითაა გაფორმებული ტაძრის აღმოსავლეთ კედელზე მოთავსებული ქტიტორის ლიპარიტ რატის ძის სამოსის მხრები, გულისპირი, ქვედა ნაპირი და სახელოს ბოლოები. ორნამენტი ყვავილოვანია, ამობურცული წრეები კი ძვირფასი ქვების აღმნიშვნელია (სურ. 17, დ).

ნაქარგობაში გამოყენებული ორნამენტული მოტივები ჩანს რუისის (IXს.) ეკლესიის სამხრეთ ფასადის სარკმლის თავსართზე გამოსახული საერო პირების სამოსში (დანართი 13).

ნაქარგი გეომეტრიული ორნამენტით (წრეში ჩასმული წერტილით – სავარაუდოდ ლითონის კილიტებით) გაფორმებული სამოსითაა გამოსახული მენაღარე ანგელოზი (სურ. 18, ა) ჯოისუბნის ეკლესიის (X ს. I მესამედი) აღმოსავლეთ სარკმლის საპირეზე (დანართი 14).. იგივე ორნამენტითაა შემკული ანგელოზის სამოსი მეორე რელიეფიდან „ხარება“ (დანართი 15).

სურ. 18. ნაქარგობით შემკული სამოსი: ა – მენაღარე ანგელოზის (ჯოისუბნის ეკლესიის რელიეფი); ბ – ოლარი (სოხუმის ფილა)

რთული ნაქარგი ორნამენტებით არის შემკული წირქოლის (X ს.) რელიეფის ქვედა რეგისტრში წარმოდგენილი ნაბუქოდონოსორ მეფის (რომელმაც ცეცხლის სახმილში შთააგდებინა სამი ყრმა) სარტყელიანი კაბა – გრძელი სახელოებით (დანართი 16). რელიეფი ამჟამად საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ფონდშია დაცული [9].

სწორი ზოლებით მოქარგული არშია აქვს მოყოლებული განიერ მოსასხამს, რომლითაც გამოსახულია ვალეს (X ს.) ტაძრის რელიეფზე ვინმე „კრავაი“ , მოსასხამს შიგნით ქტიტორს გრძელი, სწორი და მკერდდახშული კაბა მოუჩანს (დანართი 17).

დეკორატიული ფესტონები შემოსდევს უდეს ტაძარის რელიეფზე (დანართი 18) გამოსახული წარჩინებული ქალბატონის ფართო მოსასხამის კიდეს.

ნაქარგობით შემკული ოლარი ამშვენებს ერთ-ერთ სასულიერო პირს (სურ. 18, ბ) სოხუმის მიდამოებში აღმოჩენილი X საუკუნის ფილის რელიეფზე (დანართი 19) [10].



სურ. 19. ტბეთის რელიეფი – აშოტ კუხი

ნაქარგობითაა შემკული სამოსი სუმბატ მეფისა, რომელიც ეკლესიის მოდელით ხელში დოლისყანის (X ს.) გუმბათის ყელის რელიეფზეა გამოსახული (დანართი 20).

ორნამენტული დეკორითაა გაფორმებული საქართველოს მეფის ბაგრატ III-ის დედის – გურანდუხტ დედოფლისა და მისი ძმის ლევან აფხაზთა მეფის სამოსი. ისტორიული პირები გამოსახულნი არიან ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული საკათედრო ტაძრის კუმურდოს (X ს.) გუმბათქვეშა აფრების რელიეფებზე (დანართი 21).

ნაქარგობის მეტად საინტერესო სახეობებია წარმოადგენილი ტბეთის (X ს.) საკათედრო ტაძრის (ტაძარი ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა) დასავლეთის მკლავის ჩრდილოეთ კედლის ფილაზე, ქტიტორის – აშოტ კუხის ჰორელიეფური გამოსახულებით (დანართი 22). ფილა ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმშია დაცული. რელიეფს ჰქონია წარწერა, რომელიც ნ. მარის ცნობით გულმოდგინედ ჩამოუტეხავთ ჩაქუჩით. ქტიტორის სამოსი შიგა ფესვედის, გარე კაბისა და დაგრძელებულსახელოიანი მოსასხამისაგან შედგება (სურ.19). შიგა კაბაზე თვალნათლივ მოჩანს ურთიერთგადამკვეთი ირიბი დიაგონალებისგან მიღებული რომბების მწკრივი, რომელიც რომბული სითვით ნამაგრი ნაქარგობის აღმნიშვნელია. განლაგებული წრეები მარგალიტების სხმულით მორთულობაზე მიგვითითებს, ასევე, რომბების ცენტრში მოდიდო წრეები მარგალიტების, ან ძვირფასი

ქვების აღმნიშვნელია. ორნამენტის დეკორი კუბოკრული ქსოვილის შთაბეჭდილებას იძლევა. ქტიტორის საკმაოდ განიერი,დაგრძელებულსახელოიანი მოსასხამი (სავარაუდოდ სკარამანგი), როგორც ჩანს მძიმე ფარჩის ქსოვილისაა, რომელზეც ჭადრაკულად არის განლაგებული, ნაქარგი ლომის სტილიზებული გამოსახულებები. ასეთ ქსოვილს „ლომოვანის“ სახელით მოიხსენიებდნენ. ქტიტორს წელს ქვევით, თეძოზე შემოჭერილი აქვს ძვირფასი ქვებით, ან ვერცხლის წრიული ფირფიტებით შემკული სარტყელი. რომელიც სავარაუდოდ ტყავისაგან არის დამზადებული [11].

მხატვრული თვალსაზრისით მეტად საინტერესოა მრავალფეროვანი ნაქარგობითა და ხატოვანი ორნამენტული მოტივებით დატვირთული ოშკის (X ს.) ტაძრის (მდებარეობს თურქეთში, ერზერუმის პროვინციაში) რელიეფები. რელიეფების სიმდიდრით ოშკს ერთი-ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს შუა საუკუნეების ქართულ ტაძართა შორის. მის კედლებზე მრავლადაა ჰორელიეფები ადამიანის გამოსახულებით.



სურ. 20. ა – დავით III კურაპალატის ნაქარგობით ორნამენტირებული სამოსი; ბ – სამოსის დეკორი (ოშკის ტაძრის რელიეფი)

მათგან უდიდესია სამხრეთის ფასადის აღმოსავლეთ ნაწილში მოთავსებული ხუთ-ფიგურიანი „ვედრების“ კომპოზიცია – უფალი იესო ქრისტეს, ღვთისმშობლის, იოანესა და ტაძრის ორი დამფუძნებლის გამოსახულებით. ამჟამად ხუთი ფიგურიდან მხოლოდ სამია შემორჩენილი – იოანე ნათლისმცემელი, დავით III კურაპალატი და ბაგრატ ერისთავთ ერისთავი (დანართი 23). ფიგურები მთელი ტანით არიან გამოსახულნი[15] (სურ. 20, სურ. 21).

დავით II და ბაგრატ ერისთავი სამეფო სამოსით – ბისონითა და მოსასხამით არიან წარმოდგენილნი. სამოსის მასალა მძიმე ოქროქსოვილი ფარჩაა და გამოირჩევა მდიდრული ორნამენტული დეკორით. დავით კურაპალატის ლორონის შემკულობა რომბული და მართკუთხა ფორმის ძვირფასი ქვების ორ მწკრივს წარმოადგენს. ბისონის ნაქარგობა შესრულებულია გეომეტრიული და მცენერეული ორნამენტების შერწყმით და წარმოადგენს ერთმანეთის მიჯრით განლაგებულ, მარგალიტის



სურ. 21. ბაგრატ ერისთავთ ერისთავის ნაქარგობით ორნამენტირებული სამოსის დეკორი (ოშკის ტაძრის რელიეფი)

[15]დავით III კურაპალატისა და ბაგრატ ერისთავთერისთავის გრაფიკული გამოსახულებები აღებულია ელრესურსიდან:

მძივებისაგანშედგენილ დიდ წრიულ მედალიონებს, რომელთა შიგნით ყვავილოვან-მცენარეული ორნამენტია ჩასმული. მოსასხამის დეკორი ბისონის მსგავსად დამუშავებული უფრო დიდი მედალიონებისაგან შედგება, რომელთა მოტივი გამდიდრებულია შუაში ჩასმული ფასკუნჯის სტილიზებული გამოსახულებებით. წრეებს შორის თავისუფალი არე შევსებულია ფოთლოვან-ყვავილოვანი ორნამენტით. ბისონისა და მოსასხამის ოლე შემკობილია ძვირფასი თვლების ოქროვანი არშიით, რომელსაც გარს შემოუყვება მარგალიტის მწკრივი.

მეორე ქტიტორის ბაგრატ ერისთავის ბისონი დაფარულია ფართო წრიული მედალიონებით, რომლებიც შედგენილია ერთმანეთში ჩახაზული წრეებით. ორ გართა წრეს შორის ჩასმულია მარგალიტის სხმული. ცენტრში ძვირფასი ქვაა მოთავსებული, რომელსაც ასევე წრე შემოუყვება. მედალიონის შიგნით წრეებს შორის არე დაფარულია ცენტრისაკენ მიმართული სტილიზებული ფოთლებით, რომლებშიც ყვავილებია ამოკვეთილი. ბისონის კისრის ნაპირი მარგალიტების სხმულითაა შემკული, ხოლო ქვედა ნაპირი ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებით მოოჭვილი არშიით. ანალოგიური, მაგრამ უფრო გართულებული და გამდიდრებული დეკორითაა წარმოდგენილი მოსასხამი. ისიც მიჯრით განლაგებულ მედალიონებითაა დაფარული. მედალიონები მარგალიტების სხმულისა და გრეხილური ორნამენტით შედგენილი კონცენტრირებული წრეებითაა წარმოდგენილი. მედალიონების გარშემოწერილობაც, აგრეთვე მარგალიტის სხმულია. მედალიონის შიგნით წრეებს შორის არე ინის ფორმის ორნამენტითაა დაფარული. მედალიონებს შორის თავისუფალი არე შევსებულია მცირე ზომის წრეებით. მოსასხამის ნაპირები მთელს პერიმეტრზე ოლვილია, მისი შემკულობა წარმოადგენს მარგალიტების ორმაგ მწკრივს, რომელთა შორის დიდი ზომის მართკუთხა და რომბული ძვირფასი ქვებია ჩასმული [12].

იგივე ისტორიული პირები ტაძრის ინტერიერის რელიეფზეც არიან წარმოდგენილი. ქტიტორები ამ შემთხვევაში წელს ზევით არიან გამოსახული (დანართი 24). მათი სამოსი აქაც უხვად დეკორირებული ძვირფასი სტავრაა. ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის ბისონს სადა სარტყელი, ოქროვანი საყელო და მანჟეტები ამშვენებს, რომლებზეც გეომეტრიული ორნამენტია ამოქარგული. თავად ბისონი დაფარულია წრეებში ორ ფენად ჩახატული ყვავილოვანი სახეებით. წრეებს შორის არეებიც მცირე ზომის ფოთლოვანი ორნამენტითაა შევსებული (სურ. 22, ა).

ანალოგიურად მდიდრულად შემკული სამოსითაა გამოსახული დავით III კურაპალატი. მის ბისონს აქაც სარტყელი, მოქარგული ოქრომკედის საყელო და სამაჯეები (დაზიანების გამო მხოლოდ ნაწილობრივ ჩანს) ამშვენებს. საყელო ამობურცული ბრტყელი წრეებითაა დაფარული, რაც ძვირფასი ქვებით ან ოქროს კილიტებით მოოჭვაზე მიგვითითებს. ბისონის გაფორმება ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის სამოსის ანალოგიურია, იმ განსხვავებით, რომ წრეებში ჩასმულია სტილიზებული ფოთლები, წვრილი წვეროებით ცენტრში. სპირალურად დახვეული ბოლოების გამო ის ვაზის პწკალის შთაბეჭდილებასაც ქმნის (სურ. 22, ბ).



ა ბ

სურ. 22. ოშკის ტაძრის ინტერიერის რელიეფი: ა – ბაგრატ ერისთავთ ერისთავის სამოსის დეკორი; ბ – დავით III კურაპალატის სამოსის დეკორი

ნაქარგობით შემკულ სამოსში არის წარმოდგენილი ისტორიული პირები –რატი და ლიპარიტ ბაღვაშები შეპიაკის (თრიალეთი, X-XI სს. მიჯნა) ეკლესიის სარკმელის თავსართზე. ქტიტორები რელიეფზე ეკლესიის მოდელით ხელში არიან გამოსახულნი (დანართი 25).

ნაქარგობის სახეები და ქსოვილების ორნამენტული დეკორი ხუროთმოძღვრული ძეგლების საფასადე რელიეფების გარდა ქვის უძველეს კანკელებზეც გვხვდება, ესენია: ზედაზნის წებელდის, გოგნის, სხიერისა და სხვა კანკელები.

ზედაზნის კანკელის რელიეფზე ორი საერო პირია გამოსახული ნაქარგ სამოსში: კახთა მეფე კვირიკე III და ოსთა მეფე ურდური [13]. კვირიკეს სამოსი საზეიმო ლორონითა და მანიაკითაა წარმოდგენილი, რომლებიც სავარაუდოდ ოქროქსოვილისაა და ძვირფასი ქვებითაა მოოჭვილი, გარშემო კი მარგალიტის ორმაგი სხმული შემოსდევს. ასეთივე ორრიგი მარგალიტებითაა გაფორმებული ნაპირები სამეფო მოსასხამისა, რომლის ერთი ბოლო მარჯვენა მხრიდან გამოტანილია წინისაკენ და მარცხენა იღლიის ქვეშ არის გატარებული. მოსასხამი დეკორირებულია გეომეტრიული ფიგურებით, რომლებიც შესაძლოა ნაქარგ აპლიკაციებს წარმოადგენს. შიგა ფესვედი სამოსის სახელოს ბოლოები ოლვილია და ისიც მარგალიტებითაა შემკული (სურ. 23). ძლიერი დაზიანების მიუხედავად შეინიშნება, რომ ოვსთა მეფის სამოსიც საზეიმო-ლორატიულია, ლორონის გაფორმება კახთა მეფის იდენტურია (დანართი 26).

სურ. 23. კახთა მეფე კვირიკე III სამოსის დეკორი (ზედაზნის კანკელის რელიეფი)

სურ. 24. ანგელოზის სამოსის დეკორი (გოგნის „კარუგდებელის“ წმ. გიორგის ეკლესიის კანკელის რელიეფი)

სხიერის (X ს. I მესამედი) წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კანკელის ფილაზე, რომელიც ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული, ნაქარგ სამოსში გამოსახულნი არიან ქტიტორები და მთავარანგელოზები (დანართი 27).

ნაქარგობის ორნამენტისა და დეკორირებული ქსოვილის გასაცნობად საინტერესო მასალას წარმოადგენს ქუთაისის ისტორიული მუზეუმის ეპიგრაფიკის ფონდში დაცული კანკელის ფილა „მაცხოვრის ამაღლების კომპოზიციით” – გოგნის „კარუგდებელის“ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიიდან (დანართი 28). იგი მრავალი სტილისტური ნიშნით X საუკუნის მე-2 ნახევრით თარიღდება. ეს შვიდფიგურიანი კომპოზიცია შეიცავს სამოსის საინტერესო და სხვადასხვაგვარი გრაფიკული ხერხით შესრულებულ ნახატებს. მაცხოვრის სამოსი ტრადიციული კვართისა და ჰიმატიონისაგან შედგება. მისი ნაკეცები ორნამენტირებულია ურთიერთპარალელური სწორი, ნახევრადწრიული და ტეხილი ხაზებით, ხოლო ანგელოზების მდიდრულად შემკული სამოსი წარმოადგენს საქართველოში გავრცელებული სამეფო სამოსის სახეობას - ბისონს. ოთხივე ანგელოზის სამოსი მსგავსი თარგისაა, გან-

სხვავებულია მდიდრულად ნაქარგი ორნამენტული დეკორი. ანგელოზთა ფართოდ გაშლილი ფრთები წიწვისებური, ნაკრტენის მსგავსი სითვითაა დამუშავებული (სურ. 24). ასეთი დამუშავება მსგავსებას იჩენს ღობის (X ს.) ჭედურ ხატზე ღვთისმშობლის სამოსის ნახატთან, საღოლაშენის ფირფიტებზე (X ს.) გამოსახულ მაცხოვრისა და მოციქულთა კაბის ნახატთან [14].

ადრეული პერიოდის ქვის რელიეფების გაცნობამ და ანალიზმა თვალნათლივ გვაჩვენა ჩვენს ქვეყანაში მრავალსახოვანი ნაქარგობის ხელოვნების ძველთაგანვე არსებობის ფაქტი. მიუხედავად იმისა, რომ ქვის მასალაში რთულია სრულყოფილად იქნას წარმოჩენილი ნაქარგობისათვის დამახასიათებელი დახვეწილი ორნამენტაცია, მისი სახისა და მოხატულობის სიუხვე და სინატიფე – ძველი ოსტატების მიერ, ეს სირთულე უხშირესად დაძლეულია.მათი გაწაფული ხელით ქვა ამეტყველებულია, და ჩვენს წინაშეა ქვაში აჟღერებული ჰარმონია ხატოვანი და მრავალფეროვანი ნაქარგობის ხელოვნებისა.

2. 4. 2. ადრეული პერიოდის ნაქარგობათა სახეები კედლის მხატვრობის, ფერწერული ხატების, ჭედურობისა და მინანქრის მიხედვით

ნაქარგობის უფრო სრულყოფილ სურათს ქვის რელიეფებთან შედარებით იძლევა მონუმენტური და დაზგური ფერწერა, რომელთა ნიმუშებმა ნაქარგობის მეტად მდიდარი და მრავალფეროვანი მხატვრული სახეები შემოგვინახეს. ქვაზე კვეთისაგან განსხვავებით, ოსტატს აქ გაცილებით ფართო მოქმედების და სახვითი ხერხების გამოყენების საშუალება აქვს. ამიტომ, ასეთი მასალების მოძიება და ანალიზი ძალზე მნიშვნელოვანია ქართული ნაქარგობის ისტორიის შესასწავლად და მისი განვითარების პროცესის დასადგენად.

ქართულ კედლის მხატვრობაში ნაქარგობათა ნიმუშებს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ვხვდებით შემდეგ ძეგლებზე:

VIII-IX საუკუნეები: ქსნის არმაზის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (864წ.);

IX-X საუკუნეები: დავით გარეჯის საბერეები, ჩვაბიანის (სვანეთი) მაცხოვრის სახელობის ეკლესია;

XI საუკუნე: ატენის (ქართლი) სიონის ტაძარი, ზემო კრიხის (რაჭა) მთავარანგელოზთა ეკლესია, წვირმის (რაჭა) მაცხოვრის სახელობის ეკლესია, ადიშის (ზემო სვანეთი) მთავარანგელოზთა ეკლესია;

XII საუკუნე: მაცხვარიშის (ზემო სვანეთი) მაცხოვრის ეკლესია, ნაკიფარის (ზემო სვანეთი) წმ. გიორგის სახელობის ეკლესია;

XIII საუკუნე: ქვაბისხევის (VIII-IX სს. ძეგლი) წმ. მარიამის სახელობის ეკლესია, უშგულის სოფ. ჟიბიანის (ზემო სვანეთი) ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (ლამარია), ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძარი (ქართლი);

XIV საუკუნე: სორის XIV საუკუნის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (რაჭა), დორეთკარის წმ. ბარბარეს სახელობის ეკლესია (ქართლი), იენაშის (XII ს. ძეგლი) წმ. იონა წინასწარმეტყველის სახელობის ეკლესია (ზემო სვანეთი), საფარის წმ. საბას ტაძარი (სამცხე-ჯავახეთი), უბისის წმ. გიორგის სახელობის ეკლესია (ზემო იმერეთი);

XV საუკუნე: ნაბახტევის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია (კახეთი);

XVI საუკუნე: გელათის (XII ს. ძეგლი) ღვთისმშობლის სახელობის მონასტერი (იმერეთი), წითელხევის (იმერეთი) ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანების (დევიძეების) ეკლესია (X ს. ძეგლი), ილემის „შემოქმედის“ ეკლესია (იმერეთი), მარტვილის (სამეგრელო) ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი (X ს. ძეგლი), ბუგეულის ღვთისმშობლის ეკლესია (ქვემო რაჭა), ნიკორწმინდის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია (ქვემო რაჭა), გრემის მთავარანგელოზთა მონასტერი, ახალი შუამთის ღვთისმშობლის შობის მონასტრის, კაწარეთის ხაშმის სამების ეკლესია (კახეთი), ნეკრესის სამონასტრო კომპლექსის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია (კახეთი), ალვანის (VIII-IX სს. ძეგლი) ნათლისმცემელის ეკლესია (კახეთი), სვეტიცხოვლის (XIს. ძეგლი), ბედიის მონასტერი (X ს. ძეგლი), წალენჯიხის ტაძარი (X ს. ძეგლი), ხობის მონასტერი (XIII-XIV სს. ძეგლი).

სამოსის ქარგულ შესამკობელებს ვხვდებით ქართულ ფერწერულ ხატებშიც, ესენია:

X-XI საუკუნეთა მიჯნა – „აღსაყდრებული ღვთისმშობელი ყრმით და წმ. ბარბარე";

XI-XII საუკუნეთა მიჯნა: ფხოტრერის მთავარანგელოზთა ეკლესიის ხატი ქტიტორებით – „მთავარანგელოზთა კრება“ , ლაგურკის წმ. კვირიკესა და ივლიტას ხატები მთავარანგელოზების მიქაელისა და გაბრიელის გამოსახულებით, სოფელ საყდარის წმ.გიორგის ფერწერული ხატი;

XII საუკუნე: მესტიის მთავარანგელოზის ხატი;

XIII საუკუნე: სეტის კარედი ხატი მთავარანგელოზთა გამოსახულებით, წმ. გიორგის ხატი სვანეთიდან, ლაბსყალდის მთავარანგელოზ მიქაელის ხატი, მესტიის წმ. იოანე ნათლისმცემელის ხატი, წილკნის ღვთისმშობლის ხატი;

ნაქარგობათა სახეები გვხვდება აგრეთვე ჭედურ ხატებსა და ტიხრულ მინანქარში:

X საუკუნე: პაკის ხატი - მაცხოვარი და მთავარანგელოზები, საღოლაშენის მიტრის ფირფიტები; X საუკუნის ჩუკულის კარედი ხატი;

X-XI საუკუნეთა მიჯნა: მარტვილის X-XI საუკუნეთა მიჯნის ღვთისმშობლის ხატი;

XI საუკუნე: იელის XI საუკუნის პირველი მესამედის წმინდა ბარბარეს ხატი, მურყმელის XI საუკუნის მთავარანგელოზთა ხატი, შემოქმედის XI საუკუნის ფირფიტა წმ. ბასილის გამოსახულებით, მესტიის XI საუკუნის საკურთხევლისწინა ჯვარი, ცაგერის XI საუკუნის ღვთისმშობლის ხატი, ნაკიფარის წმ. გიორგის XI საუ-

კუნის ხატი, ამავე საუკუნის ლაგურკის წმ. კვირიკეს ორ ხატი, ჩუკულის XI საუკუნის კარედის ფრაგმენტი - მაცხოვარი ანგელოზებით, XI საუკუნის ხახულის კარედის ფირფიტა მიხეილ მე-7 დუკასა და მისი მეუღლის - მარიამის გამოსახულებით;

XII საუკუნე: ხახულის კარედის XII საუკუნის I ნახევრის მედალიონები, ჯუმათის მიქაელ მთავარანგელოზის ხატის წმ. თეოდორეს მედალიონი, წილკნის ღვთისმშობლის ხატზე გამოსახული წმინდა მხედრები;

უძველესი ძეგლი, რომლის კედლის მოხატულობაში წარმოდგენილია ჩვენთვის საინტერესო მასალა (ნაქარგი ქსოვილი) IX საუკუნის ქსნის არმაზის წმინდა გიორგის ეკლესიაა. აქ ქვის კანკელის თაღთა შორის არეებზე – მოხატულობაში სამი ჭაბუკის გამოსახულებაა (დანართი 29). ერთ-ერთის სამოსის გულისპირი შემკულია წრიული ფორმის ორნამენტით, რომლის გარშემო ოთხი წერტილია დასმული. სამოსის კიდეებს ზოლად გასდევს ნაქარგი არშია, რომელშიც გამოყენებულია გეომეტრიული ორნამენტი კლაკნილი, წერტილოვანი, რომბული და წრიული სახეები [15].

დავით გარეჯის დოდოს რქის (IX-Xსს.) კონქის მოხატულობაში გამოსახულია მთავარანგელოზები თეთრ ქიტონსა და ლურჯ მოსასხამში(დანართი 30). ქიტონის სამაჯეები და შეხსნილი კალთის ბოლოები შემკულია ორნამენტული ნაქარგობით [15].

დავით გარეჯის საბერეების IX-Xსს-ის №5 ეკლესიის კონქის კომპოზიცია - “ ქრისტე დიდებაში“ , სადაც მაცხოვრის მარჯვნივ და მარცხნივ გამოსახულია მთავარანგელოზთა ფრონტალური ფიგურები, რომლებიც არატრადიციული, საეროს მსგავსი სამოსით არიან გამოსახული. წვივებამდე დაშვებული, გვერდებში შეხსნილი ერთიანი კაბით. კაბის სარტყელი, სამაჯურები და ქობა შემკულია წრიული ფორმის სახეებიანი არშიით. №8 ეკლესიის კონქის მოხატულობაში მაცხოვრის კაბის ქვედა ნაპირი შემკულია ვერტიკალურად განლაგებული ქარგული ორნამენტული სახეებით – სტილიზებული მცენარეთა ღერებითა და ფოთლებით. გენეტიკურად ეს ორნამენტი უკავშირდება ელინისტურ ორნამენტს, თუმცა მისგან განსხვავებით აქ ფოთლებს დაკარგული აქვს გულის ფორმა [15].

ჩვაბიანის (ზემო სვანეთი) X ს. მაცხოვრის ეკლესიის კონქის მოხატულობაში წარმოდგენილია კომპოზიცია – “ ქრისტე დიდებაში“ , რომელზეც მთავარანგელოზთა ლორატულ სამოსელში ჩაცმული ფიგურებიცაა გამოსახული. უნდა აღინიშნოს, რომ ლორატულ სამოსელში ჩაცმული ფიგურები ქართულ საეკლესიო ხელოვნებაში სწორედ X საუკუნიდან ჩნდება. ლორონი შემკულია ოქრომკედით ნაქარგი ორნამენტებით, ძვირფასი ქვებითა და მარგალიტის სხმულით [15].

XI საუკუნის მე-2 ნახევრის ატენის სიონის ტაძრის დასავლეთ მკლავის ქვედა რეგისტრში ვედრების პოზით გამოსახულნი არიან ქტიტორები სამეფო სამოსით: მეფე გიორგი II, მეფე ბაგრატ IV და სუმბატ აშოტის ძე.

მეფე გიორგი II გამოსახულია ძოწისფერი, წელზე მომდგარი, ქვევით გაგანიერებული და ნაკეცებად დაშვებული, ქართული კაბით, რომლის საყელო, გულისპირი, კალთის წინა ნაპირები, სამკლავე და ყოშები(სახელოს ბოლო) შემკულია ოქრომკედით ნაქარგი და მარგალიტის მწკრივით მოოჭვილი შავი ატლასის არშიით. ნაქარგობის ორნამენტი გეომეტრიულია და წარმოადგენს რომბში ჩასმული ჯვრე-

ბის გამოსახულებას ორნამენტი შედგენილია სტილიზირებული უწყვეტი ღეროთი და ერთმანეთში ჩასმული გულისებრი სახეებით [8].

მეფე ბაგრატ IV წარმოდგენილია სამეფო საზეიმო სამოსელში: ძვირფასი ფირუზისფერი ქსოვილის კვართი, სამეფო ბისონი, დიადიმი-ლორონითა და გვირგვინით. კვართის სახელოს ბოლო, ბისონის ქვედა ნაპირი და გულზე გადაჯვარედინებული ლორონი გაფორმებულია ოქრომკედის ნაქარგობით, რომელიც წარმოადგენს რომბების მწკრივში მოთავსებულ წამახვილებულ ფურცლიან ყვავილების ორნამენტს. ოქრომკედის ნაქარგობას შემოსდევს შავ ატლასზე დამაგრებული მარგალიტების მწკრივი.

სუმბატ აშოტის ძე გამოსახულია სამეფო ბისონით, რომლის გულისპირი შემკულია ძვირფასი თვლებით, ხოლო სამკლავე და სახელოს ბოლო ოქრომკედით ნაქარგი ფართო არშიით. მისი ორნამენტი წარმოადგენს რომბების ბადეში ჩასმულ ჯვრების მწკრივს. მძიმე ფარჩის ძოწისფერი სამეფო მანტია (პორფირი), რომელიც ძვირფასი ქვის საკინძითაა შეკრული, ნაპირებზე მორთულია ოქრომკედის ნაქარგობით. ნაქარგობის ორნამენტი მცენარეულია (სურ. 25, ა). ასეთივე ორნამენტული დეკორის ოქრომკედითაა მოქარგული მეფის ქუდი.

ბაგრატ IV-ის მეუღლე, ოსთა მეფის ასული დედოფალი ისდუხტი (იგივე ბორენა) წარმოდგენილია ძვირფასი ცისფერი ფარჩის სამეფო ბისონით, მანიაკით, ლოროთი და თორაკიათი. ბორენა დედოფლის სამეფო სამოსის მანიაკი, ლორონი და თორაკია მძიმე ოქროქსოვილისაა (მჭიდროდ ნაქსოვი ოქროს ძაფისაგან – პიროქრო) და გაფორმებულია წითელი ლურჯი და ცისფერი ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით [8].



ა



ბ

სურ. 25. ნაქარგობათა სახეები ატენის სიონის მოხატულობიდან: ა – სუმბატ აშოტის ძის სამოსის ნაქარგობა; ბ – მოგვთა სამოსის ნაქარგობა

ატენის სიონის ტაძრის ფრესკებზე ნაქარგობათა სახეები ასევე წარმოდგენილია შემდეგ კომპოზიციებში: შობა – მოგვების მოსასხამთა ქობა და მანჟეტი(სურ. 25, ბ), ქუდის ნაქარგი ზოლი; განკითხვის სცენაში – მთავარანგელოზთა ლორონები და მანჟეტი, მღვდელმთავართა ენქერები და მანჟეტები; ღვთისმშობლის ტაძრად მიყვანება – იერუსალიმელ ქალწულთა მანიაკები; წმინდა დედათა და მართალთა კაბების ქობები და მანიაკები; დანიელ წინასწარმეტყველის მოსასხამის ქობა და სამკლავეები (დანართი 31).

ნაქარგობათა მდიდარ და გასაოცარ ნიმუშებს ვხვდებით რაჭისა და სვანეთის ტაძრებში. მათ შორის ძალზე საინტერესოა ზემო კრიხის XI საუკუნის პირველი მესამედის ვაჩიანთა გვარის ქტიტორული პორტრეტები: ეკლესიის ჩრდილოეთ კედელზე წარმოდგენილია რაჭის ერისთავების ოთხი წარმომადგენელი (სურ. 26, ა).

ა



სურ. 26. ზემო კრიხის მოხატულობა: ა – ქტიტორები, რაჭის ერისთავები;
ბ – სამოსის ნაქარგობის სახე

პირველს განსხვავებული სამოსი აცვია - თეთრი კვართი, ძოწისფერი ძვირფასი ქსოვილის ქართული კაბა. წელში დავიწროებული და წელს ქვემოთ გადაჭრილი, მუხლს ქვემოთ სიგრძისა, სამკუთხედად გადაფენილი საყელოთი, კაბა შეკრულია ყელიდან ბოლომდე. კაბის საყელო, კალთის ბოლო, ფართო სამკლავე და მანჟეტი შემკულია ნაქარგობებით. გამოყენებულია გეომეტრიული ორნამენტი (რომბში ჩასმული სხივანა ვარსკლავები) (სურ. 26, ბ), ხოლო სამკლავე მოქარგულია გეომეტრიულ ფორმებთან შერწყმული მცენარეული სტილიზებული ორნამენტით (კუფური). თავთავსაბურავს წარმოადგენსბეწვშემოვლებული ძოწისფერი ქუდი, რომელსაც

ზევიდან გადაუყვება ქუდის წვერზე გაკვანძული ოქრომკედის გრეხილი.სამ ქტიტორს ერთმანეთის მსგავსი კაბა მოსავს ასიმეტრიული კალთით, რომელთაც გარს შემოუყვება ოქრომკედის არშია სტილიზირებული მცენარეული ორნამენტით. სამკლავე და მანჟეტები კუფური (იეროგლიფიური) ორნამენტითაა შესრულებული. ტაძრის საკურთხევლის მოხატულობაში მღვდელმთავრების შესამოსელში ნაქარგობით შემკულია ომოფორის ბოლოები, ენქერები, საბუხარები. მათი ორნამენტი წარმოდგება რომბებში ჩასმული სხვადასხვა ფორმის ჯვრებისაგან. წმინდა დედათა სამოსიც მდიდრულადაა მოქარგული. აღმოსავლეთ კედლის ჩრდილოეთ და სამხრეთ ნიშებში მოთავსებულია წმ. ბარბარესა და წმ. მარინას ნახევარფიგურები. წმ. ბარბარეს მოსავს ბისონი, რომლის გულისპირი ძვირფასი თვლებითაა შემკული. მკლავის ბოლო ხლართულად ნაქარგი რთული ორნამენტითაა დამშვენებული, ხოლო მეწამული ფერის მოსასხამს (პორფირს) რომელიც გულზე რომბის ფორმის თვლიანი ძვირფასი საკინძით იკვრება, გარს შემოსდევს რთული ორნამენტის ოქრონემსული არშია. წმინდანის სამოსს ამშვენებს ოქრომკედითვე შესრულებული წრიული ფორმის საბეჭური. წმ.მარინეს სამოსის მანიაკი ლოროთი, წრიული ფორმის სამხრე და მანჟეტები მორთულია მცენარეული ფორმის დეკორით, რომეთაც გარს შემოსდევს მარგალიტების მწკრივი. წმ. ირინეს სამოსის მანიაკი ლოროთი მძიმე ოქროქსოვილისაა, შემკული წითელი და თეთრი ძვირფასი ქვებით. ოქროქსოვილს აქაც შავ ატლასზე ასხმული მარგალიტები ამკობს [16].



სურ. 27. ადიშის ქტიტორის სამოსის ნაქარგობა

ოქრომკედით ნაქარგობის გასაოცარი ნიმუშია წარმოდგენილი სვანეთის ერთ - ერთი უძველესი სოფლის ადიშის X-XI ს-ის მაცხოვრის სახელობის დარბაზული ეკლესიის ქტიტორის მიქაელ ჩეგიანის სამოსზე. მას ძალზე მდიდრული, შავი ფერისხავერდის კაბა აცვია. სამოსი მჭიდროდ გამოწყობილი სილუეტისაა; კალთის გულისპირი, საყელო, სახელოს ბოლო ძვირფასი ოქრომკედით ნაქარგი და მარგალიტებით მოოჭვილი საოლველითაა შემკული. ძვირფასი ოქროქსოვილისაა ასევესამკლავე, რომელიც მხოლოდ მარცხენა ხელზე მოუჩანს. თავსაბურავი ნახევარსფეროს ფორმისაა (სვანური ქუდის მსგავსად), გარშემო შემოვლებული აქვს მო-

წითალო ბეწვი; ქუდს ზევიდან ოქრომკედის გრეხილი გადაუყვება, რომელიც ქუდის წვერშია გაკვანძული (სურ. 27).

ამავე პერიოდს განეკუთვნება სოფ. ადიშის წმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა. ჩრდილო კედლის ქვედა რეგისტრში მოცემულია წმ. გიორგის მიერ გველეშაპის დამორჩილების სცენა. მეფის ასული, რომელსაც მიჰყავს წმ. გიორგის მიერ დამარცხებული გველეშაპი, ნაქარგობით დამშვენებული სამოსითაა გამოსახული. მისი კაბის გადაფენილი საყელო, სამაჯეები, ქვედა არშია წარმოადგნს სტილიზებული კლაკნური ორნამენტის (მცენარეულის) და პარალელური ხაზების ნაზავს. სამოსის კალთების წინა ნაპირების ოლვილი ტეხურ ორნამენტს წარმოადგენს (სურ. 28.). წმ. გიორგის სამოსის ოქროვანი საბუხარები დეკორირებულია რომბული მწკრივით, პარალელური ხაზებითა და წრეებით, რომელთა ცენტრში წერტილებია ჩასმული. მარცხენა ხელთან მცენარეულ-კლაკნური ფორმებით საინტერესოდ ორნამენტირებული დეტალი იკვეთება.



სურ. 28. მეფის ასულის ნაქარგობით დეკორირებული სამოსი (ადიშის წმ. გიორგის ეკლესიის ფრესკა)[16]

ზემო სვანეთის კალას თემის სოფ. იფრარის მთავარანგელოზის სახელობის ეკ-ლესიის სამხრეთ კედელზე (ტაძარი მოხატულია 1096 წ. მეფის მხატვარ თევდორეს მიერ), გამოსახული მთავარანგელოზის ლორო შემკულია ძვირფასი ქვებითა და საზეიმო ოქროქარგულობით. მისი ორნამენტი წარმოადგენს სიმეტრიულად განლა-გებულ წრეებს, რომელთა ცენტრიდან გამოდის რვა კონცენტრირებული სხივი. ლოროს არე შევსებულია მსგავსი დეკორის, შედარებით მცირე ზომის წრეებით, რომელთაც ირგვლივ სხმული მარგალიტი შემოსდევს. ნაქარგობითაა შემკული

[16] ფრესკის გრაფიკული ესკიზი აღებულია ელ. რესურსიდან:

მოგვთა მოსასხამები შობის კომპოზიციაში, ასევე მთავარანგელოზ მიქაელის, წმ. ბარბარეს, კვირიკესა და ივლიტას სამოსის სახელოს მანჟეტები.ნაქარგობის სახეს ფართოდ გავრცელებული მცენარეული ორნამენტი წარმოადგენს.

ზემო სვანეთის მაცხვარიშის (XII ს.) ტაძარში, რომელიც მოხატულია მიქაელ მაღლაკელის მიერ, ასევე ვხვდებით ნაქარგობების ადრეულ სახეებს. ტაძრის ჩრდილოეთი კედლის დასავლეთ ნიშაში გამოსახულია ქტიტორთა ჯგუფი, სადაც მეფე დემეტრესათვის სვანი დიდებულების მიერ ხმლის შებმის სცენაა გამოსახული (სურ. 29, ა). დემეტრეს ძოწისფერი ფარჩის წელში გადაჭრილი და ქვემოთ გაგანიერებული ქართული კაბა აცვია, სამკუთხა გადაფენილი საყელოთი. კაბის კალთა, ქვედა ნაპირი, სახელოს ბოლო (მანჟეტი) წარმოადგენს რთულ მცენარეულ-ხლართული ორნამენტისაგან შემდგარ ოქრომკედით ნაქარგ ფართო არშიას (სურ. 29, ბ), ხოლო სამკლავის ქარგულობის ორნამენტი კუფურ, სტილიზებულ იეროგლიფს შეადგენს.

ა



ბ



გ დ

სურ. 29. მაცხვარიშის მოხატულობა: ა – დემეტრე I-ის მეფედ კურთხევის სცენა;
ბ – დემეტრე I-ის სამოსის ნაქარგობის ორნამენტი; გ – სამეფო წყვილი;
დ – ლოროს ნაქარგობის ორნამენტი;

ნაცრისფერი ქართული კაბები აცვიათ სვან ერისთავებსაც, მხოლოდ ნაქარგობის ორნამენტის სახე ისეთი რთული არაა, როგორც დემეტრე მეფის სამოსის შესამკობელი არშიის ორნამენტისა [17].

ნაქარგი ოქროქსოვილის ძვირფას ლორატიულ სამოსში არის გამოსახული სამეფო წყვილი ტაძრის ჩრდილოთ კედლის აღმოსავლეთ ნიშაში (სურ. 29, გ). ორნამენტი ორმაგი რომბული ბადეა – ოთხფურცელა ყვავილებით (სურ. 29, დ).

მაცხვარიშის სამხრეთის კედლის ნიშაში გამოსახული არიან ქტიტორები – მამასახლისი კვირიკე, სამღვდელო სამოსში და უცნობი დედოფალი სამეფო ბისონში. დედოფლის მანიაკი ლოროთი, სამკლავე და სამაჯურები მოქარგულია ოქრომკედითა და შემკულია მარგალიტების სხმულით. ნაქარგობითაა დამშვენებული მაცხვარიშის ფრესკის „იერუსალიმში შესვლის“ კომპოზიციის პერსონაჟთა სამოსის დეტალები(სურ. 30).

ა

ბ

სურ. 30. მაცხვარიშის მოხატულობა: ა – „იერუსალიმში შესვლა“ ; ბ – სამოსის ნაქარგობის ორნამენტი

ოქრომკედითა და ვერცხლმკედით ნაქარგი ორნამენტის სახეეებით მდიდარია ზემო სვანეთის ნაკიფარის (იფარის თემი) წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც მოხატულია 1130 წელს [18]. ეკლსიის კონქში გამოსახულია მაცხოვარი “ დეისუსი“ , რომლის ფესვედი სამოსის ოქრომკედის საბუხარი (სახელოს ბოლო) შემკულია მცენარეულ-ხლართული სახის ნაქარგობით (სურ. 31, ა). ნაქარგობით შემკული სამოსითაა გამოსახული დიოკლეტიანე კომპოზიციაში „წმინდა გიორგის ბორბალზე წამება“ (სურ. 31, ბ). დიოკლეტიანეს სამოსი წარმოადგენს რომბული ბადით დაფარული ფარჩის ქსოვილის ძვირფას კაბას, რომლის განსხვავებული ფერის გულისპირი გაფორმებულია ნაქარგობით, ნაქარგობითაა შემკული ასევე სამ-კლავე და საბუხარები. დეოკლეტიანეს შიდა სამოსის გულისპირი მოქარგულია მარგალიტის სხმულით.ამავე კომპოზიციაში ნაქარგი სამოსით არიან წარმოდგენი-ლი მსახურები და ჯალათები.მათი სამოსის კალთის ნაპირები, სახელოს ბოლოები და ქვედა ქობა ვერცხლმკედით ნაქარგი საოლველითაა შემკული. ორნამენტი მცენარეულ–ხლართული სახისაა (სურ. 31, გ). ვერცხლმკედის ანალოგიური ორნამენტი იკვეთება წმ. გიორგისა და წმ. თევდორეს კაბის სამაჯეებისა და ქვედა არშიის გაფორმებაში (სურ. 31, დ).

ა

ბ

გ

დ

სურ. 31. ნაკიფარისწმ. გიორგის ეკლესიის მოხატულობა: ა – მაცხოვრის სამოსის საბუხარის ნაქარგობა; ბ – დიოკლეტიანეს სამოსის ნაქარგობა; გ – ჯალათების სამოსის ნაქარგობა; დ – წმ. მხედრების სამოსის ნაქარგობა

უშგულის თემის სოფ. ჟიბიანის ღთისმშობლის სახ. მამათა მონასტრის – ლამარიას მონუმენტურ მხატვრობაში რამოდენიმე სხვადასხვა პერიოდის ფენა იკვეთება. ფრესკებზე ნაქარგობითა და ოქრომკედით შემკულობის კვალი ჩანს. XIII ს-ს. განეკუთვნება საკურთხევლის კონქის მოხატულობა, რომელზედაც ვედრების სცენაა გამოსახული. აქ მაცხოვრის საბუხარი ძვირფასი ქვებით შემკულ ოქროქსოვილს წარმოადგენს. ამავე კომპოზიციაში მთავარანგელოზთა გულზე გადაჯვარედინებული ლოროების ოქროქსოვილი კლაკნური ყვავილოვანი ორნამენტითაა დამშვენებული, რომელთა დეკორი „მანებისა“ და „ზენების“ ფორმითაა წარმოადგენილი. ოქროვანია წმინდანების (ორი ფიგურა გვერდიგვერდ) სამოსის მანიაკი და ლორო, რომელთაც გარშემო მარგალიტების სხმული შემოუყვება. მათზე შესრულებული ორნამენტი სამწუხაროდ არ იკვეთება, რის გამოც გაურკვეველია – ისინი სადად მოსითვულია თუ დეკორირებული (სურ. 32).

სურ. 32. ლამარია

XIII- XIV საუკუნეების მიჯნით თარიღდება სოფ. იენაშის (ლატალის თემი) იონა წინასწარმეტყველის სახ. ეკლესიის მოხატულობა. შემორჩენილ ფრაგმენტებზე მრავალგან იკვეთება პერსონაჟები ოქროქსოვილის სამოსით გამოსახული ბიბლიური პერსონაჟები, წმინდანები და გვირგვინოსნები. სამწუხაროდ უცნობია იენაშის ჩრდილოეთ კედლის ფრესკაზე გამოსახული საერო პირის – ქტიტორის (სავარაუდოდ გვირგვინოსანი მეფის) ვინაობა, რომელიც საზეიმო ძოწეული სამოსითაა წარმოდგენილი. მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით შემკული ოქროვანი ქსოვილისაა მოკლე ბისონის ქვედა არშია, საბუხარები, სამკლავეები, მანიაკი, ლოროს, როგორც ვერტიკალური, ისე მეორე სარტყლისებური ვედრებად გაწვდილ ხელზე გადაკიდებული ნაწილი, რომელთაც გარშემო ორრიგად შემოსდევს მარგალიტების სხმული (სურ. 33).

ამავე ეკლესიის ფრესკაზე გამოსახული ბიბლიური მეფის ხელისუფლების ინსიგნიები – ოქროვანი ლორო (მკერდზე გადაჯვარედინებული და ხელზე გადაფენილი), სამკლავეები და საბუხარები ძვირფასი ქვებით არის შემკული და მარგალიტის სხმულით შემოკანტული, ხოლო ბისონის ქვედა არშია რომბული ორნამენტითაა გაფორმებული (სურ. 34).

სურ. 33. მეფის პორტრეტი (იენაში) სურ. 34. ბიბლიური მეფე (იენაში)

ბიბლიური მეფის ქვევით გამოსახული წმინდანის თეთრი სამოსის ქვედა ქობა და საბუხარები ორნამენტებით დეკორირებული ოქროქსოვილია.

XIII- XIV საუკუნეებით არის დათარიღებული სოფ. ლაშთხვერის (ლენჯერის თემის) მთავარანგელოზის და მხერის ეკლესიები. მოხატულობებში მრავლად გვხვდება ოქრომკედით ნაქარგობათა სახეები. მთავარანგელოზისა ეკლესიის საკურთხევლის კონქის ფრესკაზე მთავარანგელოზთა მკერდზე გადაჯვარედინებული და ხელზე გადაფენილი ლოროები ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით უხვად დეკორირებული ძვირფასი ოქროქსოვილია, შემოვლებული მარგალიტების სხმულით. მარგალიტები ამშვენებს ლოროთა თავისულ არეებს, რაც გეომეტრული ორნამენტის შთაბეჭდილებას წარმოქმნის. მთავარანგელოზთა საბუხარების ნაქარგობა სადა რომბულ ბადეს წარმოადგენს, ხოლო ქვედა ქობისა რომბულ ბადეს — ცენტრში მარგალიტებით. ამავე ფრესკაზე უფლის მაკურთხებელი მარჯვენა ძვირფასი ოქრომკედის საბუხარითაა გამოსახული. მისი ორნამენტი რომბულ ბადეს წარმოადგენს – რომბების ცენტრში ჩასმული მარგალიტებით. საბუხარი შემოკანტულია მარგალიტების სხმულით (სურ. 35, ა).

სურ. 35. ნაქარგობათა სახეები ლაშთხვერის მთავარანგელოზის ეკლესიის მოხატულობაში: ა – მთავარანგელოზები და უფლის მარჯვენა; ბ – მოგვები

თვალმარგალიტითაა მოოჭვილი უფლის საბუხარი ლაზარეს აღდგინების კომპოზიციაში. მარგალიტით შემკული ოქროვანი ზოლითაა დამშვენებული მოგვების მოსასხამების ნაპირები შობის კომპოზიციაში (სურ. 35, ბ). მსგავსი შემკულობა აქვს ბიბლიური მეფის მოსასხამის ნაპირებს და შიგა სამოსის ქვედა ქობას ჩრდილოეთ კედელზე (სურ. 36, ა). ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებითაა შემკული წმ. ბარბარეს მეწამული ფერის მოსასხამის ოქროვანი საოლველი, საბეჭურები, შიგა კაბის ქვედა განიერი არშია სამხრეთ კედელზე (სურ. 36, ბ). ძალზე საინტერესოდაა გადაწყვეტილი საკურთხევლის ქვედა რეგისტრის მოხატულობაში წარმოდგენილი წმ. მამათა – გრიგოლ საკვირველმოქმედის, წმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედის, წმ. ბასილი დიდია და წმ. იოანე ოქროპირის სამოსის ნაქარგობების დეკორი, რომლებიც ამშვენებს ოქროვან ოლარებს, ენქერებსა და საბუხარებს. წმინდანთა ოლარები აქაც, ისევე როგორც სხვა შემთხვევებში, სეგმენტებადაა დაყოფილი, ერთმანეთს ენაცვლება სადა და ორნამენტირებული უბნები, რომელთა შორის საზღვრად მარგალიტის მწკრივებია გავლებული. სეგმენტები დეკორირებულია პარალერი ხაზებით, რომბული ბადითა და დიაგონალის კვეთით მიღებულ არეებში ჩასმული წიწვური ორნამენტით. შესაბამისად წმინდანთა საბუხარები პარალელური ხაზებითა და რომბული ბადითაა შემკული. წმ. ნიკოლოზ საკვირველმოქმედის ენქერი რომბული ბადეა, რომელსაც გარს შემოუყვება მარგალიტების მწკრივი. წმ. გრიგოლ საკვირველმოქმედის ენქერი ძალზე საინტერესო რთული ფორმის, ხლართური

ორნამენტითაა შემკული, რომელიც წარმოადგენს ურთიერთშებრუნებულად განლაგებულ, ერთმანეთში ჩასმულ სუროს ფოთლებს. ორნამენტის კონტური უწყვეტი ხაზითაა მიღებული, რაც მას ძალზე საინტერესო და ორიგინალურ ფორმას აძლევს. ენქერს აქაც გარს შემოუყვება მარგალიტების სხმული (სურ. 36, გ).

ა ბ გ

სურ. 36: ა–ბიბლიური მეფე; ბ–წმ. ბარბარე; გ–წმ. მამები (ლაშთხვერი)

ამავე სოფლის მეორე ძალზე მცირე ზომის მხერის ეკლესიაში გასაოცრად დიდი რაოდენობის რელიგიური სიუჟეტებია გამოსახული. კარგად შემონახულ მოხატულობაზე უხვადაა წარმოდგენილი ოქროვანი ქსოვილების ნაქარგობათა ორნამენტები. ჩრდილოეთის კედლის მეორე რეგისტრის მოხატულობაზე „მთავარანგელოზთა კრების“ კომპოზიციაში მთავარანგელოზების საზეიმო სამოსს ტრადიციულად აქაც ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით მოოჭვილი ოქროვანი ლოროები ამშვენებს, სამოსის ქვედა ქობა რომბული ბადის ორნამენტითაა შემკული, რომბების გულში შავი წერტილებია გამოსახული, ხოლო საბუხარები პარალელური ხაზებით და ძვირფასი ქვებით შემკული ოქროვანი ქსოვილია(სურ. 37).

სურ. 37. ნაქარგობათა სახეები მხერის მოხატულობაში – მთავარანგელოზთა კრება

ჩრდილოეთის კედლის მეორე რეგისტრში „ჯოჯოხეთის წარმოტყვევნის“ კომპოზიციაში სამეფო პერსონების ცისფერ და მეწამულ მოსასხამებს. ცისფერ მოსასხამზე სამხრე მედალიონები რომბული ბადითაა გაფორმებული, ხოლო მეწამულზე მედალიონებს მარგალიტები ამშვენებს (სურ. 38. ა). ჩრდილოეთ კედლის ზედა რეგისტრში „იერუსალიმად შესვლის“ კომპოზიციაში იერუსალიმელთა სამოსს ოქრომკედისა და ვერცხლმკედის მანიაკი, სამკლავეები და ქვედა ოლვილი ამშვენებს, რომლებზეც ძირითადად გეომეტრიული ორნამენტები – რომბული ბადე და პარალელური ხაზებია გამოსახული. მხოლოდ ერთერთი პერსონაჟის (ცისფერი კაბით) მანიაკი და ქვედა ქობა ვერცხლმკედით ნაქარგი გეომეტრიულ-მცენარეული ხლართური ორნამენტია (სურ. 38. ბ).

ა ბ

სურ. 38. ა – ჯოჯოხეთის წარმოტყვევნა; ბ – იერუსალიმად შესვლა (მხერი)

საკვლევი თემატიკის მიხედვით საინტერესო მასალებს შეიცავს XII ს-ის ბეთანიის ღვთისმშობლის შობის ტაძარი. აქ ბიბლიური პერსონაჟების, წმიდანებისა და ეკლესიის მამების გარდა წარმოდგენილია ჯგუფური საქტიტორო პორტრეტი თამარ მეფის, გიორგი III-ის და ლაშა-გიორგის გამოსახულებით. თამარ მეფე და გიორგი III საზეიმო სამეფო სამოსში არიან წარმოდგენილი (სურ. 39, ა). მათი თეთრი თაფთა-ატლასის სამეფო ლორო ტრადიციულად მორთულია ძვირფასი ქვებით და ემოფარგლულია მარგალიტის სხმულით. მსგავსია ქვედა ბისონების ქვედა საოლველების, თამარის მანიაკისა და მკლავების მოსართავების გაფორმებაც. წელში გამოყვანილი, მუხლამდე სიგრძის ქართული კაბა აცვია ლაშა-გიორგის (სურ. 39, ბ). კაბის ნაპირები ოლვილია ოქროვანი ქსოვილით, საყელო, ყოშები, სამკლავეები, ასევე ოქროქსოვილისაა. საოლველი შემკულია მცენარეულ-ხლართული ორნამენტით (ძნელად განირჩევა).

ნაქარგობით შემკულობათა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა კომპოზიცია – დავით წინასწარმეტყველი კიდობნის წინაშე (სურ. 39, გ). წინასწარმეტყველის ძოწისფერი ბისონის გულისპირის, ქვედა საოლველისა და დაგრძელებული სახელოს ბოლოს ნაქარგობა რთული მცენარეულ-ხლართული ორნამენტისაგანაა შედგენილი, ხოლო იისფერ მოსასხამს გარს შემოსდევს ოქრომკედის არშია ორმაგ რომბულ ბადეში მოთავსებული ოთხფურცელა ყვავილის ორნამენტით.

სურ. 39. ნაქარგობათა ორნამენტები ბეთანიის ღვთისმშობლის შობის ტაძრის მოხატულობაში: ა – თამარ მეფე, გიორგი III; ბ - ლაშა-გიორგი; გ - დავით წინასწარ-მეტყველი კიდობნის წინაშე

ნაქარგობათა სახეები კარგად განირჩევა XI ს-ის I ნახევრის იკვის წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მოხატულობაში, რომელიც მდებარეობს კასპის მუნიციპალიტეტში, სოფელ რკონთან. გამოირჩევა მოხატულობითა და ჩუქურთმებით. მოხატულობა XII - XIII საუკუნეებს განეკუთვნება. ჩრდილოეთ მკლავის მოხატულობაში, რომელიც ეთმობა წმ. გიორგის ცხოვრების ციკლს, ერთ-ერთ ფრესკაზე ასახულია სიუჟეტი – წმ. გიორგიმ ტყვე დაუბრუნა მშობლებს. პერსონაჟების სამოსის საყელო და ყოშები უხვადაა ორნამენტირებული რთული ფორმის, ხლართული სახეებით (სურ. 40). ნაქარგი ორნამენტის სახის აღსადგენად დიდი დახმარება გაგვიწია ტ. შევიაკოვას მიერ შესრულებულმა ფრესკის ასლმა, რომელიც დაცულია ს. მაკალათიას სახ. გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.



სურ. 40. ნაქარგობათა სახეები იკვის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის მხატვრობაში

ოქროქარგულობის ორნამენტები და სახეები მრავლად გვხვდება XII-XIII საუკუნეების ყინწვისის წმ. ნიკოლოზის ტაძრის შესანიშნავ ფრესკულ მხატვრობაში, აქ ბიბლური პერსონაჟებისა და ბიბლიური სიუჟეტების ამსახველი სცენების გარდა ჩრდილოეთ კედლის ქვედა რეგისტრზე წარმოდგენილია ქტიტორული ჯგუფი: თამარ მეფე, მისი მამა – გიორგი III და შვილი ლაშა-გიორგი (სურ. 41), ხოლო დასავლეთის კარიბჭის ჩრდილოეთ კედელზე უფრო გვიანდელი (XV ს.) ქტიტორული პორტრეტი ისტორიული პირის ზაზა ფანასკერტელის გამოსახულებით. სამწუხაროდ წყლის ჟონვისაგან ჩამორეცხილა კიდევ ერთი ქტიტორის – ანტონ გნოლისთავისძის (მწიგნობართუხუცესი თამარ მეფის კარზე) გამოსახულება. იგი წმ. ნიკოლოზისადმი ვედრების მდგომარეობაში ყოფილა დახატული, ეკლესიის მოდელით ხელში. მეფეთა სამოსი ტრადიციულად საზეიმო-ლორატიულია. თამარ მეფის ფრესკა, სამწუხაროდ ძლიერ დაზიანებულია და ძნელად განირჩევა სამეფო სამოსის ელემენტები და შემკულობა. შედარებით უკეთაა შემორჩენილი თამარის მამის მეფე გიორგი III-ის გამოსახულება. მისო ლორონი და სამეფო ბისონის საოლველი ვერცხლმკედის ნაქარგობით და დიდი ზომის ძვირფასი ქვებითაა შემკული [19].

სურ. 41. თამარ მეფისა და გიორგი III პორტრეტული გამოსახულება
(ყინწვისის მონასტერი)

კიდევ ერთი ქტიტორის - ზაზა ფანასკერტელის სამოსი ძალზე საზეიმო და მდიდრულია. შედგება შიგა პერანგისგან, კაბისა და მოსასხამისაგან. წელზე მოუჩანს ცისფერი და რუხი ფერის ზოლების მონაცვლებით შედგენილი განიერისარტყელი. კაბა ძვირფასი დეკორატიულად დაჩითული ფარჩის ქსოვილის, მისი გულისპირი შემკულია მარგალიტის სხმულით, რომლებიც, სავარაუდოდ ღილის ფუნქციასაც ასრულებს; მარგალიტების სხმული შემოუყვება სახელოს ბოლოსა და ყოშისშეხსნილს. სავარაუდოდ, მარგალიტები აქაც შესაკრავადაა გამოყენებული (სურ. 42).

სურ. 42. ყინწვისის მონასტრის ქტიტორის ზაზა ფანასკერტელის ნაქარგობით დეკორირებული სამოსი

ქტიტორის მოსასხამი მოლურჯო ზღვისფერი ფარჩის ქსოვილისაა (ქსოვილი უხვადაა დეკორირებული უფრო ბაცი ფერის მანებით); სამოსს შემოვლებული აქვს ნაქარგობით დეკორირებული ძოწეული ფარჩის ოლე და წვრილი მარგალიტების სხმული. ქტიტორს თავზე ახურავს მაღლა აშვერილი აფროსანი ქუდი, კონუსური წვერით, რომელიც შემკულია მარყუჟული გრეხილი ოქრომკედის ნასკვით; ქუდის ზევით აკეცილი ნაპირები, სავარაუდოდ ტყავისა, შუაში გაყოფილია და დალიანდაგებულია დეკორატიული გვირისტით ბადისებურად.

ტაძრის მოხატულობაში კიდევ მრავლადაა ოქრომკედით ნაქარგობათა სახეები: ეკლესიის საკურთხევლის ფრესკაზე წმ. მამათა სამოსის დეტალები –

ოლარ-ეპიტრაქილები, ენქერები შემკულია ოქრომკედითა და ვერცხლმკედით ნაქარგი ორნამენტებით, რომლებიც ძირითადად რომბულ ბადეს წარმოადგენს, უფრო იშვიათად გვხვდება ასევე რთული ფორმის, ხლართული ორნამენტით შემკული დეტალები (სურ. 43).

სურ. 43. ნაქარგობათა სახეები ყინცვისის მოხატულობაში

საკვლევი თემატიკისათვის ინტერესს მოკლებული არ არის კლდეში ნაკვეთი სამონასტრო კომპლექსი ვარძია კულტურის უმნიშვნელოვანესი და ამავდროულად ყველაზე პოპულარული ძეგლთაგანი საქართველოში. კომპლექსის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის ვარძიის კედლის მხატვრობაში მრავლად გვხვდება ნაქარგი ორნამენტებით შემკული სამოსი. აქ წარმოდგენილი არიან თამარ მეფე და მეფე გიორგი III.

ფრესკებზე სავსებით კარგად განირჩევა სამოსის ნაქარგობათა ორნამენტები. თამარი საზეიმო სამოსელშია. მისი სამოსი უხვადაა დეკორირებული. ყელზე მოხვეული შავი ბაფთი, დიდი ალისფერი ლალით ცენტრში, მარგალიტითაა მოოჭვილი; მარგალიტითაა მოქარგული თამარის სამეფო ბისონი, სამხრე და ლორონი, რომლის ნაწილი ხელზეა გადაფენილი. სამკლავეზე კარგად ჩანს ოქრომკედით ნაქარგობა, ძვირფასი ქვები და ფაქიზი ორნამენტის კვალი (სურ 44). განსაკუთრებით საინტერესო სახეს წარმოადგენს ბისონის ქვედა არშიის ნაქარგობის ხლართული ორნამენტი – ფოთლის ფორმის მედალიონში ჩასმული ყვავილედის სახით (სურ. 45, ა).

სურ. 44. ნაქარგობით დეკორირებული სამოსი თამარ მეფისა და გიორგი III- ის სამოსი (ვარძია)

სურ. 45. ა – თამარ მეფის ბისონის ქვედა არშიის დეკორი; ბ – ნაქარგობით დეკორირებული წმინდანის სამოსი

გიორგი III, ისევე როგორც თამარი, საზეიმო სამოსელშია. მკერდზე გადაჯვარედინებული, ძვირფასი ქვებით შემკული ლორო მარცხენა ხელზეა გადაფენილი. ნაქარგობითაა ორნამენტირებული ძოწეული ბისონის საოლველი, სამკლავეები და ყოშები.

მთავარანგელოზების ლორატიული სამოსი ტრადიციულად ძვირფასი ქვებითაა შემკული, ხოლო წმინდანთა სამოსის ელემენტები რომბული ბადითა და ძვირფასი ქვებითაა დეკორირებული (ნახ. 45, ბ).

დასავლეთ საქართველოს ძეგლებიდან გელათის ტაძარი შუა საუკუნეების ქართული მონუმენტური ფერწერის ჭეშმარიტი მუზეუმია. აქ შემონახულია სხვადასხვა ეპოქის (XII-XVI საუკუნეები) ქართული ფრესკული მხატვრობის შესანიშნავი ნიმუშები. მოხატულობის პირველი ქრონოლოგიური ფენა (1125-1130 წწ.) მთავარი ტაძრის სამხრეთის ნარტექსის მოხატულობაა – ქალკედონისა და ეთესის ტაძრების (კრების) გამოსახულებით. ქალკედონის ტაძრის მოხატულობაში ტახტზე დაბრძანებული იმპერატორის ბისონის ქვედა ნაპირის ოქრომკედის განიერი არშია რომბული ორნამენტების ბადითაა შემკული – რომბის ცენტრში წერტილებია (სავარაუდოდ მარგალიტები) ჩასმული. ოქრომკედის ზოლი შემოუყვება იმპერატორის იასამნისფერ მანტიას (დანართი 32). ფრესკაზე ეთესის ტაძრის გამოსახულებით იმპერატორის ბისონის ქვედა ნაპირი ძვირფასი ქვებით შემკულ ოქროქსოვილს წარმოადგენს. ასევე ოქროქსოვილია იმპერატორის საზეიმო ლორო, მორთული გეომეტრიული ორნამენტით. ამავე კომპოზიციებში

მღვდელმთავრების საბუხარები ოქრომკედის ნაქარგობითაა დამშვენებული (დანართი 33).

XIII ს. განეკუთვნება მთავარი ტაძრის საკურთხევლის აფსიდის კონქის მოზაიკის მოხატულობა[17], სადაც გამოსახული არიან ღვთისმშობელი ყრმით და მთავარანგელოზები (დანართი 34). მთავარანგელოზებს ძვირფასი სამეფო სამოსი აცვიათ – მიქაელს (მარცხნივ) ზურმუხტისფერი მწვანე (სურ. 46), გაბრიელს (მარჯვნივ) მოვერცხლისფრო იასამნისფერი ბისონი. სამოსის ოქროვანი საოლველი მოოჭვილია მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით. ორთავე ფიგურას ამშვენებს ოქროქსოვილის ლორო – ასევე უხვად შემკული მარგალიტებითა და ფერადი ქვებით. ლოროს ნაპირებზე შემოვლებულია წვრილი მარგალიტის სხმულის ორმაგი მწკრივი. თავისუფალი არე შევსებულია მარგალიტებით. ძვირფასი ქვები ისეა განლაგებული, რომ ქმნის გეომეტრიულ ორნამენტს – კვადრატებისა და რომბების სახით. მარგალიტებითაა მოქარგული მთავარანგელოზების წითელი ფეხსამოსი.

სურ. 46. მთავარანგელოზ მიქაელის ლოროს შემკულობა

[17] მოზაიკის მოხატვა ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის სიცოცხლეში დაიწყო.

მოზაიკის ფრესკაზე ღვთისმშობლის მაფორიუმსა და შიგა სამოსის სახელოს ბოლოს ოქრომკედით ნაქარგი ზოლი შემოუყვება, ყრმა იესო ოქროქსოვილის კვართშია გამოსახული (სურ. 47).

სურ. 47. გელათის ტაძრის მოზაიკა: ა – მთავარანგელოზ მიქაელის ლოროს შემკულობა: ბ – ოქროქსოვილი ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს სამოსში

ასევე XIII ს-ს განეკუთვნება სამხრეთ ეგვტერის აღმოსავლეთის სათავსში დავით-VI ნარინის (რუსუდანის ძის) გამოსახულება საზეიმო სამოსელში. მეფის ლორო, მანიაკი და სახელოები ძვირფასი ქვებით შემკულ ოქროქსოვილს წარმოადგენს (სურ. 48).

სურ. 48. დავით-VI ნარინის ოქროვანი მანიაკი

XIII საუკუნითაა დათარიღებული აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ ეგვტერის საკურთხევლის მოხატულობა. აქ გამოსახული მღვდელმთავრების ოლარი წარმოადგენს რომბული ბადის ორნამენტებისა და ძვირფასი ქვების მონაცვლეობით გაფორმებულ ოქროქსოვილს, ოქროვანია ძვირფასი თვლებით შემკული საბუხარებიც.

XVI საუკუნიდან (ევდემონ ჩხეტიძის მოხატულობა) მოციქულთა ზიარების სცენაში უფალის კვართის კლავუსი ოქრომკედით ნაქარგი ყვავილოვანი ორნამენტია;

ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე ქტიტორთა ჯგუფურ პორტრეტზე (სურ. 49) მეფე-დედოფალთა და მღვდელმთავრის (კათალიკოსის) სამეფო საზეიმო სამოსის შესამკობელი ელემენტები - მანიაკი, ლორო, საბუხარები, ბისონის ბოლო ძვირფას, ოქრომკედით ნაქარგ ოქროვან ქსოვილს წარმოადგენს, რომლებიც ძვირფასი ქვებით არის შემკული. თითოეული დეტალის ნაპირები ორმაგი მარგალიტის მძივებითაა გაფორმებული. თავისუფალ არეზეც მარგალიტებია მიმობნეული.

სურ. 49. ნაქარგობათა სახეები ქტიტორთა ჯგუფურ გამოსახულებაზე

დედოფლების რუსუდანისა და ელენეს სამეფო ბისონის ქსოვილი სავარაუდოდ ოქსინო – ოქრომკედის ხავერდულაა.

მღვდელმთავრის საკოსის ქვედა საოლველი, სამეფო სამოსის მსგავსად, ძვირფასი თვლებითა და მარგალიტებითაა შემკული, მისი ნაპირებიც მარგალიტის ორმაგი სხმულითაა შემოსაზღვრული. გვერდის ნაპირებისა და სახელოს ბოლოების ოქროვან ოლვილებზე ნაქარგი ორნამენტული სახეები შეინიშნება. მარგალიტის სხმულის ორმაგი მწკრივი ამშვენებს კათალიკოსის ოქროვან ოლარს, რომელიც სამოსის ქვევით მოჩანს.

აბრეშუმის ძაფით ნაქარგი ორნამენტები არშიად გასდევს დედოფლების ლეჩაქისებურ თავსაბურავებს.

XVI საუკუნეს განეკუთვნება გუმბათის თაღების მოხატულობა, სადაც მთავარანგელოზები და ზეციური ლიტურგიის მონაწილე ანგელოზები ოქროვან ლორატიულ სამოსელში არიან გამოსახულნი.

მოციქულთა ზიარების სცენაში - (საკურთხევლის აფსიდზე) უფლის კვართის კლაუსი ნაქარგობით ორნამენტირებული ოქროქსოვილია.

საკურთხევლის აფსიდის ზემაზე გამოსახულ კომპოზიციაში - „ტაძრად მიყვანება“ მღვდელმთავრის მოსასხამის ქვედა საოლველი მცენარეული ორნამენტით დატვირთული ნაქარგობითაა შემკული. კალთების წინა ნაპირებს კი მარგალიტების სხმულით გარსშემოვლებული ოქროვანი არშია ამშვენებს.

სამხრეთის მკლავზე „ღვთისმშობლის დაუჯდომლის“ სცენაში მცენარულ–ხლართული ორნამენტით უხვად დატვირთული მანიაკით, საბუხარებითა და სამკლავითაა გამოსახული ბიბლიური პერსონაჟი. მანიაკის ხლართულ ორნამენტს იმეორებს ტახტის საფარის არშია, ხოლო სასთუმალის ნაქარგობა რომბული ბადეა – რომბების კვეთებში ჩასმული ჯვრებით (სურ. 50).

სურ. 50. ნაქარგობის ორნამენტები ფრესკიდან – „ღვთისმშობლის დაუჯდომელი“

აღმოსავლეთი კედლის ჩრდილოეთის ფრესკაზე გამოსახულ კონსტანტინესა და ელენეს საზეიმო სამოსი ქტიტორთა სამეფო სამოსის მსგავსია. დედოფლის ბისონის კალთას დამატებით ამშვენებს ძვირფასი თვლებით მოოჭვილი ოქროვანი თორაკიონი (დანართი 35).

ოქროვანი მოსასხამითაა შემოსილი ყრმა იესო ჩრდილოეთის ეგვტერის შუა ნაწილის ფრესკაზე (XVII-XVIII სს. მიჯნა). ოქროვანია ღთისმშობლის მაფორიუმის ნაპირების არშია და სამოსის სახელოს ბოლო.

ძვირფასი თვალმარგალიტით შემკული ოქროქსოვილებია საკურთხევლის აფსიდზე გამოსახული მღვდელმთავრების საზეიმო სამოსის ოლარები, საბუხარები, ენქერები, ბისონის ქვედა არშიები (XVIII ს.). ყველა მათგანს გარს შემოუყვება მარგალიტის ორმწკრივი სხმული. ოლარები ტრადიციულად უბნებადაა დაყოფილი და ერთმანეთს ენაცვლება სეგმენტები, გაფორმებული რომბული ბადის ორნამენტით (კვეთაში ჯვრებით, ან ცენტრში წერტილებით) და ძვიფასი ქვებითა და

მარგალიტებით შედგენილი ჯვრებით (სურ. 51. ა). ოქრომკედით ნაქარგი ოქროქსოვილის ოლარი დასავლეთის ნარტექსში ტაძრის მთავარი შესასვლელი კარის მარცხნივ, მღვდელმთავრის ფრესკაზეცაა გამოსახული. ორნამენტი და შემკულობა მსგავსია წმ. მამების ოლარებისა – დაყოფილია უბნებად: ძვირფასი ქვებისგან შედგენილ ჯვრებს შორის არე რომბული სითვს წარმოადგენს. ოლარი შემოფარგლულია მარგალიტების სხმულით (სურ. 51. ბ)..

ა ბ

სურ. 51. პერსონჟები დეკორირებული ოქროვანი სამოსით: ა – წმ. მამები; ბ – მღვდელმთავარი

ანალოგიური გაფორმებით – ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებითა არის შემკული შესასვლელის თავზე გამოსახული მთავარანგელოზთა თეთრი და ცისფერი სამოსის გასაფორმებელი ელემენტები.

ტრადიციული შემკულობით, თვალ-მარგალიტითა და გარსშემოვლებული მარგალიტების სხმულითაა გაფორმებული იმერეთის მეფე გიორგი-II, დედოფალ რუსუდანის და უფლისწულ ბაგრატის სამეფო ლორატიული სამოსი. ოქრომკედის ნაქარგობითაა დამშვენებული დედოფლის ლეჩაქის ნაპირები (სურ. 52).

სურ. 52. იმერეთის სამეფო ოჯახის (მეფე გიორგი-II, დედოფალი რუსუდანი და უფლისწული) ოქროვანი სამოსი

ძვირფასი თვლებითა და ნაქარგობითაა შემკული მაცხოვრის საზეიმო ძოწეული დიადიმი-ლორო ჩრდილოეთის ეგვტერის აღმოსავლეთ ნაწილში წმინდა სულის მოფენის ფრესკაზე (XVIII ს.).

გელათი მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიაში (XVI ს.) ნაქარგობით დამშვენებული სამოსით წარმოდგენილი არიან: საკურთხევლის კონქში – ღვთისმშობელი ყრმით, მოციქულები და წინასწარმეტყველები. ცენტრალური ნაწილში – თორმეტი დღესასწაული; წმ. გიორგის ცხოვრების სცენები; ქტიტორები: ევდემონ ჩხეტიძე, ბაგრატ III, დედოფალი ელენე, გიორგი II, მისი მე-2 ცოლი - დედოფალი თამარი, შვილი ალექსანდრე და სხვანი [20].

ქართული კულტურის ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლის საფარის მონასტრის კომპლექსის წმ. საბას სახელობის ტაძრის მოხატულობა XIV ს. პირველ ნახევრით თარიღდება და იმ პერიოდის კედლის მხატვრობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიმუშია. სამხრეთ კედელზე კარგად განირჩევა ჯაყელთა ოჯახის წევრების

ეკლესიის მშენებლის ბექა მანდატურთუხუცესის და მისი ვაჟების – სარგის 2 და ყვარყვარეს პორტრეტული გამოსახულებეი ნაქარგობით დეკორირებულ სამოსში (სურ. 53).



სურ. 53. საფარის მონასტრის ქტიტორთა სამოსის ნაქარგობათა სახეები

ქტიტორთა სამოსი საზეიმოა. ბექა მანდატურთუხუცესს წითელი, ოქროქსოვილით ოლვილი კაბა აცვია. საოლველი, სამკლავე, ყოშები და გულისპირი უხვადაა დეკორირებული ნაქარგი მცენარეული ორნამენტებით. შიგა ფესვედი სამოსის ყელის ნაპირი და ქვედა არშია ფერადი აბრეშუმის ძაფით შესრულებული ნაქარგობითაა შემკული. კიდევ უფრო მდიდრულადაა შემკული სარგის ჯაყელის ფირუზისფერი კაბა. ის მთლიანად დაფარულია მცირე ზომის ოქრომკედის მედალიონებით, რომლის შიგა არე ყვავილოვანი ორნამენტითაა დეკორირებული. ხვეული ორნამენტის ნაქარგობითაა გაფორმებული სამოსის გარშემო არშიები,

სამკლავეები, ყოშები. გულისპირი და მხარ-ბეჭი თეთრი აბრეშუმის ძაფით შესრულებული ნაქარგობითაა ორნამენტირებული და დამატებით მარგალიტის სხმულით გარსშემოვლებული (სურ. 54). მდიდრულადაა აგრეთვე, შემკული ყვარყვარე ათაბაგის მეწამული კაბა, სამწუხაროდ ორნამენტის გარჩევა რთულია.



სურ. 54. ჯაყელთა სამოსის ორნამენტის სახეები

ტაძრის მოხატულობაში დაზიანების მიუხედავად შესაძლებელია ბიბლიური პერსონაჟებისა და ქტიტორების ძვირფასი სამოსის ნაქარგობათა ორნამენტების გარჩევა. ბიბლიური სამეფო პერსონების ლორატიული სამოსის ელემენტები (მანიაკი, ლორო, მოსასხამის ოლე და სხვ.) ტრადიციულად თვალმარგალიტით მოოჭვილი ან რომბული ბადით არის შემკული.

ნაქარგობათა საინტერესო და საყურადღებო სახეებია წარმოდგენილი გვიანფეოდალური ხანის კახეთის ძეგლების - ალვანის, ნეკრესის, გრემისა და ახალი შუამთის ეკლესიების კედლის მოხატულობებში, რომლებიც მე-16 ს-ს განეკუთვნება.

ძეგლებში ყურადღებას იპყრობს ჯგუფური საქტიტორო პორტრეტები, რომლებზეც კახთა მეფის ლევანისა და სამეფო ოჯახის წევრებია გამოსახული (დანართი 36). ქტიტორთა სადღესასწაულო სამოსი გამოირჩევა ძვირფასი ძვირფასი ოქროქსოვილის საოლველებით. გვხვდება ორნამენტები, როგორც სადა სითვის ტექნიკით ისე გეომეტრიული და რთული ხლართული სახის – ყვავილოვან-მცენარეული და სტილიზებული ყლორტებით დეკორირებული (სურ. 55).

სურ. 55. ნაქარგობათა სახეები ლევან კახთა მეფის სოჯახო პორტრეტული გამოსახულებიდან (ახალი შუამთის ეკლესია)

ნაქარგობის ადრეული პერიოდის ორნამენტთა სახეები მონუმენტურ ფერწერასთან ერთად მრავლად შემოგვინახა დაზგური ფერწერის, მინიატურული ფერწერის, ჭედური ხელოვნებისა და ტიხრული მინანქრის ნიმუშებმა. ასეთ ნიმუშებიდან ერთ-ერთი უძველესია სვანეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული X-XI სს-თა მიჯნით დათარიღებული ფერწერული ხატი „აღსაყდრებული ღვთისმშობელი ყრმით და წმ. ბარბარე" (სურ. 56, ა). წმ. ბარბარე დიდგვაროვანი ქალის ტრადიციულ სამოსშია გამოწყობილი. მისი შიგა სამოსი ბოლოვდება ნაქარგობით ორნამენტირებული ოქროქსოვილის არშიით. მოსასხამი ოლვილია ზიგზაგური ხაზებით დეკორირებული ოქროქსოვილისვე ფართო ზოლით (სურ. 31, ბ). ნაქარგობითაა შემკული სამოსის ყოშები და სამკლავე. სამკლავის ორნამენტს სტილიზირებული ვარდული წარმოადგენს [21].

ა



ბ

სურ. 56. ა – აღსაყდრებული ღვთისმშობელი ყრმით და წმ. ბარბარე; ბ - წმ. ბარბარეს სამოსის ნაქარგობის ორნამენტი

ა



ბ

სურ. 57. ა – იფრარის მთავარანგელოზთა ხატი; ბ – მთავარანგელოზების სამოსის ნაქარგობის ორნამენტი

მნაქარგობის დეტალების ამსახველია იფრარის მთავარანგელოზის ეკლესიის XIII-XIV საუკუნეების მთავარანგელოზების ფერწერული ხატი ზემო სვანეთიდან. მთავარანგელოზების სამოსის მანიაკი ლოროთი, სამკლავე და საბუხარები შემკულია ნაქარგობებით. მანიაკისა და ლოროს ორნამენტი წარმოადგენს ორმაგ რომბებში ჩასმულ ოთხფურცელა ყვავილებს (სურ. 57), რომელიც ბოლოვდება შავ ზონარზე დამაგრებული მარგალიტების მწკრივით. სამკლავის ნაქარგობის ორნამენტი კი წრეში მოთავსებული ვარდულია, რომლის ცენტრიდან პატარა წრეებით დაბოლოებული კონცენტრირებული სხივები გამოდის. საბუხარების ორნამენტი რთული მცენარეულ-ხლართულია, კიდეებზე წრიული ფორმის მარგალიტების აღმნიშვნელი სხმულით დაბოლოებული [22].

ესტიის მუზეუმში დაცულ წმ. იოანე ნათლისმცემლის XI საუკუნის ფერწერულ ხატზე წმინდანი გამოსახულია ყავისფერ კვართსა და ლურჯ მოსასხამში, ლოცვად აღმართული ხელებით. კვართის საბუხარები შემკულია ოქრომკედით შესრულებული ნაქარგობით. მის ორნამენტს წარმოადგენს რომბულ ბადეში მოთავსებული ტოლმკლავა ჯვრები, მანჟეტის კიდეზე, მუქ ფონზე მარგალიტების სხმულის აღმნიშვნელი კონცენტრირებული წრეებია გამოსახული (სურ. 58).



სურ. 58. წმ. იოანე ნათლისმცემლის საბუხარების ორნამენტი (XI ს. ხატი)

ნაქარგობითაა შემკული კალას წმ. კვირიკესა და ივლიტას (ლაგურკა) XI-XII საუკუნეების მთავარანგელოზების ხატებზე მიქაელისა და გაბრიელის კვართის საბუხარები. ნაქარგობის ორნამენტი მთავარანგელოზ მიქაელის სამოსის საბუხარზე ორმაგი რომბული ბადეა, შიგ ჩასმული ოთხფურცელა ყვავილებით, ხოლო მთავარანგელოზ გაბრიელის საბუხარებზე რთული ხლართული ყვავილოვან-მცენარეული ორნამენტია (სურ. 59, ა, ბ), მსგავსია სხვა ძეგლებზე შესრულებულ ორნამენტთა სახეებისა [22].

ა



ბ



გ

სურ. 59. ა – მთავარანგელოზთა ხატები; ბ, გ – მთავარანგელოზთა საბუხარების ორნამენტები

მარტვილის ღვთისმშობლის ჭედურ ხატზე (X-XI სს. მიჯნა) ღვთისმშობლის სამოსი – სტოლა და მაფორიუმი სახიანი ნაქარგი ქსოვილისაა. სამოსის შესამკობ ორნამენტად გამოყენებულია მცენარის ღერო და ყვავილი, რომელიც იმეორებს ჭედურობის არეზე გამოსახულ მცენარეთა ფორმებს [23]28].

ნაქარგობის შესწავლის თვალსაზრისით საინტერესოა წმინდა ბარბარეს ჭედური ხატი იელიდან (მესტიის მუზეუმი). წმინდანის მოსასხამის ქობა, სამკლავეები, სამოსის გულისპირი შემკულია ნაქარგობის აღმნიშვნელი მცენარეული ღეროებისაგან შედგენილი ხლართული ორნამენტით [23]28].

საკვლევი თემატიკის მიხედვით განსაკუთრებით საინტერესოა ასან ოქრომჭედლის მიერ შესრულებულ ნაკიფარის წმ. გიორგის ჭედურ ხატი (დანართი 37), რომელზეც გამოსახულია წმ. გიორგის მიერ რომის იმპერატორ დიოკლეტიანეს შუბით განგმირვის სცენა [24]. ეს მოტივი გ. ჩუბინაშვილის აზრით XI-XII საუკუნეების ქართული იკონოგრაფიისათვის მახასიათებელი სიუჟეტია. ხატზე დიოკლეტიანე გამოსახულია უხვად დეკორირებული სამოსით. საიმპერატორო კაბის ქსოვილი დაფარულია მედალიონებში ჩასმული სტილიზებული ვაზის ფოთლის რთული ხლართული ორნამენტით. რომბული ორნამენტითაა მოქარგული დიოკლეტიანეს კაბის კალთის ცენტრალური ადგილი, სამკლავე, მანჟეტები და სამოსის ქვედა ნაპირი (სურ. 60). აქ წარმოდგენილი რთული ხლართული ორნამენტი ძალზე წააგავს XI საუკუნის ქსოვილის ორნამენტს (სურ. 61, ა, ბ), რომლიც გადაკრულია სვანეთში სოფ. საყდარში დაცული წმ. გიორგის ფერწერული ხატის ზურგზე (დანართი 38).

სურ. 60. იმპერატორი დიოკლეტიანე ნაკიფარის წმ. გიორგის ჭედური ხატიდან

ა

ბ

სურ. 61. ორნამენტის სახეები: ა – დიოკლეტიანეს სამოსი (ნაკიფარის წმ. გიორგის ჭედური ხატი); ბ – წმ. გიორგის ფერწერული ხატის ზურგზე გადაკრული ქსოვილი (სოფ. საყდარი)

საინტერესოა ასევე, XIII საუკუნის მეორე ნახევრის ონის მთავარანგელოზის ჭედური ხატი (დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში). მთავარანგელოზები წარმოდგენილი არიან ორნამენტირებული, გულზე გადაჯვარედინებული ლორონებით. მარცხენა ანგელოზის ქარგული ორნამენტი წარმოადგენს ლათინური S-ის მაგვარ, სპირალურად ხვეულ დეკორირებულ არშიას. ასეთივე ნაქარგი საოლველითაა შემკული ბისონი. მარჯვენა ანგელოზის ლორონის ორნამენტს ფართოდ გავრცელებული, რომბულ ბადეში ჩასმული პატარა რომბების მწკრივი წარმოადგენს (სურ. 62).

სურ. 62. ონის ჭედური ხატი

ხახულის კარედის XI საუკუნის მინანქრის ფირფიტაზე (ბიზანტიური ხელობა) მიხეილVII დუკა და მისი მეუღლე მარიამი შემოსილნი არიან ბიზანტიურ საიმპერატორო სამოსში. მათი ლურჯი ფერის ბისონის ნაქარგი ორნამენტი ოქროსფერი გულის ფორმას წარმოადგენს. ნაქარგ წრიული ფორმის სამკლავეზე ცენტრში გამოსახულია მუქი ლურჯი ჯვარი, წითელ ზოლზე მარგალიტების აღმნიშვნელი თეთრი წრეების მწკრივია. ლორო-მანიაკი სხვადასხვა ფერის (წითელი, ლურჯი ცისფერი და მწვანე) ძვირფასი თვლებითაა მოოჭვილი [25].

ანალოგიურადაა შემკული დედოფალთა სამოსი ხახულის კარედის ოვალური ფორმის ტიხრული მინანქრის მედალიონზე (ქართული ხელობა), იმ მცირედი განსხვავებით, რომ ბისონის ნაქარგი ქსოვილის ორნამენტზე სუროს ფოთლებთან ერთად წრეებიცაა გამოსახული [25].

იმავე, ხახულის კარედის ერთ-ერთ მედალიონზე (ქართული ხელობა) წმ. თეოდორე გამოსახულია წითელი ფერის კვართით და მხართან ფიბულით შეკრული ნაქარგი მოსასხამით. ნაქარგობის ორნამენტს აქაც პარალელურად განლაგებული სუროს ფოთლები და წრეები წარმოადგენს [25].

ნაქარგობათა სახეები სამოსის შესამკობ დეტალებად გვხვდება აგრეთვე ქართული მინიატურული ხელოვნების ძეგლებზე. XIII საუკუნის ფსალმუნის მინიატურაზე – „დავით მეფის მიერ ბერსაბეს შეყვარება“ , დავით მეფისა და ურია ხეთელის სამოსის დეტალები – მანიაკი, სარტყელი, სამკლავე და სამაჯეები შემკულია ოქრომკედის ნაქარგობის აღმნიშვნელი დეკორით (დანართი 39). გამოყენებულია ორნამენტის მცენარეულ-ფოთლოვანი, გეომეტრიული (რომბულ-ბადური) სახეები და ძვირფასი თვლებით მოოჭვის ხელოვნება [26].

უხვად არის წარმოდგენილი ბიბლიური პერსონჟებისა და წმინდანთა სამოსის ოქრმკედით ნაქარგი დეტალები – საოლველები, მანიაკი-ლორონი, ოლარები საუკუნეების ხელნაწერთა მინიატურებში (ლოცვანი, დავითნი, ალ. მაკედონელის ცხოვრება და სხვ.), რომლებიც დაცულია ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში (სურ. 63). ნაქარგობის სახეები ტრადიციულად გეომეტრიული და მცენარეულია გამოყენებულია აგრეთვე სადა სითვისა და ძვირფასი ქვებით მოოჭვის მეთოდი.

სურ. 63. ოქრომკედით ნაქარგი სამოსი ხელნაწერების მინიატურებიდან (ქუთაისის ისტორიული მუზეუმი)

მრავალრიცხოვანი ძეგლების მიხედვით მასალის შესწავლა ნათლად წარმოგვიდგენს ნაქარგობათა ორნამენტულ სახეებს, რომლებიც გავრცელებული იყო საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში. კვლევამ გვიჩვენა, რომ ქსოვილების შესამკობად გამოყენებული იყო, როგორც გეომეტრიული და მცენარეული,ასევე სახოვანი გამოსახულებებიც. გეომეტრიული ორნამენტი შორეული წარსულიდანაა გამოყენებული ქსოვილების გასაფორმებლად. მისი ყველაზე მარტივი სახეა პარალელურად ხაზები, რომლებიც სხვადასხვაგვარი განლაგებით სხვადასხვა სახეს იძლევა. ისინი ხან თანაბრად დაცილებულ ზოლებადაა წარმოდგენილი, ხან წყვილ-წყვილად, ხანაც სამ-სამი ერთად სიმეტრიული განლაგებითაა გამოისახული. ასეთი ორნამენტი სიმარტივითა და კონტრასტული ფერების შეპირისპირებით ხასიათდება. ის გვხვდება მთელი საკვლევი პერიოდის განმავლობაში და დამახასიათებელია, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოსთვის.

შემდეგ მოტივს წარმოადგენს ერთმანეთის პარალელურად განლაგებული ტეხილი ხაზების წყება. ნაქარგობაში ეს სახე რომელიმე ერთ – ოქროსფერში ან ვერცხლისფერშია გადმოცემული. ამ ორნამენტს საქართველოში არსებობის ხანგრძლივი ისტორია აქვს და ხშირად გვხვდება მატერიალური კულტურის სხვადასხვა ხასიათის ძეგლებზე – ქვაზე, ხეზე, თიხასა და ლითონზე.

ქსოვილზე მეტად სასიამოვნოდ აღიქმება რომბებისაგან შედგენილი ბადის ორნამენტული სახე. რომბების ბადე გადმოცემულია ირიბად განლაგებული ურთიერთგადამკვეთი, სწორი ხაზებით. რომბის ცენტრში მოთავსებულია წერტილი, ან სამი წერტილი. ხშირად რომბებში უფრო მცირე ზომის რომბებია მოთავსებული, რომლის ცენტრში ჩასმულია წრე, ჯვარი ან ოთხფურცელა ყვავილი. ამგვარი ორნამენტით შემკული ნაქარგობანი გამოირჩევა ნახატის მაღალი შესრულებით, იგი იმდენად დახვეწილია, რომ აღიქმება მსუბუქად და არ ამძიმებს სამოსს. ნაქარგი დეტალები დიდი სიფაქიზით და მონდომებითაა გადმოცემული. დაცულია პროპორციულობა და კანონზომიერება. ფერთა გამა ამავე ხასიათშია ნაჩვენები. რომბების ვერცხლისფრად და ოქროსფრად შეფერადება ერთი, ლაკონური შეფერილობის ფონზე, მეტყველებს ოქრომკედის შესრულების ტექნიკის ერთ-ერთ სახეობაზე, რომელსაც რომბული სითვი ჰქვია. ასეთივე ორნამენტული მოტივი ხშირად გვხვდება ქართული ნივთიერი კულტურის სხვადასხვა ძეგლებზე.

ორნამენტის კიდევ ერთ სახეობად გამოყენებულია ურთიერთმართობულად დალაგებული მოკლე ხაზები და კლაკნილები, რაც კალათური სითვის იდენტურია. ამგვარი სახე ქართულში წნულადის სახელითაა ცნობილი და თავისი ნაირგვაროვნებით მთელ ჯგუფს შეადგენს. მათი საერთო ხასიათი ისაა, რომ შესრულებით ისინი დაწნულს მოგვაგონებენ.

ქსოვილის შესამკობ ორნამენტად ხშირად გამოყენებულია წრე – ცენტრში წერტილით, პატარა წრით ან სამი წერტილით. გვხვდება ერთი წერტილიდან, ანუ ცენტრიდან გამოსული სხივების წრიული ორნამენტული სახე, რომელიც ასევე, დამახასიათებელი იყო სასანური ქსოვილებისათვის. ამ სახეს ვხვდებით, აგრეთვე ბიზანტიურ ქსოვილებზეც. ასეთი მოტივი საუკუნეთა განმავლობაში თითქმის უცვლელად არსებობდა საქართველოშიც. ქართულ კედლის მხატვრობასა და დაზგურ ფერწერაში ეს ორნამენტი ხშირად არის გამოყენებული სამოსის გულისპირისა და სამკლავეების გასაფორმებლად.

ნაქარგობის შემდეგ სახეს წარმოადგენს ერთმანეთთან მჭიდროდ განლაგებული ოთხკუთხედების მწკრივი, რომელიც ლიანდაგური სითვის შთაბეჭდილებას ტოვებს. ასეთი ნაყშით ხშირად დამუშავებულია მოსასხამის კიდეები, კაბის ბოლო და სახელოს ბოლო.

როცა ნაქარგობის დეტალებზე ვიწრო ზოლები ერთმანეთს ცალმხრივად მჭიდროდ გადაეჭდობა სიგრძეზე, წარმოქმნილია შეგრეხილად გამოყვანილი სახე, რომელსაც შესაძლებელია გრეხილი ეწოდოს. კლაკნილი ხაზების ეთმანეთთან შეგრეხვითა და გადაჯვარედინებით, თითოეულის ხან ზემოდან, ხან ქვემოდან მოქცევით, წარმოქმნილია ხვეული ნაქარგობის სახე. ხვეული, შემადგენელი კლაკნილი ხაზების რაოდენობის მიხედვით, გვხვდება ორწვერიცა და სამწვერიც.

ქართულ ფრესკებსა და დაზგურ ხატებზე ქსოვილის შემამკობელი ნაქარგი ორნამენტის სახეა მცენარეული ნაყშის მრავალფეროვნება. ასეთი ორნამენტები ხან გრეხილ-ღეროვანი მოტივით წარმოგვიდგება, ხანაც ბადეში ჩასმულ ფოთლოვან-ყვავილოვანი სახითაა ნაჩვენები. ისინი კომპოზიციურად სხვადასხვაგვარადაა დალაგებული: ჰორიზონტის ხაზზე, ჭადრაკულად განთავსებული და ბადეში ჩასმული, რომელიც ბადურას გარეგნობას უცვლის. ირ.სონღულაშვილი ბადურების ნაირსახეობას ცალკეული ტერმინებით განსაზღვრავს, მაგალითად: თვალკილოება, თვალექვსკუთხედი, თვალრომბული, თვალებჯვარედინა, თვალმწკვერტა, თვალრქიმება და თვალკაუჭა ბადური. ყვავილოვანი ორნამენტის დეტალები, ზოგჯერ შედარებით რეალისტურადაა გადმოცემული. მათი ფორმების ამოცნობა სირთულეს არ წარმოადგენს. ქსოვილზე დატანილია ოთხფურცლიანი, ხუთფურცლიანი და შვიდ ფურცლიანი ყვავილები და ფოთლოვანი ორნამენტები.

ნაქარგობაში ხშირად ვხვდებით მცენარეული და გეომეტრიული ელემენტების (კლაკნურების, ტეხურების, სწორი ზოლების) ერთმანეთთან შეზავებას, რომელიც მრავალგვარ სახეს იძლევა. მათი ფორმები მოხაზულია როგორც მსუბუქი და მოქნილი ხაზებით, ისე სქელი მასიური მონასმებით. ნაქარგობის დეტალების გართულებითა და გამრავლებით დეკორის ორნამენტულობა უფრო მდიდრდება. მცირე მაშტაბის მიუხედავად მოხერხებულად ,ლაკონურადაა დამუშავებული და გარკვევით იკითხება. ორნამენტთა კომპოზიციური გადმოცემა მრავალფეროვანია. მათი ნახატი სხადასხვა პრინციპზეა აგებული: ხან ჰორიზონტალურ ხაზზეა, ხანაც ჭადრაკულად განთავსებული. სტილიზაციის შედეგად ნაქარგი მეტისმეტად რთულად გამოიყურება, როცა ყოველმხრივ მიმართული და ერთმანეთში გაყრილ-გამოყრილი ხაზები ნახლართის სახეებს იძლევა. ირ. სონღულაშვილი ასეთ სახეს ხლართულს უწოდებს, რომელიც ხან შიშველია, ხანაც მცენარეულ სახესთანაა შერწყმული.

ფრესკულ, დაზგურ და მინიატურულ ხელოვნებაში ნაქარგობით შემკობილ სამოსზე ოქრომკედის გარდა ნაქარგობის სამკაულად გამოიყენება ძვირფასი და ნახევრადძვირფასი ქვები. ძირითადად ხუთი ფერის ქვაა გამოხატული: წითელი, მწვანე, თეთრი, ცისფერი და ყვითელი. წითელ ქვაში იგულისხმება იაგუნდი, ძოწი, ლალი, მარჯანი. მწვანეში – ზურმუხტი და ქრიზოლითი, თეთრში – სხვადასხვა ზომისა და ფორმის მარგალიტი, გამჭვირვალე თეთრი ან წყლის ფერი მთის ბროლი. ცისფერში – ფირუზი, საფირონი. ყვითელში – ყვითელი იაგუნდი, ტოპაზი და სარდიონი. ეს ქვები მარგალიტის გარდა ყველა თვალბუდეშია ჩასმული და ისეა ჩამაგრებული ოქრომკედზე. საქართველოში, ისევე, როგორც ბიზანტიაში მეფეებისა და დედოფლების გარდა, ძვირფასი თვლებით შემკული დიადემებით გამოსახავდნენ მთავარანგელოზებსაც – მათი უპირატესობის წარმოსაჩენად.

ადრეული პერიოდის ნაქარგობათა ორნამენტული ფორმების ანალიზმა ნათლად დაგვანახა, რომ მის დეკორში მიუხედავად მრავალფეროვნებისა კონსერვატიზმი შეინიშნება. ერთი და იგივე ორნამენტული სახე საუკუნეების განმავლობაში უცვლელად მეორდება. ასევე შეინიშნება ის გარემოებაც, რომ ერთი და იგივე სახის ნაქარგი ორნამენტი გამოყენებულია როგორც ქალის, ისე მამაკაცის სამოსისათვის, იდენტური სახის ორნამენტებით დეკორირებულია აგრეთვე სხადასხვა დანიშნუ-

ლების საერო და სასულიერო ნივთები: კრეტსაბმელები, სხვადასხვა საფარებლები, სუფრები, საწოლის გადასაფარებლები, მოთაქის პირები და სხვა.

მასალის შესწავლამ ნათლად დაგვარწმუნა, რომ ქსოვილებზე დატანილი ნაქარგობათა ორნამენტული სახეები მიუხედავად გარკვეული ბიზანტიური ზეგავლენებისა თვითმყოფადობით გამოირჩევა. მათი უმრავლესობა რეალური ცხოვრებიდანაა აღებული. ამ მოსაზრებას ადასტურებს ქრონოლოგიურად განსხვავებული დროის ნივთიერი კულტურის – ქვის რელიეფის, ფრესკის, მინანქრისა და ოქრომჭედლობის ხელოვნებაში ნაქარგობის აღმნიშვნელი სახეების დამთხვევა. ეს ფაქტი კი უტყუარს ხდის მათი რეალური არსებობის შესაძლებლობას. ე. ი. მხატვარს ორნამენტული სახეების ძებნა არ ჭირდებოდა და ის სახეები გადაჰქონდა კედლის მხატვრობაში, ხატწერასა თუ ჭედურობაში წარმოდგენილ ქსოვილებზე, რაც მისი ხედვის არეში ხშირად ხვდებოდა და მასზე თვალიც შეჩვეული ჰქონდა. ნაქარგობის ორნამენტული მოტივების რეალურ არსებობას ის ფაქტიც ამყარებს, რომ რიგ შემთხვევაში სხვადასხვა ხელოვნების ნიმუშებზე გადმოცემული ქსოვილის ორნამენტი ემთხვევა დღემდე შემორჩენილი ნაქარგი ნივთების ორნამენტს. ასეთი ორნამენტები ქართველი ხალხის წარმოდგენაში მყარად გამჯდარია და გამოყენებულია ნივთიერი კულტურის სხადასხვა სფეროში. ხოლო ის ფაქტი, რომ ქარგულ ორნამენტთა სახეების ნაწილი თავისი ხასიათით უცხო წარმოების ქსოვილებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს ატარებენ ან მათი მსგავსია, უდაოდ ამ ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული ურთერთობის მაჩვენებელია.

ლიტერატურა:

1. თოფურია ვ. ქვა-ჯვარი საქართველოში, ნაკ. 4. თბ, 1942. გვ.29-63. Джавахишвили А.И. Древнехристианские культово-мемориальные памятники Грузии. Автореферат диссертации. 1949. ნ. შოშიაშვილი. ლაპიდარული წარწერები. I. გვ.16.
2. ასათიანი ნ., ლორთქიფანიძე მ. საქართველოს ისტორია VIII კლ. სახელმძღვანელო. „განათლება“ თბილისი. 1993. გვ. 67.
3. მაჩაბელი კ., ადრეული შუა საუკუნეების ქართული ქვა-ჯვარები. 2008. გვ.5-25. ტაბ.37. 40. 41. 42;
4. ჯაფარიძე ვ. ქართული ხელოვნებისა და დამწერლობის ახლადაღმოჩენილი უძველესი ძეგლები ქვემო ქართლიდან „ ძეგლის მეგობარი“, 1970 წ., კრ.20, გვ.52-63
5. დვალი თ., ანდღულაძე ნ., სილოგავა ვ. „ოშკი“ http://gelino.wordpress.com 2009 წ.
6. მაისურაძე, ზ. მცხეთის ჯვარის რელიეფის რესტავრაციისათვის. *ძეგლის მეგობარი.* 1969 r., N18. გვ. 5-8.
7. ელექტრონული რესურსი http://saunje.ge/index.php?id=365&lang=en
8. ვირსალაძე, თ. ატენის სიონი.ხელოვნება. 1984. გვ.5-12. ტაბ. 2,2. 3,1. 3,2. 4,1. 4,2.
9. თ. ხუნდაძე. ძველი აღთქმის სიუჟეტები რელიეფურ ფრაგმენტებზე წირქოლიდან. AKADEMIA. ტ. II. თბ. 2001. გვ. 81-92; სურ. 3.
10. ალადაშვილი, ნ. ლიტურგიის ასახვა საქართველოს ქვის რელიეფებზე. (ადრეული განვითარებული შუა საუკუნეები). AKADEMIA.ტ. II. თბ.2001. გვ. 77-80. სურ. 5
11. მაჩაბელი, კ. ტბეთის რელიეფური პორტრეტის ინტერპრეტაციისათვის. ჟურ. საქართველის სიძველენი. №15. 2012.გვ. 74-96.
12. გივიაშვილი, ირ.. ტაოკლარჯეთი. თბ. 2004.გვ. 169-172.
13. ნიკოლეიშვილი, ირ. საერო პირთა გამოსახულებები ზედაზნის კანკელზე. ჟურ. ძეგლის მეგობარი. №2. გვ. 116, სურ. 75,83.
14. სარავა, ნ. ფრაგმენტული კანკელი გოგნის კარუგდებელის ეკლესიიდან. ჟურ. ხანძთა.20014; ნ. სარავა. კანკელის ფილა-მაცხოვრის ამაღლების კომპოზიციით. ქ.ი.მ. შრომები XXIII.გვ.197- 204.
15. დ. თუმანიშვილი. ქ. მიქელაძე. მ. დიდებუილძე. ქართული ქრისტიანული ხელოვნება. თბ.2010. გვ. 17-21. თბ.
16. Т. Вирсаладзе. Избранные Труды – Фресковая роспис в церкви Арханелов села Земо Крихи. ст.25-94. тб.33-34.
17. Т. Вирсаладзе. Фресковая роспис художника Микаеда Маглакели в Масхвариши. ст.145-224. тб.148-149.
18. Н. Аладашвили. Г. Алибегашвили. Живописная школа Сванетий.
19. ყინწვისი ალბომი, ო. ეგაძის რედაქტორობით; თბ., ხელოვნება 1979
20. დ. თუმანიშვილი. ქ. მიქელაძე. მ. დიდებუილძე. ქართული ქრისტიანული ხელოვნება. თბ.2010. გვ. 17-21. თბ.

21. გელათი – არქიტექტურა მოზაიკა ფრესკები. ავტორთა ჯგუფი. გამომცემლობა „ხელოვნება“ , თბ., 1982.
22. ნ. ჭიჭინაძე. შუა საუკუნეების ქართული ხატწრა.თბ.2011. გვ.5-18.ტაბ. 2, 7, 8, 31, 41.
23. თ. საყვარელიძე. გ. ალიბეგაშვილი. ქართული ჭედური და ფერწერული ხატები. თბ. 1980. ტაბ. 6, 25.
24. ელექტრონული რესურსი: პ. ბუხრაშვილი ერთი ქართული იკონოგრაფიული მოტივის თაობაზე
https://www.google.ru/url?sa=Ficonography.pdf=rjt
25. დ. ხუსკივაძე. შუა საუკუნეების ტიხრული მინანქარი. საქ. სახ. ხელ. მუზეუმი. ტაბ. 39, 68.
26. Ш. Амиранашвили. ГРУЗИНСКАЯ МИНИАТЮРА. 1966. москва. искусство. таб.73.

დანართი

ილუსტრაციების სია:

1. სამწევრისის სტელის (V-VI ს. მიჯნა) ფრაგმენტი;
2. დავათის ქვაჯვარას (VI ს. II ნახ.) ფრაგმენტი;
3. ბრდაძორის ქვაჯვარას (VIს. II ნახ.) ფრაგმენტი;
4. ბუჩურაშენის სვეტის (V-VII სს.) ფრაგმენტი;
5. კატაულას ქვასვეტი (VII ს.);
6. უსანეთის ქვასვეტის (VIII-IX სს.);
7. ოშკის (X ს.) ორი სტელა;
8. მცხეთის ჯვრის ტაძრის რელიეფი – ქობულ სტეფანოზი სტეფანე დიაკონის წინაშე (VI-VII სს)
9. მცხეთის ჯვრის ტაძრის რელიეფი – პატრიკიოსი სტეფანოზი უფალსგან კურთხევას ღებულობს;
10. მცხეთის ჯვრის ტაძრის რელიეფი – ადარნასე ვიპატოსის რელიეფი;
11. მცხეთის ჯვრის ტაძრის ხუროთმოძღვარი;
12. ატენის ღვთისმშობლის მიძინების ტაძრის რელიეფები (IX-IX სს.);
13. რუისის რელიეფი (IXს.);
14. მენაღარე ანგელოზი – ჯოისუბნის ეკლესიის რელიეფი(X ს. I მესამედი);
15. ხარება – ჯოისუბნის ეკლესიის რელიეფი (X ს. I მესამედი);
16. წირქოლის რელიეფი (X ს.);
17. ვალეს ტაძრის რელიეფი (X ს.);
18. უდეს ტაძარის რელიეფი;
19. სოხუმის მიდამოებში აღმოჩენილი ფილის რელიეფი (X ს.);
20. დოლისყანის რელიეფი (X ს.);
21. კუმურდოს აფრების რელიეფები (X ს.);
22. აშოტ კუხის რელიეფი – ტბეთის საკათედრო ტაძარი (X ს.);

23. დავით III კურაპალატი და ბაგრატ ერისთავთ ერისთავი – ოშკის ტაძრის ფასადის რელიეფები (X ს.);
24. დავით III კურაპალატი და ბაგრატ ერისთავთ ერისთავი – ოშკის ტაძრის ინტერიერის რელიეფები (X ს.);
25. შეპიაკის რელიეფი (X-XI სს. მიჯნა);
26. ზედაზნის კანკელის ფილის რელიეფი;
27. სხიერის (X ს. I მესამედი) წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის კანკელის ფილა;
28. გოგნის „კარუგდებელის“ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის კანკელის ფილა (X ს.);
29. ქსნის არმაზის წმინდა გიორგის ეკლესია (IX ს.);
30. მთავარანგელოზთა მოქარგული სამოსი – დავით გარეჯის დოდოს რქა (IX-Xსს.);
31. ატენის სიონის ტაძრის ფრესკები (XI ს.);
32. გელათის ტაძრის ფრესკა ქალკედონის ტაძარი – კრება (XII ს.);
33. გელათის ტაძრის ფრესკა ეთესის ტაძარი – კრება (XII ს.);
34. გელათის ტაძრის მოზაიკა (XI I I ს.);
35. გელათის ტაძრის ფრესკა – კონსტანტინე და ელენე (XVI ს.);
36. საქტიტორო პორტრეტები კახთა მეფის ლევანისა და სამეფო ოჯახის წევრების გამოსახულებით (XVI ს.);
37. წმ. გიორგის ჭედურ ხატი ნაკიფარის ეკლესიიდან (XI-XII სს.);
38. წმ. გიორგის ფერწერული ხატი და მისი ზურგი სოფ. საყდრის ეკლესიიდან (XI ს.);
39. დავით მეფის მიერ ბერსაბეს შეყვარება –ფსალმუნის მინიატურა(XIII ს.).

1

2

3

4

5

6

7

8

9

10

12

13

14

15

16

17


18

19

20

21

22

23

24

25

26

27

28

29



30

31

32

33

34

35

36

37

38

39

შინაარსი

შესავალი 5

თავი 1. ქართული ნაქარგობის კვლევისადმი მიძღვნილი სპეციალური ლიტერატურის მიმოხილვა 6

ლიტერატურა: 13

თავი 2. ნაქარგობის წარმოშობა და მისი განვითარების 17

2.1. ნაქარგობა უძველეს წერილობით წყაროებში 17

ლიტერატურა: 20

2.2. ქართული ხელსაქმის ტრადიციები უძველეს წერილობით 21

ლიტერატურა: 37

2.3. ქსოვილისა და ნაქარგობის ნაშთები საქართველოს 41

ლიტერატურა: 48

2.4. ადრეული პერიოდის ნაქარგობათა სახეები უძველეს იკონოგრაფიულ ძეგლებში ... 50

2.4.1. ადრეული პერიოდის ნაქარგობათა სახეები ქართული ქვაზე კვეთილი რელიეფების მიხედვით 54

2. 4. 2. ადრეული პერიოდის ნაქარგობათა სახეები კედლის მხატვრობის, ფერწერული ხატების, ჭედურობისა და მინანქრის მიხედვით 72

ლიტერატურა: 122

დ ა ნ ა რ თ ი 124